საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელი

№017 (12 087)

23 იანვარი სამშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

● ფეხბურთი



გოგუაზე მოსკოვში ისაუბრეს
კონტრაქტი დღეს? 2

სიონი გადამწყვეტი ბრძოლის წინ
თანამეგობრობის თასი. ონიანი ბრუნდება, ევოჩეც ითამაშებს 2

ტრაბზონში დავმარცხდით
19-წლამდელთა ნაკრები თურქეთში 3

ამერი და ზესტაფონი თითო გოლით
მზადება მეორე წრისთვის 3-4

კონფლიქტი, რომელიც ველარ იმალება
აბრამოვიჩი ჩელსის თამაშებზე ალარ დადის 6

● კალათბურთი

ოლიმპიადან გარბიან, მარკოიშვილი იგებს
ლეგიონერები. კვირის მიმოხილვა 13

ჩვენი პარტნიორია
CDN კავკასიის ციფრული ქსელი CAUCASUS DIGITAL NETWORK

თავისუფალი ჭიდაობა. საქართველოს ჩემპიონატი

სენსაცია საოცნებო ფინალის ნაცვლად

კურტანიძე ნახევარფინალში დამარცხდა, ჩემპიონი კი გიორგი გოგშელიძეა!

ირაკლი თავაძე
გათუმიდან

საქართველოს ჩემპიონატი სენსაციით დასრულდა. ლუკა კურტანიძე ნახევარფინალში დამარცხდა, გოგშელიძე-კურტანიძის საოცნებო ფინალი კი ახალგაზრდა ლევან სეთურიძემ ჩაშალა.

კურტანიძე-სეთურიძის ნახევარ-ფინალური ბრძოლის ბედი დიდწილად იღბალმა, ანუ მონეტის აგდებამ გადაწყვიტა. უქულოდ დასრულებული პირველი პერიოდის მერე მსაჯებმა წესისამებრ წილი ყარეს. მონეტა სეთურიძის სასარგებლოდ დაჯდა, ფიზიკურად ჯანიანმა და საკმაოდ მოქნილმა მოხევემ კი შანსი გამოიყენა – ფეხიდან აყვანილ მრისხანე მეტოქეს ილეთი ჩაუტარა და პირველი პერიოდი მოიგო.

მეორე პერიოდი კურტანიძის შეტევით დაიწყო. მოსალოდნელიც იყო, რომ იგი იოლად არაფერს დათმობდა და შეუტია კიდეც, მაგრამ პირველი ქულა ისევ სეთურიძემ მოიპოვა – 1:0. მალე კურტანიძემ იგივე ფანდით, ჩოქბჯენში ჩაყვანით ანგარიში გაათანაბრა და ბოლო ქულის წყალობით მეორე პერიოდიც მოიგო. მესამეში ჭიდაობა გაუფრულდა. იქნებ ვცდები, მაგრამ ისე ჩანდა, თითქოს მონეტის მოწყალების იმედით ორივე დროის გასვლას ელოდა. წილისყრამ ამჯერადაც სეთურიძეს გაუმართლა, ბედს ცოტათი თავადაც წაეხმარა – კურტანიძე ხალიჩის გარეთ გაიყვანა და შეხვედრაც მოიგო.

ესეც ჩემპიონატის ყველაზე დიდი სენსაცია...

ამასობაში **გიორგი გოგშელიძემ** მსოფლიო ჩემპიონის შესაფერისად იჭიდავა. გორელი პირველ წრეში ისვენებდა, მერე კი ორი შეხვედრა წმინდად მოიგო და ფინალში გავიდა. მისი უპირატესობა ფინალშიც თვალსაჩინო გახლდათ. მართალია, ორივე პერიოდი მხოლოდ მინიმალური სხვაობით – 1:0 მოიგო, მაგრამ ვერავინ იტყვის, თითქოს მის ჩემპიონობას რომელიმე ეპიზოდში სერიოზული საფრთხე დაემუქრა.

11

ირაკლი ფარჯიანის ფოტო

ქვემძიმე წონის პოდიუმი: სენსაციის ავტორი ლევან სეთურიძე, ჩემპიონი გიორგი გოგშელიძე, ლუკა კურტანიძე და ბელდუხ გავაშელიშვილი

მალე კარგი გუნდი გვეყოლება

დუშან უგრინი: ზელიჩი ნამდვილი ლიდერია, კრშკოც კარგია, ახლა კი... ვეძებთ ფორვარდს

ინტერვიუ დინამოს მთავარ მწვრთნელთან 2

www.kazbegi.com

გაეხსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ლეგიონერი

გოგუა: კონტრაქტი დღეს?

გოგიტა გოგუა

"ჰართსის" მეპატრონე **ვლადიმერ რომანოვი** და მწვრთნელი **ვალდას ივანაუსკასი** პარასკევიდან მოსკოვში იმყოფებოდნენ. "სიონისა" და "კაუნასის" მატჩის ხილვა, რა თქმა უნდა, მათი ვიზიტის მთავარი მიზანი არ იყო. რომანოვი და ივანაუსკასი "ხიმკის" ყოფილ ვიცე-პრეზიდენტ **ანდრეი ჩერვიჩენკოს** შეხვდნენ და **გოგიტა გოგუას** ტრანსფერზე ესაუბრნენ. შოტლანდიური საინფორმაციო სააგენტოებისთვის გაკეთებულ კომენტარში ივანაუსკასმა მოლაპარკებების დროს მიღწეულ პროგრესზე ისაუბრა. წინასწარი მოლაპარაკების თანახმად, სკოტური კლუბი საქართველოს ნაკრების ნახევარმცველის ოთხთვიან იჯარაში 200 ათას ევროს გაიღებს. უკვე ცნობილია, რომ გოგიტას ტრანსფერის ბედი გადაწყვეტილია და კონტრაქტს ხელი დღეს უნდა მოეწეროს.

ამჟამად, "ჰართსი" 40 ქულით მესამე ადგილზეა და ლიდერ "სელტიკს" მთელი 22 (?!) ქულით ჩამორჩება, "რეინჯერსს" კი ხუთით. ჩენპიონთა ლიგის ერთ-ერთი საგზურის მოპოვება სრულიად რეალურია.

თუკი ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა, შესაძლოა, გოგიტა გოგუამ "ჰართსის" ფორმა უკვე 27 იანვარს, "რეინჯერსის" წინააღმდეგ მატჩში მოირგოს. გუშინ კი ქართველი ფეხბურთელი მოსკოვიდან ედინბურგში გაემგზავრა.

მერაბ მამულაშვილი

დუშან უგრინი

დინამო. ინტერვიუ დუშან უგრინთან

მალე კარგი გუნდი გვეყოლება

ზელიჩი ლიდერია, კრშკო კარგია

თბილისის "დინამო" თურქული შეკრებიდან სამი დღის წინ დაბრუნდა. დავით დიღმელაშვილის გარდა, დუშან უგრინმა იქ უკვე საქმეში ნახა პოტენციურ ახალწვეულებად შერაცხული ავსტრალიელი ნედ ზელიჩი და სლოვაკი მიროსლავ კრშკო...

როგორ აფასებს "დინამოს" თავკაცი ანთალიურ სამზადისს? ამ და სხვა საკითხებზე სასაუბროდ, გუშინ დიღმის საწვრთნელ ბაზას ვეწვიეთ და კლუბის პრესატაშე გიგა გვენცაძის დახმარებით, დუშან უგრინს გავესაუბრეთ.

- მეორე წრისთვის ჩვენი სამზადის სამ ეტაპად იყოფა. პირველი - ბაკურიანის შეკრება იყო, მეორე - ანთალიური მზადება და მესამეც თურქული ეტაპი იქნება, რომელსაც იანვრის ბოლოს დავიწყებთ. ამჯერად, ბურთით ვარჯიშთან ერთად, არანაკლებ ყურადღებას ვუთმობდით ფიზიკურ კონდიციებს. თავად განსაჯეთ, როცა საკონტროლო მატჩი გვქონდა, გუნდს დღეში ორჯერ ვავარჯიშებდით, სხვა დღეებში კი სამჯერად წვრთნას ვუტარებდით. შეკრებით კმაყოფილი ვარ. სამზადისის მნიშვნელობა და შედეგები მალე უფრო თვალსაჩინო გახდება.

- მოდით, ანთალიაში ჩატარებულ სამ საკონტროლო მატჩზე ცალცალკე შევჩერდეთ...

- სიამოვნებით. პირველი მატჩი გროზნოს "ტერეკთან" გვქონდა. პირველი ნახევარი კარგად ვითამაშეთ, მაგრამ მხოლოდ ერთი გოლის გატანა შევძელით. შესვენების შემდეგ, რამდენიმე ფეხბურთელი შევცვალეთ და ისეთი მკვეთრი უპირატესობა აღარ გვქონდა, თუმცა მაინც მოვიგეთ. ზაპოროჟიეს "მეტალურგთან", თამამად შეიძლება ითქვას, უფრო უკეთ გამოვიყურებოდით, ვიდრე "ტერეკთან". თამაშის ორგანიზებითა და სხვა კომპონენტებით, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, კმაყოფილი დავრჩი, მაგრამ ფეხბურთში ასეც ხდება ხოლმე - სამ წუთში 2 გოლი მივიღეთ და მხოლოდ ერთის გაქვითვა შევძელით. ალოგიკური შედეგი მივიღეთ, მაგრამ რას ვიზამთ... "ხარკოვთან", პირველ ტაიმში, სათანადოდ ვერ ვითამაშეთ, სამაგიეროდ, მეორე ნახევარში აშკარად დავჯაბნეთ მეტოქე და მოვიგეთ კიდეც.

- ანთალიურ შეკრებაზე ჩატარებულ სამ საკონტროლო მატჩში "დინამომ" 4 გოლი გაიტანა და 3 გაუშვა. ეს შედეგი რამდენად გაკმაყოფილებთ?

- მწვრთნელები მაქსიმალისტები ვართ და ამიტომ, ყოველთვის რაღაც არ გვაკმაყოფილებს. რა თქმა უნდა, ბურთების ამგვარი შეფარდება არ არის კარგი. სამივე შეხვედრაში რამდენიმე ტაქტიკური ვარიანტი მოვსინჯეთ: ხან 4-4-2-ით და ხანაც 4-5-1 სქემით ვთამაშობდით. უფრო მეტი გოლი უნდა გაგვეტანა. თითო მატჩში სამი-ოთხი რეალური მომენტი მაინც გვქონდა, მაგრამ რეალიზაცია აშკარად მოიკოჭლებდა. ჩვენი ერთ-ერთი მიზანიც სწორედ ამ ნაკლის გამოსწორებაა. რეალიზაციის პროცენტის გასაზრდელად, კიდევ ბევრი მუშაობა მოგვიწევს.

- მზადების დაწყებიდან დღემდე, დაცვისა და ნახევარდაცვის აწყობას ცდილობდით. ეტყობა, მალე კი წინა ხაზის დრო დადგება. ასეა?

- (იცინის)... ვნახოთ. იმედი მაქვს, სეზონის განახლებამდე "დინამო" უფრო გაძლიერდება.

- ახალი ფეხბურთელები საქმეში უკვე ნახეთ. რას გვეტყოდით მათზე?

- მხოლოდ კარგს. დიღმელაშვილთან ჯერ კიდევ დეკემბერში გავაფორმეთ კონტრაქტი და ეს ფეხბურთელი ამტკიცებს, რომ არჩევანში არ შევმცდარვართ. რაც შეეხება ნედ ზელიჩს, საიმედო და ვიტყოდი, ჩინებული მცველია. კარგია მიროსლავ კრშკოც. ეს ორი ფეხბურთელი დაცვის ცენტრში საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა.

- ისე ჩანს, რომ ზელიჩისა და კრშკოს დატოვება გსურთ...

- ზელიჩი არა მარტო კარგი ფეხბურთელი და საიმედო მცველია, არამედ, პიროვნული თვისებებითაც გამორჩევა, ნამდვილი ლიდერია. ასეთ მოთამაშეს ყველა ისურვებდა. კრშკოზეც დაახლოებით იმავეს ვიტყოდი, ეს ფეხბურთელიც გვინდა, მაგრამ... მაგრამ მოდით, მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ.

- ამჟამად, "დინამოს" ხელმძღვანელები ბრაზილიაში იმყოფებიან. გავიგეთ, რომ პარტნიორ "კორინთიანსიდან" ახალი ფეხბურთელების ჩამოყვანააა დაგეგმილი. არის რაიმე სიახლე ამ მხრივ?

- მართალი ხართ, ახალ ფეხბურთელებს ეძებენ. თუმცა ჯერჯერობით, სხვას ვერაფერს გეტყვით. იმედია, სასიამოვნო ცნობა მალე გვექნება.

- აშკარაა, რომ გუნდს მაღალი კლასის ფორვარდი სჭირდება...

- დიახ, კარგი ფორვარდი ნამდვილად გვჭირდება და მჯერა, მალე გვეყოლება კიდეც.

დავით ცაბაძე

დსთ-ისა და გალტიის ქვეყნების თანამეგობრობის თასი

სიონი გადამწყვეტი ბრძოლის წინ

დღეს "სიონის" მოსკოვში დარჩენა-არდარჩენის საკითხი გაირკვევა. თუ საქართველოს ჩემპიონები დსთ-ის თასის დებიუტანტ ოფკ-ს ორბურთიანი სხვაობით დაამარცხებენ, მეოთხედფინალის საგზურს მოიპოვებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბარგს ჩაალაგებენ და რუსეთს, ალბათ, ხვალვე დატოვებენ.

სპეციალისტები გამარჯვებას სერბებს უწინასწარმეტყველებენ, მაგრამ უიმედოდ არც ბოლნისელები არიან. იმედია, ჩვენები დღევანდელ მატჩს აღმავლობით ჩაატარებენ და თანამეგობრობაზე სამ შეხვედრას არ დასჯერდებიან.

ვარჯიში კოსმოსის უკან

ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურის წინ ერთდღიანი დასვენება გამოცხადდა. ტურნირის მონაწილეთა დიდმა ნაწილმა ფეხბურთელების დატვირთვისგან თავი შეიკავა, თუმცა რამდენიმე მონაწილემ გუშინ მსუბუქად ივარჯიშა. მათ შორის "სიონიც" იყო. მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვში ყინვამ კიდევ უფრო მოუჭირა, **კახა ცხადაძემ** ფეხბურთელები სასტუმრო "კოსმოსის" უკან მდებარე სტადიონზე რამდენიმე წუთით არბენინა. ბოლნისელები სავარჯიშო დროში შეზღუდულები იყვნენ, ვინაიდან ამ სტადიონს გუშინ სხვებმაც მიაშურეს. დსთ-ის თასზე მოასპარეზე ყველა გუნდი ხომ კოსმოსში ცხოვრობს.

ოფკ ოლიმპიისკიზე ალმოაჩინეს

ქართული და სხვა ქვეყნების დელეგაციის წევრთა გასაკვირად, გუშინ სპორტკომპლექს "ოლიმპიისკის" მოედანზე ოფკ-მ ივარჯიშა. არადა, წინასწარი შეთანხმებით, ამ პრივილეგიით არავის უნდა ესარგებლა. ხმამაღლა გამოთქმული პროტესტის მიუხედავად, ტურნირის ორგანიზატორებმა სერბებს წვრთნის საშუალება მაინც მისცეს და არც დროში შეზღუდეს.

საერთოდაც, როგორც ირკვევა, ოფკ მასპინძლებს ძალიან ჰყოლიათ განებივრებული. ამის დასტურად თუნდაც ის ფაქტი კმარა, რომ ჯგუფური ტურნირის ყველა მატჩს ბელგრადელები "ოლიმპიისკის" ბოლო თაობის ხელოვნურსაფარიან მოედანზე მართავენ, მაშინ, როცა ჯგუფში მისი მეტოქეები სამიდან ორ შეხვედრას "დინამოს" არცთუ კეთილმოწყობილ დარბაზში ატარებენ. კულუარებში ამბობენ, რომ რუსები ამ გუნდის გასაჩემპიონებლად ყველაფერს გააკეთებენ. მიზეზი და მიზანი მარტივია - თანამეგობრობის თასის მესვეურებს სურთ, ტურნირით მაქსიმალური რაოდენობის უცხოური კლუბები დააინტერესონ. შეგახსენებთ, ოფკ პირველი არაპოსტსაბჭოური ქვეყნის წარმამადგენელია, რომელიც დსთ-ის თასზე ასპარეზობს.

დღევანდელი მეტოქე

ოფკ ათლეტურ ფეხბურთს თამაშობს, ძირითადად ფლანგებიდან უტევს და აქცენტს მაღალ ჩაწოდებებზე აკეთებს. გამოირჩევა მისი ორმეტრიანი ფორვარდი **ნოვაკოვიჩი**, რომელმაც "კაუნასთან" მატჩის უკანასკნელ წუთზე გამარჯვების გოლი გაიტანა.

ცხადაძე შეგირდებს მეტოქის სტილის შესაბამისი ტაქტიკით ამზადებს. ყველა მოთამაშე მწყობრშია, მოედანზე დაუბრუნდება **გიორგი ონიანი**, რომელმაც მტტუ-სთან მატჩი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა. ალბათ, თამაშს **გასტონ ევოჩეც** შეძლებს. როგორც კლუბის გენერალურმა მენეჯერმა **ჯემალ ჭიპაშვილმა** გვითხრა, პირველ ორ შეხვედრაში მისი არყოფნის მიზეზი გაციება ყოფილა.

შავი და თეთრი დღეს გამოჩნდება

"სიონის" რუსეთში გამგზავრების ერთ-ერთი მთავარი მიზანი გუნდის ფეხბურთელებით რუსული და სხვა საზღვარგარეთული კლუბების დაინტერესებაა. ბუნებრივია, ჩვენს მოთამაშეებზე გაცილებით დიდი მოთხოვნა იმ შემთხვევაში იქნება, თუ საქართველოს ჩემპიონები მინიმუმ მეოთხედფინალს მაინც უწევენ. ასე რომ, ოფკ-სთან მატჩი ყველანაირი კუთხით გადამწყვეტი იქნება.

შესაძლოა, ხელსაყრელი წინადადებები "სიონის" ჯგუფში ჩარჩენის შემთხვევაშიც იყოს, მთავარია, როგორ გამოავლენენ საკუთარ შესაძლებლობებს ცალკეული ფეხბურთელები.

ამ მატჩს განსკუთრებული დატვირთვა კიდევ იმიტომ აქვს, რომ "ოლიმპიისკიზე" იმართება. თანამეგობრობის თასის ეპიცენტრი ხომ ყოველთვის ეს დარბაზია, "დინამოზე" გამართულ შეხვედრას თითოეროლა გულშემატკივარი და სკაუტი თუ ესწრება.

"სიონის" გენერალურ მენეჯერს არ დაუმალავს, რომ გუნდის რამდენიმე ფეხბურთელმა უკვე მიიქცია ყურადღება, მაგრამ კონკრეტული მსურველების დასახელებას, ჯერჯერობით, მოერიდა. ის კი შევიტყვეთ, რომ სპეციალისტებმა გასული ორი მატჩიდან **ერიკ რომეო ჩასემი, ბოიომო ფრიდოლინი, ვიტალი დარასელია** და **ლევან სილაგაძე** გამოარჩიეს.

კვარაცხელია დააფასეს, ირმატოვი შინ გაისტუმრეს

ტურნირის ორგკომიტეტმა **ლევან კვარაცხელიას** მსაჯობას დადებითი შეფასება მისცა. ახალგაზრდა ქართველი არბიტრი პირველ ტურში, ლატვიური "ვენტსპილსისა" და უზბეკური "ფახთაქორის" შეხვედრას (2:0) მოემსახურა და დაკისრებულ მოვალეობას თავი უშეცდომოდ გაართვა. დაბალკვალიფიციურ მსაჯობაზე მოსკოვში ბევრი გუნდის წარმომადგენლები ჩივიან და ყოველივე ამის ფონზე, დსთ-ის თასის მომსახურე მსაჯებს შორის ლევანს ერთ-ერთ საუკეთესოდ მიიჩნევენ, რაც იმას ნიშნავს, რომ მას "მეოთხედფინალში გასვლის" შესანიშნავი შანსი აქვს.

რაც შეეხება "სიონი"-"კაუნასის" უზბეკ არბიტრ **ირმატოვს**, ეს მატჩი დსთ-ის თასზე მისთვის პირველი და უკანასკნელი აღმოჩნდა. მიზეზი, რა თქმა უნდა, მისი ზღვარგადასული არაობიქტურობაა. როგორც ამბობენ, ირმატოვმა მოსკოვი უკვე დატოვა.

ქართული დაცვა ვეტერანთა მატჩში

როგორც დაგეგმილი იყო, გუშინ რუსეთის საფეხბურთო კავშირის მიერ ორგანიზებული მატჩი გაიმართა. რუსები ყოფილი სსრკ-ის დანარჩენი ქვეყნების ვეტერანებისგან შემდგარ გუნდს შეხვდნენ.

რუს ვეტერანებს ერთბაშად სამი ქართველი დაუპირისპირდა. "სიონის" გენერალურმა დირექტორმა **მალხაზ აბრამიშვილმა** დაცვის მარჯვენა ფლანგი გაამაგრა, ბოლნისელთა მეორე მწვრთნელი **გიორგი ყიფშიძე** მარცხენა მცველი იყო, დაცვის ცენტრში კი **კახა ცხადაძეს** ქართული საფეხბურთო სკოლის აღზრდილი **ახრიკ ცვეიბა** შეუწყვილდა.

როგორც მსგავსი ხასიათის მატჩების აბსოლუტური უმრავლესობა, ეს თამაშიც ფრედ დასრულდა, ოღონდ უგოლოდ.

ლევან ჯანელიძაშვილი

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

ეროვნული ბლიცთამაში

www.pri.ge

19-წლამდელთა ნაკრები. ამხანაგური მატჩი

ორივე კონტრშეტევაზე...

ტრაბზონი 2-საქართველო 2:0

1:0 გიოქთანი (40), 2:0 აბდულა ქარმა (70)

საქართველო: **თევდორაძე, ბენაშვილი (70. წულაძე), თომაშვილი, თოთაძე (62. ქვრივიშვილი), სანაია (75. შარანგია), ბჟალავა, ხიდეშელი (46. დაუშვილი), ნ. კვასხვაძე (46. თარგამაძე), მჭედლიძე, ყენია, ჯანელიძე (46. სალარიძე).**

თურქულ შეკრებაზე მყოფმა საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა გუშინ პირველი ამხანაგური მატჩი გამართა. **ჰაინც ტოპმიოლერის** კრებული "ტრაბზონსფორის" 1987-88 წლებში დაბადებულთა გუნდს დაუპირისპირდა.

შეგახსენებთ, რომ თურქეთში გამგზავრებამდე ჰაინც ტოპმიოლერის გუნდს ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე საკვანძო ფიგურა გამოაკლდა - **გიორგი განუგრავა, ბექა გოცირიძე, დავით მჭედლიშვილი, ზურაბ გვაძაბია, გიორგი ელბაქიძე, გიორგი ნიკოლაიშვილი** და **რატი ნიბამძღვრიშვილი**. მართალია, ჭაბუკთა გუნდს სხვა ფეხბურთელები დაემატნენ, მაგრამ 7 ფეხბურთელის გამოკლებამ მაინც თავი იჩინა. სწორედ ამაზე სწუხდა ტოპმიოლერი მატჩისშემდგომ კომენტარში. თუმცა სჯობს, თანმიმდევრობით მივყვეთ.

ნაკრები გუნდების მენეჯერ **თამაზ ბოკერიას** თქმით, მატჩის პირველი ნახევარი ქართველთა უპირატესობით წარიმართა. თუმცა ამ უპირატესობის შედეგში ასახვა ვერ მოხერხდა. მე-17 წუთზე **ლევან მჭედლიძეს** გოლის გატანის ჩინებული შანსი ჰქონდა, მაგრამ ოდნავ ააცილა. ტრაბზონელებმა **ჯანელიძისა** და **ყენიას** შეტევებიც მოიგერიეს. მე-40 წუთზე კი ქართველთა მორიგი იერიშისას, ბურთი დაიკარგა. რასაც თურქთა სწრაფი კონტრშეტევა და გოლი მოჰყვა - **გიოქთანმა** ანგარიში გახსნა. ტაიმის ბოლომდე არაფერი შეცვლილა.

მეორე ნახევარში თამაში თანაბრად წარიმართა. ხიფათი ორივე კართან იქმნებოდა. შეტევათა ორგანიზებაზე გუნდის კაპიტანი **მირზა ბჟალავა** ზრუნავდა, დაცვაში საიმედოდ გამოიყურებოდა დინამოელი **თომაშვილი**, კარგი იყო ახალბედა **სანაია**... თუმცა ჩვენი შეტევისას შეცდომა განმეორდა და მეორე გოლი მივიღეთ. 70-ე წუთზე თავი **აბდულა ქარმამ** გამოიჩინა. 2:0.

ამ გოლიდან 3 წუთში ჩვენს გუნდს ბურთის გატანის კიდევ ერთი ჩინებული შანსი მიეცა, მაგრამ ამჯერად ტრაბზონელთა მეკარემ იმარჯვა და **თარგამაძეს** რთული ბურთი აუღო.

"დღევანდელ თამაშში ნათლად გამოჩნდა 7 ფეხბურთელით გამოწვეული დანაკლისი. კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ეს ფეხბურთელები გუნდისთვის დიდ ძალას წარმოადგენენ და მნიშვნელოვანი ფიგურები არიან. არადა, სრული შემადგენლობა რომ გვყოლოდა, დღეს 3:0-საც მოვიგებდით, ისევე, როგორც შარშან დეკემბერში მალტაზე გავიმარჯვეთ.

ელიტრაუნდისთვის სერიოზული სამზადისი დავიწყეთ. აპრილში კიდევ გვექნება ერთი მოსამზადებელი შეკრება და ამხანაგური მატჩები. მჯერა, ქართული კლუბები მხარში ამოგვიდგებიან და აპრილში უკვე სრული შემადგენლობით შევძლებთ გუნდის შეკრებასა და სრულფასოვნად მომზადებას.

ამ მატჩიდან პირველ რიგში ყენიასა და მჭედლიძეს გამოვარჩევდი. ისინი გუნდისთვის მნიშვნელოვანი ფიგურები არიან. ასევე გამოვყოფდი ბჟალავას, სანაიას, თომაშვილსა და სხვა ფეხბურთელებს", - განაცხადა მატჩის შემდეგ ჰაინც ტოპმიოლერმა.

ხვალ ჩვენი ნაკრები მორიგ ამხანაგურ მატჩს ადგილობრივ ქვედალიგოსან "არაკლისფორთან" გამართავს.

დავით ცაბაძე

ბექა გოცირიძე და შოთა გრიგალაშვილი აუუში

ТБილисის "დინამოს" ნახევარმცველ **შოთა გრიგალაშვილისა** და "ზესტაფონის" ფორვარდ **ბექა გოცირიძის** მეორე ბუნდესლიგურ "აუუში" ტესტირებაზე წასვლის თაობაზე გუშინ გაცნობეთ. ამავე თემაზე "აუუს" ოფიციალური ვებგვერდის გარდა "შპორტ1" და სხვა წყაროებიც წერდნენ.

სავარაუდო ტრანსფერები

ქართველებს დღეს გამოცდიან

"აუუში" ორი ქართველი ფეხბურთელი გამოჩნდა. "ზესტაფონის" 18 წლის თავდამსხმელი ბექა გოცირიძე და თბილისის "დინამოს" 20 წლის ნახევარმცველი შოთა გრიგალაშვილი. ისინი აქ ტესტირებაზე არიან მოწვეულნი. ამ ორ ფეხბურთელს საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა გაუწია რეკომენდაცია. ქართველ ფეხბურთელებს დღეს ობერლიგაში მოასპარეზე "დრეზდენთან" ამხანაგურ მატჩში გამოცდიან", - წერს ხსენებული ვებგვერდი და ამ პატარა ცნობასთან ერთად, გუნდის სტადიონის ფონზე გადაღებულ ჩვენებურთა ფოტოსაც აქვეყნებს.

დავით ცაბაძე

მეორე წრის წინ

საგურამოში იბურთავეს

ამერი-ოლიმპი 1:0

1:0 წინამძღვრიშვილი (12. ბოლქვაძის პასით)

ამერი: ქვაჩახია - დიდავა, ხვადაგიანი, კაკაშვილი, ჩიკვილაძე - ჯელაძე, ბოლქვაძე, მესხი, ნიკოლაიშვილი - ჩიმაკაძე, წინამძღვრიშვილი

შეცვლაზე შევიდნენ: ნადირაშვილი, დავითნიძე, ელბაქიძე, გვაძაბია, ფირანიშვილი, დოლიძე, გაბისკირია, დობროვოლსკი, დეკანოსიძე, მჭედლიშვილი, დავითაშვილი

ოლიმპი: ალავიძე - ბერუაშვილი, მახვილაძე, ხუბუა - ჩხარტიშვილი, არხიანი, ბურნაძე, ხოხონიშვილი - რეხვიაშვილი, გოცირიძე, დვალიშვილი

შეცვლაზე შევიდნენ: ქოიავა, ვაჩიბერაძე, სებისკვერაძე, ხოსრუაშვილი

სახიფათო მომენტი ამერის კართან

ნუგზარ სუარიძის ფოტო

შეხვედრა "ამერის" საგურამოს ბაზაზე გაიმართა. **რეზო ძოძუაშვილი** შემადგენლობას ფილტრავს და შეცვლებს მთელი შეხვედრის განმავლობაში მიმართავდა, "ამერის" მთავარმა მწვრთნელმა **გიორგი ჩიხრაძემ** კი მეორე ნახევარში გუნდი მთლიანად შეცვალა.

თბილისელებმა თავიდანვე იძალეს და მეთორმეტე წუთზე ანგარიში გახსნეს. **ბოლქვაძის** გადაცემა **რატი წინამძღვრიშვილმა** გამოიყენა - 1:0.

"ამერს" მეორე ტაიმში ანგარიშის გაზრდა შეეძლო, თუმცა **დავითნიძემ** ბოლო წუთზე პენალტი ვერ გამოიყენა. მანამდე კი **ალავიძემ გაბისკირიასა** და **დავითაშვილის** სახიფათო დარტყმები მოიგერია.

თავის მხრივ, რუსთაველთა თავდამსხმელებიც აქტიურობდნენ. **გოცირიძე** და **დვალიშვილი** ამერელებს პრობლემებს უქმნიდნენ, დვალიშვილი ორჯერ სახიფათო პოზიციაზეც აღმოჩნდა, მაგრამ სიზუსტე ვერ გამოიჩინა.

"ამერში" არ უთამაშია თავდამსხმელ **დიმიტრი ტატანაშვილს**, რომელიც ტრავმას იშუშებს.

რუსთაველთა ძირითადში ბოლო საკონტროლო მატჩებში მუდამ ჩნდება საყრდენი ნახევარმცველი **მიშა ჩხარტიშვილი**, რომელსაც ქართველი გულშემატკივრები არ იცნობენ. მასთან გასაუბრებით გავარკვიეთ, რომ ეს ტანმაღალი ფეხბურთელი ადრე ქუთაისში, შემდეგ კი ერევნის "დინამოში" თამაშობდა და სომხეთიდან ერთი წლის წინ წამოვიდა. ბოლო სეზონი კი გაუცდა.

მერაბ მამულაშვილი

მახვილაძე მაისამდე ოლიმპელია

რუსთავის "ოლიმპის" ცენტრალური მცველის **მიხეილ მახვილაძის** ნალჩიკის "სპარტაკში" თამაში გამოირიცხა. ის თბილისშია და სეზონისთვის რუსთავის "ოლიმპში" ემზადება. როგორც გავარკვიეთ, მახვილაძე "ოლიმპში" სეზონის ბოლომდე დარჩება.

"კონტრაქტი მაისში მიმთავრდება და მანამდე, კლუბს არ მივატოვებ. რა თქმა უნდა, რუსეთში თამაში ძალიან მინდოდა. იქ გაცილებით უკეთესი დონის ჩემპიონატია, პირობებზე კი აღარაფერს ვამბობ. თუმცა ბოლოს დარჩენა გადავწყვიტე. ჩვენ ჩემპიონობისთვის უნდა ვიბრძოლოთ და გუნდის მიტოვება არ მინდა. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ კარიერაში მეოთხედ საქართველოს ჩემპიონის ოქროს მედალს მოვიპოვებ."

მერაბ მამულაშვილი

GFF TRAVEL

24 მარტი
შოტლანდია-საქართველო

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და მასთან არსებული ტურისტული კომპანია "**GFF TRAVEL**"-ი გაძლევთ შანსს, უგულშემატკივროთ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს...
... და გთავაზობთ ოთხდღიან დაუვიწყარ მოგზაურობას შოტლანდიაში. ყველა გულშემატკივარს, ფეხბურთის ფედერაცია ასაჩუქრებს მატჩზე დასასწრები ბილეთით.

იჩქარეთ!!! ადგილები შეზღუდულია. საბუთები მიიღება 15 თებერვლამდე. ჩვენს ბიჭებს თქვენი მხარდაჭერა სჭირდებათ!
ჩვენ ერთი გუნდი ვართ!

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

ტელ: +995-32-917014; +995-32-917015; +995-77-900902.
მის: ჭავჭავაძის 76.

აქციის მხარდამჭერები არიან
24 საათი ოლიმპი სარბიელი
ტელეანონსი CC ბლიცი სპორტი

CDN ტბილისის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 255 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უფასო მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადაიდგა სახლიდან გაუკვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, მეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfr.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე წრის წინ

იმედრული დერბი თბილისში

ზესტაფონელი თურმანიძე მეტოქეთა გარემოცვაში

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ზესტაფონი–ტორპედო 1:0

1:0 იონანიძე (35. პენალტით)

ზესტაფონი: ჯალაღონია, სანტოსი, ს. თოდუა, საჯაია, კ. ჩხეტიანი, თურმანიძე, რ. ონიანი, გ. ნუგზ. ჭელიძე, ბ. ნოზაძე, ვიეირა, იონანიძე. მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: ხუმარაშვილი, ძარია, პანოვი, გაბრიჩიძე, ჩოხელი, გოგიაშვილი.

ტორპედო: კოდალაევი, გოგია, ფარულავა, კილასონია, ჩხეტიანი, ლაღაძე, ზიბზიბაძე, კვეტენაძე, უგრეხელიძე, გურული, სირბილაძე. მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: ბარაბაძე, მუშკუდიანი, ღონღაძე, ნადირაძე, თურქიაშვილი, ჭედია, ნიქარიშვილი.

იყო დრო, როცა ეროვნულ ჩემპიონატში ერთ-ერთი გამორჩეული მეგოლე **ზურაბ იონანიძე** ქუთაისის "ტორპედოში" თამაშობდა და რიონისპირელ ქომაგებსაც არც თუ იშვიათად ახარებდა. ახლა კი ფორვარდი "ზესტაფონში" ასპარეზობს და გუშინ ამხანაგურ მატჩში გადამწყვეტი გოლი გაუტანა ყოფილ გუნდს.

"ზესტაფონი" და "ტორპედო" დედაქალაქში გადიან მოსამზადებელ შეკრებას და გუშინ ერთმანეთთან მოსინჯეს ძალები. **გიორგი კიკნაძისა** და **თემურ მახარაძის** გუნდების დაპირისპირებას სანახაობრივად არა უშავდა რა. დიღომში, "ლოკომოტივის" საწვრთნელ ბაზაზე გამართულ ამ შეხვედრას ფეხბურთს მოწყურებული ორ ათეულამდე ქომაგიც ადევნებდა თვალს.

ზესტაფონელებს ქუთათურებზე უკეთესი შემადგენლობა ჰყავდათ და საერთო ჯამში დაჯაბნეს კიდეც მოწინააღმდეგე. თუმცა ეს ანგარიშში ვერ აისახა ერთადერთი გოლი "ტორპედოს" მცველის მიერ საჯარიმოში ხელით თამაშს მოჰყვა. პენალტი იონანიძემ გამოიყენა. მეორე ტაიმში მწვრთნელებმა შემადგენლობები მნიშვნელოვნად შეცვალეს, მაგრამ ანგარიში პირველი ტაიმისა დარჩა.

აქვე ერთ სიახლესაც გამცნობთ. დღეს გამთენიისას თბილისში ორი ბრაზილიელი ფეხბურთელი ჩამოვიდა. ფორვარდი **ლეანდრო ტემპორინი** და საყრდენი ნახევარმცველი **ჟონატას ოლივეირა ტორესი** "ზესტაფონში" გაივლიან სინჯებს. თუკი **თემურ მახარაძე,** მოთამაშეთა კვალიფიკაციამ დააკმაყოფილა მეორე წრეში ჩემპიონობის მაძიებელ "ზესტაფონში" ერთბაშად ოთხი ბრაზილიელი ითამაშებს.

დავით ცაბაძე



გიორგი კიკნაძე

ინტერვიუ გიორგი კიკნაძესთან

დავიწყოთ ბაზით და სტადიონით

უკვე ერთი თვეა, რაც ქუთაისის „ტორპედოს" გიორგი კიკნაძე წვრთნის. ახალგაზრდა მწვრთნელმა „ოლიმპში" გაითქვა სახელი და რუსთავულ კლუბს შემოდგომის ჩემპიონობა მოაპოვებინა. მერე რაც მოხდა, ალბათ შეხსენება არ გჭირდებათ... ახლა გიორგი კიკნაძე „ტორპედოშია" და მეორე წრეში ქუთაისურ გუნდთან ერთად შეეცდება წარმატებების მიღწევას. რას ფიქრობს იგი „ტორპედოზე" და რა მიზნებს ისახავს გუნდთან ერთად, მისი ინტერვიუდან შეიტყობთ.

- პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ ჟურნალისტებთან კარგი და ღია ურთიერთობა მაქვს, მაგრამ დღესდღეობით ბოლომდე გახსნილი მაინც ვერ ვიქნები, რადგანაც გუნდში ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასარკვევი. უცხო არ იქნება თუ ვიტყვი, რომ საქართველოში თბილისის „დინამოს" შემდეგ თავისი ბაზისით მეორე ადგილზე ქუთაისის „ტორპედოა". ძლიერი თაობა კვლავ რომ წამოვიდეს, პირველ რიგში ბაზა და სტადიონი უნდა იყოს მართლა ვარგისიანი და არა ისეთი, როგორ მდგომარეობაშიც დღეს არის. სწორედ ამ ობიექტების მოწესრიგებით უნდა დაიწყოს გუნდის შენება. ვიცი, რომ „ტორპედოს" ძალიან მომთხოვნი გულშემატკივრები ჰყავს, ჩვენც იმისთვის ვართ აქ ჩამოსული, რომ „ტორპედოსთან" ერთად წარმატებას მივაღწიოთ, მაგრამ იმის პრეტენზია არ უნდა გვქონდეს, რომ ამას ერთი ხელის მოსმით გავაკეთებთ. გუნდი ეტაპობრივად უნდა განვითარდეს, შედეგი ისე არ მოვა, თუ ბაზა და სტადიონი არ მოწესრიგდა და კარგი სავარჯიშო პირობები არ შეიქმნა. დღეს კი ეს ობიექტები რა დღეშია? სტადიონზე მუხლებამდე წყალი დგას, სკამები ნახევარზე მეტი დამტვრეულია. მოგებული მაშინ დავრჩებით თუ პირველ რიგში ამ საქმეს მოვუვლით. შესაძლებელია დღეს ტორპედოში მილიონი ჩაიდოს, ფეხბურთელები ჩამოვიყვანოთ და მაღალი ამოცანები დავისახოთ, მაგრამ ერთწლიანი გუნდების მსგავსად, მეორე წელს უკვე გადარჩენისთვის მოგვიწევს ბრძოლა. ჩვენ საქმისადმი ასეთი მიდგომა არ გვაწყობს. მესმის, რომ ყველა გულშემატკივარი კონკრეტულ მატჩში მოგებას ითხოვს, შედეგი რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია, მაგრამ წინაც უნდა გავიხედოთ და მოვლენები რეალურად შევაფასოთ.

- თქვენ პირველ წრეში „ოლიმპთან" ერთად შემოდგომის ჩემპიონი გახდით, ახლა „ტორპედოში" ხართ და ქუთაისურ გუნდთან ერთად რა მიზნებს ისახავთ?

- ყველამ კარგად დაინახა ის, რისთვისაც ჩვენ „ოლიმპში" ვიბრძოლეთ და მივაღწიეთ, ყველაფერი ფუჭი გამოდგა. ამაზე საუბარი არ ღირს. ხოლო, რასაც ჩვენ „ტორპედოში" გავაკეთებთ, შესაძლოა ხალხმა ერთი ან ორი წლის მერე დააფასოს, მაგრამ ვისაც ფეხბურთი ესმის და ვისაც გუნდზე გული შეტკივა, დაგვეთანხმება, რომ სწორი მიმართულებით მივდივართ. კიდევ გავიმეორებ, უპირველეს ყოვლისა, „ტორპედოს" უნდა ჰქონდეს კარგი სტადიონი, კარგი ბაზა, კარგი ხელოვნურსაფარიანი მოედანი. აქედან უნდა დაიწყოს აღმავლობა, მე ვიქნები მწვრთნელი თუ სხვა, ამ ობიექტებს ზურგზე ვერ მოიკიდებს და ვერ წაიღებს, იგი ყოველთვის „ტორპედოს" დარჩება და ქუთაისურ გუნდს ძლიერი ზურგი ექნება. ყოველთვის ვამბობდი და ვიტყვი კიდეც, რომ ქუთაისის „ტორპედო" თავისი არსებობის მანძილზე უნდა ჭიდაობდეს ჩემპიონობისთვის ან სამეულში მაინც უნდა იყვეს სტაბილურად.

- დღევანდელი გუნდით რისი მიღწევა შეიძლება?

- ჩვენ პირველი წრის შემდეგ გვაქვს ქულათა იმხელა მარაგი, რომ სამეულში მოხვედრაც შეგვიძლია. გარდა ამისა, თასის მეოთხედფინალში ვართ და იქაც მაგრად ვიბრძოლებთ. იმედია, უფლის წყალობით ყველაფერი კარგად იქნება.

- თქვენი აზრით, რომელი უფრო რთული იქნებოდა, „ოლიმპთან" ერთად ჩემპიონობის მოპოვება, თუ „ტორპედოსთან" ერთად სამეულში მოხვედრა?

- რთული შესადარებელია, მაგრამ განა ვინმე იფიქრებდა, რომ „ოლიმპი" პირველ წრეს პირველ ადგილზე დაასრულებდა და ჩემპიონობისთვის იბრძოლებდა? ჩვენ მაქსიმალისტები ვართ და გვჯერა რომ შეუძლებელი არაფერია. ყოველნაირად ვეცდებით, რომ ჩემპიონატში და თასზე რაც შეიძლება მაღალ მიზნებს მივაღწიოთ.

- რამდენად გაკმაყოფილებთ გუნდის დღევანდელი კონტიგენტი?

- ამ ეტაპზე იმ შემადგენლობით ვკმაყოფილდებით, რომელიც დღესდღეობით გუნდშია. გარდა ამისა, „ტორპედოს" ახალგაზრდების სახით ჰყავს ძალიან დიდი რეზერვი. აქ იმდენი ნიჭიერი ფეხბურთელია, რომ პირველ რიგში მათ უნდა მივაქციოთ ყურადღება. „ტორპედოში" თბილისიდან, ბათუმიდან და თელავიდან მაშინ უნდა ჩამოვიყვანოთ ფეხბურთელი, როცა იგი ადგილობრივს ერთი თავით აღემატება.

- გუნდის ახალწვეულებზე რას გვეტყვით?

- გუნდთან ერთად ემზადება სირბილაძე, მასთან დაკავშირებით რაღაც პრობლემები შეგვექმნა, მაგრამ ყველაფერი მალე მოგვარდება. გუნდში ვარჯიშობს ვეტერანი კახა კვეტენაძე, არიან ახალგაზრდებიც და ვცდილობთ, ბრძოლისუნარიანი გუნდი შევქმნათ. აქ წასაგებად და იმედგასაცრუებლად ნამდვილად არ ვართ ჩამოსული.

- სპონსორების საკითხს გვერდს ვერ ავუვლით, ბოლოს და ბოლოს ვინ არის „ტორპედოს" პატრონი და რამდენად მყარია გუნდის ფინანსური მდგომარეობა?

- ასეთი გამოთქმაა – „ხილი მიირთვი, მებაღეს რას კითხულობო". მთავარია, რომ სავარჯიშო პროცესში დაბრკოლება არა გვაქვს. სპონსორის საბოლოოდ გარკვევამდე კი ერთი ნაბიჯია დარჩენილი და თვის ბოლომდე ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა.

- „ტორპედოს" სამზადისზე რას გვეტყვით?

- 10 დღის განმავლობაში თბილისში ვიქნებით და ამხანაგურ შეხვედრებს გავმართავთ. 22 იანვარს „ზესტაფონს" ვხვდებით, 24-ში „ამერს" ვეთამაშებით, 27-ში კი „ლოკომოტივს". ეს მატჩები უკვე დაგეგმილია. ამასთან ერთად თბილისში აზერბაიჯანული გუნდებიც იმყოფებიან და საკონტროლო მატჩებთან დაკავშირებით მათთანაც ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს.

- უცხოური შეკრება თუ იგეგმება?

- ანთალიურ შეკრებაზე იყო საუბარი, მაგრამ მიზეზთა გამო ჩაიშალა. 18 თებერვალს უკვე თასის გათამაშება იწყება და უცხოურ შეკრებას ვეღარ მოვასწრებთ.

დავით ჯოხრეიძე
ქუთაისიდან

ნიგნის თარო



ეძღვნება სახელოვან მეკარეს...

"თითქოს გუშინ იყო - გადაჭედილი სტადიონები, გასაოცარი გოლები და თქვენ მიერ აღებული "მკვდარი" ბურთები"... - ამ სიტყვებით იწყება დემიკო ლოლაძის წიგნი "სერგო კოტრიკაძე", მოტანილი სიტყვები კი ჭაბუა ამირეჯიბს ეკუთვნის. წიგნში საქართველოს სხვა გამოჩენილი ადამიანების შეფასებებიც შეუტანია ავტორს. გამოცემის პირველ განყოფილებაში თავმოყრილია თვით სახელოვანი მეკარის გამონათქვამები და შეხედულება ქართველ თუ უცხოელ ფეხბურთელებზე, გუნდებზე და მწვრთნელებზე, მოთხრობილია ცალკეული სათავგადასავლო ამბები.

წიგნის მეორე განყოფილებაში ლეგენდარულ მეკარეზე ლაპარაკობენ ფეხბურთის სპეციალისტები, თანაგუნდელები, ჟურნალისტები, მეგობრები და გულშემატკივრები. ჩაამთავრებ ამ საინტერესო წიგნის კითხვას და უნებურად ფიქრობ - ნეტავ კიდევ თუ ვინმეს ღირსებია ქართველი საფეხბურთო მეკარეებიდან ამდენი თბილი სიტყვა და საყოველთაო სიყვარული? დაფიქრებაც არ დაგჭირდებათ - არა, ასეთს ვერ გაიხსენებთ, თუმცა საქართველო მუდამ გამოირჩეოდა ღირსეული გოლკიპერებით. წიგნში მრავლადაა შესული დღეს უკვე ისტორიულ ღირებულებად ქცეული ფოტოკადრები. ისიც საგულისხმოა, რომ არ დარჩენილა საქართველოში და მთელ საბჭოთა კავშირში ფოტოჟურნალისტი, სერგო კოტრიკაძის ულამაზესი ნახტომები ფირზე რომ არ აღებეჭდა. ბრწყინვალე მეკარე სასურველი თემა იყო კარიკატურისტებისთვისაც, ამიტომაც, გამოცემაში უამრავი მეგობრული შარჟია დასტამბული.

წიგნი რამდენიმე მეცენატის ხელშეწყობით დაიბეჭდა გამომცემლობა "ცოტნეს" სტამბაში.

განცხადება

ს.კ. "სოხუმის ცხუმი"-ს პირველი პრეზიდენტის, აფხაზეთის ომის პერიოდში ქ. სოხუმის მერის, გურამ გაბისკირიას დაბადებიდან 60 წლისთავის ღირსეულად აღნიშვნის (2 მარტი, 2007 წელი) მზადებასთან დაკავშირებით, გთხოვთ დაგვეხმაროთ და მოგვაწოდოთ მასთან დაკავშირებული ფოტო, ვიდეო და საგაზეთო მასალები.

მისამართი:
ქ. თბილისი, შ. იამანიძის ქ. №5
აფხაზეთის ფეხბურთის
ფედერაცია
ტელეფონი: 35-60-12, 94-29-39

www.kazbegi.com

გაეხსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

ეროვნული ჩემპიონატი

www.pfl.ge

საქართველოს XVIII ჩემპიონატი

უვალესი ლიგა. გუნდები. პირველი წრის შეჯამება

ამერი

ამერმა ევროთასებზეც გაიხარა

ქულაგარი

	გაგრი	ქრილიოლდი	სულ	ოთხ ნაბიჯი	ოთხეთლი	სულ
ქვაჩახია (მეკ.)	13	13	-7	-	1	-
დოლიძე	13	11	7	2	4	-
დავითნიძე	12	12	-	-	3	-
ბოლქვაძე	12	12	1	4	3	-
ხვადაგიანი	11	11	1	-	1	-
დავითაშვილი	11	11	3	4	1	-
დეკანოსიძე	11	9	-	1	1	-
ჯილაძე	11	6	-	3	3	-
დოგროვოლსკი	10	10	-	-	2	-
ელბაძიძე	10	9	-	1	3	1
ჩიკვილაძე	10	8	1	-	3	-
ტატანაშვილი	10	4	7	2	-	-
მჭედლიშვილი	10	4	1	-	1	-
წინამძღვრიშვილი	9	7	4	3	1	-
დიდავა	8	8	1	-	3	-
სევასტოპულო	7	3	1	-	-	-
გაგისკირია	4	1	-	-	-	-
კედელაშვილი	2	2	-	-	-	-
გვაკაკაცია	2	1	-	-	-	-
ბერიანიძე	2	-	-	-	-	-
სილაგავა	1	-	-	-	-	-
ნადირაშ. (მეკ.)	1	-	-1	-	-	-
ჩიმაკაძე	1	-	1	-	-	-



თუკი ვინმემ პირველი წრე გაალამაზა და მაყურებლის თვალში ლაზათი შემატა, ეს გუნდი, რუსთავის "ოლიმპთან" ერთად, თბილისის "ამერია". ვერ განვაცალკევებთ "ამერს" უეფას თასზე და საქართველოს ჩემპიონატზე. ვფიქრობთ, "ბანანცთან" რთული გამარჯვება და ბერლინის "ჰერტასთან" გამოვლენილმა ბრძოლისუნარიანობამ, მოთამაშეებს თავდაჯერებულობა შემატა. შედეგად, ეროვნულ ჩემპიონატსა და თასზე წელში გამართული, საკუთარ ძალებში დარწმუნებული "ამერი" ვიხილეთ.

გუნდი ლიდერებში მოხვდა და რომ არა ბოლო ტურში "ვიტ ჯორჯიასთან" მარცხი, ცხრილის სათავეში დარჩებოდა.

გიორგი ჩიხრაძის სამწვრთნელო ნიჭი ის ნინაპირობა აღმოჩნდა, რომელმაც ცნობილი თუ გამოუცდელი ფეხბურთელების შესაძლებლობას გასაქანი მისცა, უმაღლეს ლიგას კი ამბიციური გუნდი შესძინა.

გიორგი ჩიხრაძე — მთავარი მწვრთნელი

ზოგადად პირველ წრეს მომზადებული შევხვდით. უეფას თასზე თამაშმა დადებითად იმოქმედა. მართალია, ჩეხეთის შეკრებაზე სათამაშო პრაქტიკა დაგვაკლდა, თუმცა "ბანანცთან" მატჩის შემდეგ რამდენიმე საკონტროლო მატჩი ჩავატარეთ და ეს ძალიან წაგვადგა.

წრე ცუდად არ ჩაგვიტარებია. ბოლო ტურამდე ვლიდერობდით და მხოლოდ ბოლოს "ვიტ ჯორჯიასთან" მარცხით ჩამოვქვეითდით. ძალიან მიხარია, რომ "ფოლკსვაგენის" თასს პირველად "ამერი" დაეუფლა. პირველ ნახევარში ნაჩვენები ფეხბურთი მაიმედებს, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლას მოვახერხებთ.

საუკეთესო მატჩი

საუკეთესო მატჩი თბილისის "დინამოსთან" ჩავატარეთ. 1:0 მოვიგეთ და ბიჭების თამაშით, მათ მიერ დავალების შესრულებით კმაყოფილი დავრჩი.

ყველაზე ცუდი მატჩი

ასე მთლიანად ვერცერთ თამაშზე ვერ ვიტყვი, რომ ჩავაგდეთ, თუმცა "ვიტ ჯორჯიასთან" წაგების (3:4) თავიდან აცილება შეგვეძლო. იგივეს ვიტყვი შინ "ოლიმპთან" ფრეზე (2:2). ორივე შეხვედრის დასაწყისი ჩავაგდეთ.

პლუსი

ვფიქრობ, "ამერი" თანაბრად დაკომპლექტებული და მოტივირებული გუნდია. ბრძოლისუნარიანობით გამოირჩევა, ჩვენი დიდი პლუსი კარგად ორგანიზებული შეკრების ჩატარებაა. ორგანიზაციული მხარის მოწესრიგება გუნდზე ძალზედ კარგად მოქმედებს.

მინუსი

ჩვენს დონეზე, გამოკვეთილი მინუსები "ამერს" არ გააჩნია. თუმცა ვხედავ, კარგად ჩატარებული მატჩების შემდეგ მოთამაშეები კონცენტრაციას კარგავენ.

პროგრამა მაძლიმუმი

"ამერი" ამბიციური გუნდია და მხოლოდ სამეულში მოხვედრა არ გვაკმაყოფილებს. ჩემპიონობაც, თასიც და სუპერთასიც - ესაა ჩვენი მიზანი.

პროგრამა მინიმუმი

უეფას თასის საგზურის მომპოვებელთა რიცხვში აუცილებლად უნდა მოვხვდეთ.

მზადება მეორე წრისთვის

24 დეკემბერს შევიკრიბეთ და თბილისში ვემზადებოდით. 6-17 იანვარს კი თურქეთში, ბელექში გავიარეთ შეკრება. სამწუხაროდ, დაგეგმილი ორი მატჩიდან მხოლოდ ერთი ჩავატარეთ მოსკოვის "სპარტაკის" დუბლებთან (2:3). 26 იანვრამდე თბილისში ვიქნებით, მერე ისევ თურქეთში გავაგრძელებთ მომზადებას. ბელექში 4-5 თამაშის ჩატარება გვსურს. ოთხი უკვე დაიგეგმა სერბულ, სლოვაკურ და ორ რუმინულ გუნდთან. შესაძლოა, დასავლეთ ევროპიდან დამატებით კიდევ ერთი სპარინგ-პარტნიორი გამოჩნდეს.

საპადრო პოლიტიკა

მიმდინარეობს მიზანმიმართული მუშაობა და მაქსიმალურად ვცდილობთ გაძლიერებას. ფეხბურთელის შერჩევის დროს მთავარი კრიტერიუმია პროფესიონალიზმი და პიროვნული თვისებები. ჩვენ ნაცნობ-მეგობრობით გუნდს არ ვაკომპლექტებთ.

ცვლილებები უკვე ყველასათვის ცნობილია: "ბორჯომიდან" მოვიდა მესხი, მეორე გუნდიდან ფირანიშვილი დავიმატეთ. შესაძლოა, მეორე წრემდე კიდევ ვინმე დავიმატოთ.

წავიდა კედელაშვილი, იჯარით მიდის სილაგავა, გაურკვევლობაში არიან ბერიანიძე და სევასტოპულო. მათი საკითხი გადასანყვეტია.

პირველი წრის რჩეულნი

რამდენიმე ფეხბურთელმა თამაშები მაღალ დონეზე ჩაატარა. მათ შორის საუკეთესოს გამორჩევა მიჭირს. მაგალითად მოვიყვან ქვაჩახიას, ბოლქვაძეს, დავითაშვილს, დოლიძეს, ტატანაშვილს, ხვადაგიანს, მჭედლიშვილს, დეკანოსიძეს. ალბათ, მაინც ქვაჩახია და დოლიძე არიან გამორჩეულები.

ფინანსური მდგომარეობა

"ამერი" საქართველოში გამორჩეულია კარგი და სტაბილური ფინანსური მდგომარეობით.

ამერი და ძოგაგი

ბედნიერი ვარ, რომ ვწვრთნი იმ თბილისურ გუნდს, რომელსაც დედაქალაქში გამორჩეულად მრავალრიცხოვანი გულშემატკივარი ჰყავს. ეს ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. "ამერის" მცდელობა მათ მოზიდვასაც ითვალისწინებს. ყოველთვის მოგებაზე ვართ დაგეშილები და გულშემატკივრებმაც ამიტომ შეგვიყვარეს. დაარსებულია "ამერის" ფან-კლუბი, რომელსაც ხშირად ვხვდებით. გუნდი უშვებს ყოველწლიურ ბუკლეტებს და ვცდილობთ, მათთან ახლო ურთიერთობა გვქონდეს და ბარიერები მოვსპოთ. გულშემატკივარი დღეს ფუფუნებაა და მათ მართლა ძალიან ვაფასებთ. მიგვაჩნია, რომ "ამერს" საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეული გულშემატკივარი ჰყავს.

ჩემპიონატის ახალი ფორმატი

დღევანდელი ვითარების და გუნდების ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, 16-გუნდიანმა პირველობამ პრობლემები შექმნა. ყველას არ აქვს საკმარისი პირობები. ამის გამო, გამოიკვეთნენ აშკარა ლიდერები და აუტსაიდერები. ეს უკანასნელები საშუალო შეძლების გუნდებსაც ვერ უწევენ კონკურენციას. ეს არის პრობლემა. ვფიქრობ, ოპტიმალური 12-გუნდიანი უმაღლესი ლიგაა.

თასის ახალი ფორმატი

ეს ნამდვილად არაა ურიგო წამოწყება. მისი წყალობით, თამაშების რაოდენობა გაიზარდა და ყველა მოთამაშის გამოცდის საშუალება გაგვაჩნია.

კოლეგები

უდავოა, რომ ლიდერი გუნდების მწვრთნელებმა ძალიან კარგად იმუშავეს. გამოვარჩევდი ოლიმპელ კოლეგა გიორგი კიკნაძეს და რამაზ მუმლაძეს, "ვიტ ჯორჯიის" მწვრთნელს.

მსაჯობა

ურიგო არ იქნება, ჩვენს პირველობაზე უფრო კვალიფიციური მსაჯობა რომ იყოს. თუმცა მიმაჩნია, რომ შედეგი ცუდ მსაჯობას არ უნდა დააბრალო.

გარიგებული მატჩები

ამაზე ვარაუდების დონეზე შეიძლება საუბარი, მაგრამ დამტკიცება ძნელია. მე მაინც ვფიქრობ, რომ ასეთი რამ პირველ წრეში იყო და ალბათ, მეორე წრეშიც იქნება. ასეთ ფონს უმოტივაციო გუნდები ქმნიან.

მერაბ მამულაშვილი



I ტური
31.07.06 შ ჩიხურა 2:0
დავითაშვილი, ტატანაშვილი

II ტური
05.08.06 ს ბათუმი 1:0
დოლიძე
ტიაგომ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე 80')

III ტური
20.08.06 შ დინამო 2:0
ხვადაგიანი, წინამძღვრიშვილი
კაშიამ ვერ გაიტანა პენალტი (89, ძელი)

IV ტური
27.08.06 ს დილა 4:1
ტატანაშვილი , ჩიკვილაძე,
ჩიმაკაძე, დოლიძე

V ტური
20.08.06 შ ბორჯომი2:0
დიდავა, დავითაშვილი

VI ტური
17.09.06 შ ტორპედო1:0
წინამძღვრიშვილი

VII ტური
23.09.06 ს სიონი 1:1
სევასტოპულო

VIII ტური
14.10.06 შ კახეთი 3:0
ბოლქვაძე, დოლიძე, ტატანაშვილი

IX ტური
21.10.06 ზესტაფონი 0:0

X ტური
29.10.06 შ ლოკომოტივი 3:0
დოლიძე, ტატანაშვილი, მჭედლიშვილი

XI ტური
5.11.06 შ მერანი 4:0
დოლიძე, წინამძღვრიშვილი,
დავითაშვილი, ტატანაშვილი

XII ტური
18.11.06 შ ოლიმპი 2:2
დოლიძე, ტატანაშვილი

XIII ტური
26.11.06 ს ვიტ ჯორჯია 3:4
წინამძღვრიშვილი, ტატანაშვილი,
დოლიძე

სულ 8 მოგება, 3 ფრე 1 წაგება.
ბურთების შეფარდება 28 – 8. 27 ქულა

ჩელსი. კონფლიქტი

დაპირისპირება, რომლის დამალვა აღარ ხერხდება

მოურინიომ აბრამოვიჩს შეტყობინება გაუგზავნა, რუსი ოლიგარქი ლონდონელთა მატჩებს აღარ ესწრება?

"ლივერპული"-"ჩელსის" შაბათის მატჩი (2:0) რამდენიმე წამის დასრულებული იყო, როცა მიმომხილველებმა ფრიად საგულისხმო დეტალი დააფიქსირეს. ამ დეტალმა ცხადყო, რომ "ჩელსიში" არათუ ყველაფერი რიგზე არ არის, დაძაბულობა პიკს აღწევს და ადრე თუ გვიან სიტუაცია აფეთქდება. **ჟოზე მოურინიო** წაგებულ შეგირდებს მინდვრის კიდეზე შეეგება, ხელი ჩამოართვა და გაამხნევა, გაამხნევა უკლებლივ ყველა, ერთის გარდა. ეს ერთი **ანდრეი შევჩენკო** იყო.

კაცმა რომ თქვას, იმ საღამოს შევჩენკოს უფრო ჰქონდა უკმაყოფილების საფუძველი, ვიდრე მოურინიოს, იმიტომ, რომ მას მხოლოდ 15 წუთი გამოუყვეს იმ თამაშის გადასარჩენად, რომელიც გუნდმა უკვე მე-18 წუთზე წააგო. შაბათს მოედანზე გასული 13 ლონდონელიდან შევა ნამდვილად არ ყოფილა ყველაზე სუსტი. მწვრთნელმა კი რატომღაც მხოლოდ მისი შემჩნევა არ ისურვა.

ეს მხოლოდ მოურინიოსა და შევჩენკოს პიროვნული დაპირისპირება არ უნდა იყოსო, წერს "მირორი". მიმომხილველის აზრით, მოურინიოს ჟესტი სხვა ადამიანისთვის იყო განკუთვნილი. ეს ადამიანი "ჩელსის" ბოსი **რომან აბრამოვიჩი** გახლავთ და ის იმ საღამოს "ენფილდზე" არ ყოფილა. ოლიგარქმა გადაუდებელი საქმეების მოსაგვარებლად რუსეთს მიაშურა და როგორც გაირკვა, "ჩელსის" დღევანდელ სათასო პაექრობასაც გამოტოვებს. "არისტოკრატები" ლიგის თასის განმეორებით ნახევარფინალში "ვიკომბს" შეხვდებიან. აბრამოვიჩი კი ისრაელში, მისი ფულით ორგანიზებულ ამხანაგურ ტურნირს დაესწრება (მასში "სპარტაკი" და თელ ავივის "ჰაპოელი" ითამაშებენ).

"ლივერპულთან" ნამატჩევს მოურინიომ მორიგი ხმაურიანი განცხადება: *"მე არასოდეს მაძლევენ იმის გაკეთების საშუალებას, რაც მინდა. მე მათ ("ჩელსის" ბოსებს) ჩემს აზრს ვაწვდი, ხოლო ისინი, სურვილის შემთხვევაში, სასურველ ფეხბურთელს ყიდულობენ. მე კი სასწაულების მოხდენა არ შემიძლია."*

გუშინდელმა "სანმა" "ჩელსის" აღმასრულებელი დირექტორის, **პიტერ კენიონის** კომენტარიც გამოაქვეყნა. კენიონმა პირველად აღიარა, რომ შევჩენკოს ტრანსფერი მოურინიოს არ მოუთხოვია. კითხვაზე, იყო თუ არა უკრაინელის ყიდვა აბრამოვიჩის სურვილი, დირექტორმა მიუგო: *"შევჩენკოზე პირველად მაშინ ვიმსჯელეთ, როცა მოურინიო "ჩელსის" მწვრთნელი არ იყო. დიახ, ეს ჩვენი იდეა გახლდათ. გვინდოდა, გვეყიდა მსოფლიოს საუკეთესო თავდამსხმელი. დარწმუნებული ვარ, იმ დროს ვისთვისაც არ უნდა გეკითხათ, ყველა შევჩენკოს დაადებდა ხელს..."*

მაგრამ, დასძინა კენიონმა, "მილანთან" მოლაპარაკებები მოურინიოს თანხმობის გარეშე არ დაგვიწყიაო. დღეს კი: *"დღეს ფეხბურთელისა და მწვრთნელის ურთიერთობა კრიტიკულია, რაც შეეხება მწვრთნელისა და პრეზიდენტის ურთიერთობას, ისიც დაძაბულია, მაგრამ ჯანსაღად (!) დაძაბული. იდეური დაპირისპირება მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება - "ჩელსის" განვითარებას და წინ წაყვანას. გუნდის შიგნით ჩვეული საქმიანი ატმოსფერო სუფევს. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაში მწვრთნელი, მეპატრონე, აღმასრულებელი დირექტორი და მთელი დირექტორატი აქტიურად მონაწილეობს. წარმატების მისაღწევად სრული ერთსულოვნებაა საჭირო..."*

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოურინიომ შევჩენკოს ხელი არ ჩამოართვა

"ჩელსიზე" საუბარს **ფრენკ ლემპარდით** დავასრულებთ. წინასაშობაოდ კენიონმა თქვა, რომ ფეხბურთელთან ახალ კონტრაქტს უახლოეს მომავალში გააფორმებდნენ. ფრენკის აგენტი **სტივ კუტნერი** კი ამბობს, რომ შეთანხმებამდე ჯერ შორია: *"პიტერს დეკემბრის მიწურულს შევხვდი. ამ დღეებში, ალბათ, კიდევ ვისაუბრებთ. მოლაპარაკებები საწყის სტადიაშია და მის დასრულებას გარკვეული დრო დასჭირდება. ყველაფერი "ჩელსიზეა" დამოკიდებული. მოგეხსენებათ, ფიფას კანონმდებლობა საშუალებას გვანიჭებს, დღეს მოქმედი შეთანხმება სეზონის დასრულებისთანავე გამოვისყიდოთ, მაგრამ ამ წუთში ფრენკი ლონდონიდან აბარგებაზე არ ფიქრობს."*

მანჩესტერ იუნაიტედი

კრისტიანოს ახალი კონტრაქტი

პორტუგალიელს რუნის და ფერდინანდს გაუტოლებენ

"მანჩესტერ იუნაიტედი" **კრისტიანო რონალდოს** ახალ კონტრაქტს შესთავაზებს. პორტუგალიელ ნახევარმცველს კვირაში 100 ათას გირვანქას გადაუხდიან. ხელშეკრულება ხუთ წელზე იქნება გათვლილი. ფეხბურთელის ანაზღაურება ზუსტად ორჯერ გაიზრდება. მასთან დაახლოებული წყარო ამტკიცებს, რომ ასეთი პირობების შემთხვევაში, ფეხბურთელი უარით გაისტუმრებს "რეალსა" და "ბარსელონას" და "ოლდ ტრეფორდზე" სიამოვნებით დარჩება. კრისტიანომ დღევანდელ კონტრაქტს 14 თვის წინ მოაწერა ხელი და ის 2010 წელს იწურება. ახალი შეთანხმება 2012 წლამდე იმოქმედებს და როგორც აღვნიშნეთ, ფინანსურად გაცილებით მომგებიანი იქნება. მისი ხელმოწერის შემდეგ რონალდო "მანჩესტერის" ყველაზე მაღალანაზღაურებად ვარსკვლავებს - **უაინ რუნისა** და **რიო ფერდინანდს** გაუტოლდება.



რკისტიანო რონალდო

მოსალოდნელი ტრანსფერი

ოლივეირა ესპანეთში ბრუნდება?

მილანელები რონალდოსთვის ადგილს ათავისუფლებენო...

კვირას "რეალმა" "მალიორკა" მინიმალური ანგარიშით დაამარცხა. სამეფო კლუბი პრიმერა დივიზიონის ლიდერებს - "ბარსელონასა" და "სევილიას" წამოეწია. **ფაბიო კაპელომ** განაცხადშიც კი არ შეიყვანა **რონალდო**. ბრაზილიელი თავდამსხმელი მთელი კვირის განმავლობაში ინტენსიურად ვარჯიშობდა, მაგრამ მწვრთნელმა მის სამსახურზე უარი თქვა. ესპანელი მიმომხილველების აზრით, "რეალის" ხელმძღვანელობა "ფენომენს" "მილანში" ტრანსფერისათვის ამზადებს. ამასვე გვაფიქრებინებს იტალიიდან მიღებული ცნობა. "როსონერი" ბრაზილიელი თავდამსხმელის, **რიკარდო ოლივეირას** მოშორებას ცდილობს. "გაძეტა დელო სპორტი" გვაუწყებს, რომ მილანელთა თავკაცი **კარლო ანჩელოტი** ოლივეირას პირადად შეხვდა და "ვილიარეალში" გადასვლა შესთავაზა - თავდაპირველად ექვსთვიანი იჯარით. რიკარდოს წასვლა "მილანში" ერთი არაევროკავშირელი ფეხბურთელის ადგილს გაათავისუფლებს. ამ ადგილს, სავარაუდოდ, რონალდო შეავსებს. მიმდინარე მოლაპარაკებების თაობაზე ახალი ინფორმაცია არ გავრცელებულა.

დიდი გარიგების მოლოდინში

ამერიკელებს ლივერპული არ ეთმობათ

ამერიკელი მილიარდერი **ჯორჯ ჯილეტი**, რომელიც NHL-კლუბ "მონრეალ კანადიენსის" მეპატრონეა, "ლივერპულის" დაუფლების იმედსაც არ კარგავს. ინგლისის ყველაზე ტიტულოვანი კლუბისთვის ჯილეტი და არაბული კომპანია "დუბაი ინტერნეშენალ კაპიტალი" იბრძვიან. ლივერპულელები უპირატესობას ამ უკანასკნელთ ანიჭებენ. მათ 450 მილიონი გირვანქა აქვთ გამზადებული. ჯილეტმა გადაწყვიტა, ერთ აქციაში 5 ათასი გადაიხადოს. ფასიანი ქაღალდის ნომინალური ღირებულება 172 გირვანქაა. ამ შემთხვევაში, ამერიკელთა შეთავაზება 470 მილიონამდე ავა. მაგრამ არაბების პროექტი კიდევ ორი მიზეზის გამო იმსახურებს ყურადღებას. პირველი: დასახელებული თანხის გარდა, "დუბაი ინტერნეშენალ კაპიტალი" "ენფილდის" მეზობლად ახალი სტადიონის აშენებას გეგმავს; და მეორე: ესპანურ გამოცემა "დიარიო სპორტს" თუ დავუჯერებთ, იანვრის ბოლომდე ამირები **რონალდოს** შეძენას ეცდებიან.

აქვე გეტყვით, რომ "ლივერპულის" ვეტერანი თავდამსხმელი **რობი ფაულერიც** ამერიკაში წასვლას აპირებს. მისი კონტრაქტი ივნისში იწურება. მერსისაიდელები თანამშრომლობის გაგრძელებას არ აპირებენ. ფაულერის კარიერა დასასრულს უახლოვდება. მას საინტერესო წინადადებით მიმართა "დი.სი. იუნაიტედმა". როგორც ჩანს, **დევიდ ბექჰემის** შემდეგ, ფაულერი მეორე ინგლისელი ვარსკვლავი იქნება, რომელიც MLS-ში იასპარეზებს.

...ბაროში და კარუ გაცვალეს

საფრანგეთის ჩემპიონმა ჩეხი ფორვარდი **მილან ბაროში** გადაიბირა. სანაცვლოდ, ლიონიდან ბირმინგემში წავიდა ნორვეგიელი გიგანტი **ჯონ კარუ**. "ასტონ ვილაში" **მარტინ ო'ნილის** მისვლის შემდეგ, ბაროშის საქმეები ცუდად წავიდა. 25 წლის თავდამსხმელმა 17 მატჩში მხოლოდ ერთი გოლის გატანა შეძლო. რთული სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი ფეხბურთელის აბარგება იყო. ამასობაში, "ლიონის" ვარიანტიც გამოჩნდა. **ჟერარ ულიე** ბაროშს კარგად იცნობს. ისინი ჯერ კიდევ "ლივერპულში" ყოფნის დროს თანამშრომლობდნენ. აქვე გავიხსენოთ, რომ "ლიონი" ბაროშს 2005 წლის ზაფხულშიც (მაშინ, ფორვარდი ჯერ კიდევ "ენფილდზე" თამაშობდა) იწვევდა, მაგრამ უარი მიიღო. ფრანგებს ჩეხი თავდამსხმელი 6.5 მილიონი გირვანქა დაუჯდათ.

ბრაზილია საპორტუგალიოდ

ადრიანო ბრაზილიის ნაკრებში ბრუნდება. მას შემდეგ, რაც "ინტერის" ფორვარდი ძველებურად ათამაშდა, **კარლოს დუნგამ** მყისვე უხმო "სელესაოში", რომელიც 7 თებერვალს ლონდონში პორტუგალიას შეხვდება. გამომდინარე იქიდან, რომ ბრაზილია, შეიძლება, საქართველოს ეროვნულ გუნდსაც შეხვდეს, დუნგას 22-კაციანი სია ჩვენთვის ორმაგად საინტერესოა.

მეკარეები - **ჟულიო სეზარი** (ინტერი), **ელტონი** (პორტუ);

მცველები - **ადრიანო კორეია** (სევილია), **ალექს როდრიგო** (ეინდჰოვენი), **დანიელ ალვეში** (სევილია), **ჟილბერტო** (ჰერტა), **ჟუანი** (ლევერკუზენი), **ლუსიო** (ბაიერნი), **ლუიზაო** (ბენფიკა), **მაიკონი** (ინტერი);

ნახევარმცველები - **დიეგო** (ვერდერი), **დუდუ სერენშე** (ცსკა, მოსკოვი), **ედმილსონი** (ბარსელონა), **ელანო** (შახტარი), **ჟილბერტო სილვა** (არსენალი), **კაკა** (მილანი), **ტინგა** (დორტმუნდი);

თავდამსხმელები - **ადრიანო** (ინტერი), **ფრედი** (ლიონი), **რაფაელ სობისი** (ბეტისი), **რობინიო** (რეალი), **რონალდინიო** (ბარსელონა).

რამოსი ათი დღე დაისვენებს

"რეალის" ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს "მალიორკის" დამარცხებით გამოწვეული სიხარული **სერხიო რამოსის** ტრავმამ ჩაუშხამა. ახალგაზრდა მცველმა ბალეარელებთან ორთაბრძოლაში სერიოზულად იტკინა ფეხი. ის **ფერნანდო ნავარას** შეეჯახა და თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო. მინდორზე **რაულ ბრავო** შეეიდა, რამოსი კი სამედიცინო ცენტრში გააქანეს. როგორც გაირკვა, მას მარჯვენა ტერფი დაუშავდა და რვაბილიტაციისტვის საჭარაუდოდ ათი დღე დასჭირდება. **ფაბიო კაპელოს** დამატებითი პრობლემა შეექმნა, რადგან სერხიოს გარდა ტრავმებს **მარსელო** და **რობერტო კარლოსიც** უჩივიან.

ლოკომოტივმა სტანკოვიჩიც მისურვა

მოსკოვის "ლოკომოტივი" შემადგენლობის გაძლიერებას ცდილობს. "უდინეზეს" განელი ნახევარმცველის, **ასამოა გიანის** 8-მილიონიანი ტრანსფერის შემდეგ, რკინიგზელებმა "ინტერის" სერბ ნახევარმცველ **დეიან სტანკოვიჩს** დაადგეს თვალი. 28 წლის სტანკოვიჩს შილანური კონტრაქტი 2008 წლის ივნისში უმთავრდება. მისი წლიური ანაზღაურება 1.6 მილიონ ევროს შეადგენს. "ლოკომოტივის" ხელმძღვანელობა მზადაა, სტანკოვიჩს 2.5 მილიონი გადაუხადოს, "ინტერს" კი, იანვრის ბოლომდე გარიგების შემთხვევაში, 9 მილიონი ევრო მიუთვალოს. კომენტარები უცნობია.

არმიამ კარვალიო ტრანსფერზე დააყენა

მოსკოვის ცსკა-მ ბრაზილიელი ფლეიმეიქერი **დანიელ კარვალიო** ტრანსფერზე დააყენა. მისი კონტრაქტი დეკემბერში იწურება. კარვალიომ არმიელებთან ხელშეკრულების გაგრძელება არ ისურვა. მხარეები ფინანსურ საკითხში ვერ შეთანხმდნენ. ცსკა-მ ფეხბურთელს ხელფასის 30 პროცენტით მომატება შესთავაზა. მისი ყოველთვიური ანაზღაურება 160 ათასი ევრო უნდა გამხდარიყო. კარვალიომ შემოსავლის გაორმაგება მოითხოვა. არმიელებმა კი მას ახალი სამსახურის პოვნა ურჩიეს. დაინტერესებულ კლუბებს 6 მილიონი ევროს გადახდა მოუწევთ. ცსკა-მ კარვალიო 2004 წელს დაახლოებით 5 მილიონად შეიძინა. გასულ ზაფხულს ფეხბურთელს "ბორდო", "ვალენსია", "ატლეტიკო" და "ეინდჰოვენი" ეპატიჟებოდნენ.

სერია A-ს ლიდერი ციფრებში

არაჩვეულებრივად შთამბეჭდავი ინტერი

მორატი კასანოს საკითხს ზაფხულში განიხილავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანჩინი ადრიანოს ბოლოდროინდელი თამაშით კმაყოფილია

სტატისტიკა ფეხბურთში ბევრზე მეტყველებს. საკმარისია ქვემოთ მოყვანილ ციფრებთან გაცნობა იმის გასარკვევად, თუ როგორია უს „ინტერი", იტალიაში ნელს ქვას ქვაზე რომ არ ტოვებს და უკვე საკუთარი რეკორდების გაუმჯობესებით ერთობა. მაშ ასე: პირველი და მთავარი – ზედიზედ 13 გამარჯვება სერია A-ში. რეკორდი აქამდე „რომას" ეკუთვნოდა ზედიზედ 11 გამარჯვებით, მაგრამ „ნერაძურომ" ის ერთი კვირის უკან მოხსნა, გუშინწინ კი საკუთარი შედეგი გაუმჯობესა. აი, როგორი იყო მილანური გუნდისთვის ეს წარმატებული სერია: „ინტერი"-„ლივორნო" 4:1, „მილანი"-„ინტერი" 3:4, „ინტერი"-"ასკოლი" 2:0, „პარმა"-„ინტერი" 1:2, „ინტერი"-„სიენა" 2:0, „ემპოლი"-„ინტერი" 0:3, „ინტერი"-„მესინა" 2:0, „ლაციო"-„ინტერი" 0:2, „ინტერი"-„ატალანტა" 2:1, „ტორინო"-„ინტერი" 1:3, „ინტერი"-„ფიორენტინა" 3:1. მეორე რეკორდი, რომელიც **რობერტო მანჩინის** გუნდმა საკვირაო გამარჯვებით დაამყარა: 54 ქულა 20 ტურის შემდეგ. ასეთი შედეგი სერია A-ში ჯერ არავის ჰქონია, არც გასული ჩემპიონატის შეუჩერებელ „იუვენტუსს", რომელსაც 20 ტურის შემდეგ 53 ქულა ჰქონდა (17 მოგება, 2 ფრე და 1 წაგება). „ფიორენტინასთან" გამარჯვებით და „რომა"-„ლივორნოს" ფრის წყალობით, „ინტერმა" უახლოეს მდევართან უპირატესობა 11 ქულამდე გაზარდა, რაც სერია A-ს კიდევ ერთი რეკორდია მას შემდეგ, რაც ჩემპიონატში გამარჯვებაზე გუნდებს 3 ქულა ერიცხებათ. 1992/93 წლების სეზონში (როცა გამარჯვება 2 ქულად ფასობდა), 20 ტურის შემდეგ **კაპელოს** „მილანი" მდევარ „ინტერს" 9 ქულით (35 ქულა 26-ზე) უსწრებდა. ქულათა დღევანდელი აღრიცხვის პირობებში, ეს უპირატესობა 14 ქულა იქნებოდა (50 ქულა 36-ზე). ამ ყველაფერთან ერთად „ინტერი" ერთადერთი გუნდია, რომელსაც ჯერ ერთი შეხვედრაც არ წაუგია. ორი წლის უკან „ნერაძურომ" პირველი თამაში 26-ე ტურში წააგო „მილანთან" (0:1). 20 ტურის შემდეგ დაუმარცხებელი სხვა გუნდების სია ასეთია: „ფიორენტინა" 1955/56 სეზონში, „მილანი" 1991/92 და 1992/93 სეზონებში, საბოლოოდ სწორედ დარჩათ ჩემპიონის ტიტული. გამონაკლისია „პერუჯა", რომელიც 1978/79 სეზონში 20 ტურის შემდეგ დაუმარცხებელი იყო, მაგრამ სკუდეტოს მოგება მაინც ვერ შეძლო, რადგან „მილანმა" გადაასწრო. 20 ტურის შემდეგ სერია A-ს საუკეთესო თავდასხმაც „ინტერისაა": 44 გოლი, საშუალოდ 2,2 გოლი შეხვედრაში. 17 გაშვებული გოლით, „ინტერს" ჩემპიონატის საუკეთესო დაცვაც ჰყავს, თუმცა ამ მაჩვენებლით ის ერთადერთი არ არის: 17-17 გოლი აქვთ გაშვებული ასევე „მილანს", „რომასა" და „ემპოლის", რომელსაც ერთი თამაში თადარგში აქვს. დაბოლოს, კიდევ ერთი სტატისტიკური მონაცემი: „ინტერის" გარდა, ევროპულ ჩემპიონატებში კიდევ ხუთი გუნდია, ვისაც ჯერ წაგება არ აქვს. ესენი არიან: სოფიის „ლევსკი" ბულგარეთში (12 მოგება, 3 ფრე), „კოლომა" ანდორაში (10, 1), ტრასპოლის „შერიფი" მოლდოვაში (16, 5), „დომზალე" სლოვენიაში (13, 7), კიევის „დინამო" უკრაინაში (13, 3).

ზლატან იბრაჰიმოვიჩს მხოლოდ ჩემპიონატში გააქვს, მაგრამ კვირას გატანილი გოლით უკვე 9-ზე ავიდა. ამდენივე აქვს გატანილი **ერნან კრესპოსაც. დეიან სტანკოვიჩი** არაჩვეულებრივ სეზონს ატარებს და არც გოლებზე ამბობს უარს. მის ანგარიშზე ხუთი ბურთია. „როცა ასეთი თანაგუნდელები გყავს, კარგად თამაში და გოლების გატანა ძალიან ადვილი ხდება", – ამბობს სერბი ნახევარმცველი. მაგრამ არის ისეთი რაღაცეებიც, რასაც ციფრებით ვერ გამოხატავ. აქ იგულისხმება ის თამაში, რომელიც მანჩინის გუნდმა კვირას „ფიორენტინასთან" აჩვენა, განსაკუთრებით პირველ 25 წუთში. ასე მოთამაშე „ინტერს" **მასიმო მორატიმ** „არაჩვეულებრივად შთამბეჭდავი" უწოდა. ვინ შეაჩერებს ამ „ინტერს"? ვერავინ თავად „ინტერის" გარდა. სინიორ მორატი ამ პოსტულატს სრულიად ეთანხმება: „ნებისმიერი გუნდი შეიძლება, რომ რაღაც მომენტში საკუთარი თავის მოწინააღმდეგედ იქცეს: ხდება ხოლმე, რომ ფეხბურთელები ზომაზე მეტად ნერვიულობენ, ან კიდევ ზომაზე მეტად თავდაჯერებულები არიან, ასე რომ, კატეგორიულად იკრძალება ქედმაღლობა. თავში არ უნდა აგვივარდეს, ეიფორიას არ უნდა მივეცეთ. ესაა ახლა ჩვენი ამოცანა: ვიფრინოთ, მაგრამ ვიფრინოთ მიწასთან ახლოს, რადგან წინ ჯერ კიდევ უამრავი თამაში გველის". ამ ყველაფრისთვის კი ახალი ფეხბურთელების ყიდვა საჭირო სულაც არ არის. ყოველ შემთხვევაში, ასეთია **მარკო მატერაცის** აზრი: „მგონი, „ფიორენტინასთან" გამარჯვებით, საბოლოოდ დავარწმუნეთ მორატი და მანჩინი, რომ ამ შემადგენლობას გაძლიერება არ სჭირდება". მსოფლიო ჩემპიონის აზრს მორატიც იზიარებს, პარალელურად მაინც იტოვებს იმედს, რომ **ლუიშ ფიგუს** კიდევ ერთი სეზონითი შეინარჩუნებს: „ფიგუმ იცის, რომ როცა კი მოუნდება, მაშინვე შეუძლია, ხელი მოაწეროს კონტრაქტს ისეთივე პირობებით, როგორიც ახლა აქვს. სხვა მხრივ კი, იანვარში ახალი ფეხბურთელების არანაირი საჭიროება არ გვაქვს, მათ შორის არც კასანოსი. კასანომ თავადაც კარგად იცის, რომ იანვარში ჩვენთან არ გადმოვა. ის იმ ათამდე ფეხბურთელის რიცხვში რჩება, ვისაც „ინტერი" თვალ-ყურს ადევნებს და მომავალშიც მიადევნებს, თუ მანჩინისგან შესაბამის მითითებას მიიღებს. ასე რომ, კასანოს საკითხი მომავალ სეზონამდე დახურულია. მწვრთნელის ახალი კონტრაქტი? იმედი მაქვს, რომ ამასთან დაკავშირებით უკვე ყველა ეჭვი გაფანტულია. შეთანხმება გვაქვს, ამიტომ მეცა და მანჩინიც მშვიდად ვართ."

„ლივორნო"-„რომას" ფრემ, „ფიორენტინასთან" გამარჯვება ინტერისტებისთვის ორმაგად სასიამოვნო გახადა. თამაშის შემდეგ „ინტერის" მწვრთნელი და ყველა ფეხბურთელი გახარებულებულები იყვნენ და სიამოვნებით თანხმდებოდნენ ჟურნალისტებთან გასაუბრებას. აი, როგორი იყო მათი კომენტარები.

რობერტო მანჩინი: „კმაყოფილი ვარ დღევანდელი გამარჯვებით და კიდევ უფრო კმაყოფილი ვიქნები, თუ ყურადღებას არ მოვადუნებთ და გამარჯვებებს გავაგრძელებთ. „რომასთან" უპირატესობა ორი ქულით გავზარდეთ, მაგრამ სიტუაცია დიდად არ იცვლება, რადგან ჩვენ თავს უნდა მივხედოთ და მომავალშიც ისე ვითამაშოთ, როგორც დღეს. განსაკუთრებით პირველ ტაიმში გამოვავლინეთ გამანადგურებელი გუნდის ინსტინქტი, დიდებულად ვითამაშეთ იმ „ფიორენტინასთან", რომელიც ნებისმიერისთვის რთული მეტოქეა და რომელმაც ხუთ წუთში ანგარიშის გახსნაც შეძლო ჩვენი მცველების უყურადღებობის გამო. მაგრამ არ გაგტყდით და ოც წუთში ორი გოლით ვუპასუხეთ „ფიორენტინას", რომელიც ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია და ზედიზედ ცხრა შეხვედრაში არ წაეგო. ადრიანო? ადრე თუ გვიან ფორმა უნდა დაებრუნებინა, ახლა გაცილებით უკეთესად გამოიყურება, მაგრამ კიდევ შეუძლია, რომ მოუმატოს. თავდაუზოგავად ვარჯიშობს და თამაშიდან თამაშამდე უმატებს. მაგრამ „ინტერის" ხუთივე თავდამსხმელი, ერთმანეთისგან განსხვავებული თვისებების მიუხედავად, უმაღლესი კლასისაა, თითოეულ მათგანს შეუძლია, რომ შეხვედრის ბედი ინდივიდუალურად გადაწყვიტოს. ამ სამი წლის განმავლობაში, რაც სათავეში ვარ, საქმე მეტ-ნაკლებად ყოველთვის კარგად მიგვდიოდა. მუშაობის პროცესში მაქსიმალურ სიმაღლეებს ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ აღწევენ. „ინტერი" ახლა ძალიან მაღალ დონეზე დგას, თანმიმდევრულად ვმუშაობთ და ფეხბურთელების ბირთვიც იგივეა, ვისთან ერთადაც სამი სეზონის წინ მუშაობა დავიწყე. ახალი კონტრაქტი? საჩქარო არაფერია, მეცა და ხელმძღვანელობაც ძალიან მშვიდად ვართ, როცა საქმე კარგად მიდის, მოვლენებში ხელოვნურად არ უნდა ჩაერიო. არ არსებობს არანაირი პრობლემა, შესაფერის მომენტში ყველაფერს ისე გავაკეთებთ, როგორც საჭირო იქნება."

ესტებან კამბიასო: „კმაყოფილები უნდა ვიყოთ დღეს მოპოვებული სამი ქულით. შეიძლება, ეს ყველაზე ლამაზი თამაში იყო, რომელიც ამ სეზონში ვაჩვენეთ. კარგი თამაში ქმნის შედეგს, მაგრამ ასევე მინდა აღვნიშნო ჩვენი გუნდის მტკიცე ხასიათი. ხუთ წუთში გოლი მივიღეთ, მაგრამ ამის გამო სიმშვიდე არ დაგვიკარგავს. მაინც დარწმუნებულები ვიყავით, რომ შეხვედრას ჩვენს სასარგებლოდ დავასრულებდით. დღეს „სან სიროზე" დიდი პუბლიკა იყო, უფრო მეტი ხალხი მოვიდა, ვიდრე საერთოდ. ყოველთვის დიდი სიამოვნებაა, როცა ჩვენი ტიფოზების წინაშე ასე ვთამაშობთ. თუ სტადიონი სავსეა, ეს ჩვენ დამატებით სტიმულს გვაძლევს. ყოველ თამაშში ბოლო წუთამდე კონცენტრირებული უნდა იყო, რადგან ერთმა გაშვებულმა გოლმა შეიძლება, მთლიანად გადაუსვას ხაზი ისეთ დიდ გამოსვლას, როგორიც დღეს ვაჩვენეთ. ახლა ზედიზედ სამი თამაში გველის „სამპდორიასთან" (ერთი ჩემპიონატში და ორიც თასის ნახევარფინალში), ამ ერთ თვეში ბევრი რამ გადაწყდება. ვითამაშებთ დიდი მონდომებითა და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით."

გოგა ახალაძე

ტოტიმ პირადი მწვრთნელიც კი არ დაინდო

რომას კაპიტანი ახალი პოლემიკის ცენტრში

ტოტის ტკბილი და მწარე კვირა

138-ე გოლი სერია A-ში: ტოტი მოქმედ ფეხბურთელებს შორის საუკეთესო ბომბარდირი შეიქნა, მაგრამ მერე თავი გააძევებინა და თავის მწვრთნელს დაარტყა. შეიძლება, 4 თებერვალს ინტერთან ვერ ითამაშოს

გოლო კვირა დღე **ფრანჩესკო ტოტისთვის** ტკბილიც იყო და მწარეც, კარგიცა და ცუდიც. კარგით დავიწყოთ: „რომა" ლივორნოში 0:1-ს აგებდა, როცა 74-ე წუთზე კაპიტანმა ანგარიში გაათანაბრა და თავის გუნდს ქულა გადაურჩინა. ეს იყო ტოტის 138-ე გოლი სერია A-ში, რითაც მან **ენრიკო კიეზას** შედეგი გაიმეორა. მოქმედ ფეხბურთელებს შორის ახლა კიეზა და ტოტი არიან ისინი, ვისაც იტალიის ჩემპიონატში ყველაზე მეტი გოლი აქვთ გატანილი. „სიენის" ვეტერანმა ფორვარდმა ამ მოვლენას შემდეგი კომენტარი გაუკეთა: „ტოტი დამეწია? მოხარული ვარ და ვუილოცავ. ეჭვი არასდროს მეპარებოდა, რომ ამის გაკეთება არ გაუჭირდებოდა. ფრანჩესკო დიდი ფეხბურთელია, მე მისი ყველა წარმატება მახარებს. თუმცა, გოლების გატანა ჯერ არ დამიმთავრებია, იმედი მაქვს, რომ ჩემი კარიერა კიდევ დიდხანს გასტანს. მთელი დატვირთვით ვვარჯიშობ და ფიზიკურად თავს კარგად ვგრძნობ". კარგი ამბები იმ გოლით მთავრდება, მერე რაც მოხდა, ტოტის ალბათ დიდხანს და ძალიან მწარედ გაჰყვება. დამატებული წუთები მიდიოდა, როცა „ლივორნოს" მცველმა **ფაბიო გალანტემ** „რომას" კაპიტნისთვის ბურთის წართმევა სცადა და ამ დროს იდაყვი სახეში მოარტყა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თამაშის განმავლობაში ლივორნოელსა და რომაელს შორის ხშირად იყო უხეში ორთაბრძოლები და სიტყვიერადაც რამდენჯერმე წაკამათდნენ. ასე თუ ისე, ეს მაინც სათამაშო ეპიზოდი იყო, მაგრამ ტოტი ძალიან გაღიზიანდა, გალანტეს უკნიდან მივარდა და მხარზე ხელით ისე მოქაჩა, რომ მიწაზე წააქცია, თან ერთი „ნაბიჭვაროც" მიაძახა (სიმართლე ითქვას, დიდი წინააღმდეგობა არც მცველს გაუწევია, ვიდეოჩანაწერიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ გალანტე სიამოვნებით წაიქცა). არბირტმა **აიროლდიმ** თანამსაჯ **ნიკოლეტისთან** მიირბინა, რაღაც გამოკითხა და გალანტეს ყვითელი ბარათი უჩვენა (მოგვიანებით „რომას" ფეხბურთელები იძახდნენ, აიროლდიმ აღიარა, რომ არ დაუნახავს, გალანტემ ტოტის იდაყვი როგორ ჩაარტყაო). ამის შემდეგ მსაჯმა ტოტი თავისთან იხმო, მაგრამ კაპიტანმა თითქოს ვერ გაიგონა, ცენტრისკენ გზა განაგრძო და უკან არც მიტრიალებულა. მუჰამედისა და მთის არ იყოს, აიროლდი თვითონ მივიდა ტოტისთან და წითელი ბარათი აუფრიალა. იქნებ, მისთვისაც „ყვითლის" ჩვენება უნდოდაო, წერდა „გაძეტა დელო სპორტი", მაგრამ აიროლდი ცოტა წვრილმანი კაცია, დაიბოღმა, კაპიტანმა ყურადღება რომ არ მიაქცია და სანამ დაეწეოდა, ეტყობა, აზრი შეიცვალაო. „წითელი" რომ დაინახა, ამაზე ტოტი სულ გაგიჟდა და კორიდის ხარივით პირდაპირ რქებით წავიდა: ლაინსმენს მივარდა და გინება დაუწყო. **ვიტო სკალა**, მისი მეგობარი და პერსონალური მწვრთნელი ფიზმომზადებაში, მოედანზე გავარდა და სიტუაციის განმუხტვა კაპიტნის გასახდელში გაყვანით სცადა, მაგრამ მოულოდნელი პასუხი მიიღო: ტოტიმ სკალას ისეთი ძალით ჰკრა ხელი, რომ მთელი სტადიონის თვალწინ მიწაზე გააგორა. ტრიბუნაზე რომაელი ჟურნალისტები ერთმანეთს თურმე ყბაჩამოვარდნილები უყურებდნენ - ვის დაარტყა ხელი, ძმებივით არიანო. ასე იყო თუ ისე, პატარა მედიასკანდალისთვის წინაპირობა უკვე შექმნილია. თუმცა, ამას ვინ დაეძებს. მთავარი ისაა, რომ ტოტის, როგორც კაპიტანს, სულ ცოტა ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უპრინციპულეს შეხვედრას გამოტოვებს „ინტერთან", რომელიც 4 თებერვალს „სან სიროზე" გაიმართება. „რომას" 10 ნომრის ამ მორიგ საგმირო საქმეს „გაძეტა დელო სპორტი" გუშინ ასე ეხმაურებოდა: „თუ ვინმეს მაზოხიზმისკენ ძლიერი მიდრეკილებები გაქვთ და კარგად არც იცით, საკუთარ თავს ზეიმი როგორ ჩაუშხამოთ, მაშინ ფრანჩესკო ტოტის მიმართეთ. ის ამ საქმის დიდი ექსპერტია. წლები გადის, ჯერ ქმარი და მერე მამა ხდები, მაგრამ არაფერი იცვლება, სიბრძნე არ მოდის, ოჯახური ბედნიერება საკმარისი არაა იმ ნერვიულობის ჩასახშობად, რომელიც გარეგნულად არ ჩანს, მაგრამ სადღაც არის დამალული და ყოველთვის მზად არის, რომ ნებისმიერ პროვოკაციაზე თავი იჩინოს. შეიძლება, ტოტის არაფრის შეცვლა არ შეუძლია: უბრალოდ ასეთია, მორჩა და გათავდა. მაგრამ ამჯერად პროვოკაცია მძიმე აღმოჩნდა და უფრო მძიმე შედეგებით დამთავრდა... ვიტო სკალამ, მისმა ლიპიანმა მწვრთნელმა, მიწაზე ეაშლიკით რომ გაგორდა, გაკიცხვის მაგივრად, ფრანჩესკოს გამართლება სცადა: „ნახეთ, როგორ მოექცენენ?" წარმოიდგინეთ 2012 წელი: ტოტის ხუთი შვილი ჰყავს, მისი ილარი კიდევ უფრო ლამაზი და მომხიბლავია, რომაელი ტიფოზები ისევ ბრმად აღმერთებენ თავიანთ ფრანჩეს და მის სახელს ფიცულობენ, ჩვენ კი, ჟურნალისტები, ისევ ძველ თემაზე ვბჭობთ: „რატომ არის, რომ ტოტისნაირი ნიჭიერი ფეხბურთელი ვერასდროს მოხვდება მსოფლიო ვარსკვლავების რიცხვში?" რიტორიკული შეკითხვაა. პასუხი თვითონ ტოტია, უფრო ზუსტად მისი სიჯიუტე, რომელიც მაზოხიზმს უახლოვდება. ჯერაც შეუფასებელია ის ზარალი, რომელიც საკუთარ თავს 2004-ში იმ ცნობილი შეფურთხებით მოუტანა. ლივორნოს სცენაც მოივლის ნახევარ დედამიწას. მაგრამ სკანდალური ეპიზოდები იქით იყოს და, ორი სენია ისეთი, რომლისგანაც ტოტი უკურნებელი ჩანს: უუნარობა, რომ გაუძლოს პროვოკაციას (შევადაროთ პლატინის, შევადაროთ მარადონას) და ის ქრონიკული, ზიზღნარევი მზერა მტრის, ანუ არბიტრის მიმართ. დიახ, არბიტრი, სულ არბიტრი. ალბათ, ასე ასწავლეს, მას შემდეგ, რაც ბურთის გორება დაიწყო. ახლა რომაული გაზეთები დაწერენ: დიდება შენ, ჩვენო ფრანჩესკო და ვაი იმას, ვინც ხელს გახლებს."

გოგა ახალაძე

ნილი ვესტ ჰემში, უორნოკი ბლექბერნში

ავსტრალიის ნაკრების კაპიტანმა **ლუკას ნილმა** "ბლექბერნიდან" "ვესტ ჰემს" მიაშურა. "ჩაქუჩებმა" ტრანსფერი ოფიციალურად დაადასტურეს, თუმცა თანხაზე არაფერი უთქვამთ. "ვესტ ჰემს" გავარდნა ემუქრება. ნილამდე, ლონდონელებმა **ლუიშ ბოა მორტე** ("ფულჰემი"), **ნაიჯელ ქუაში** ("ვესტ ბრომვიჩი") და **კალუმ დევენპორტი** ("ტოტენჰემი") გადაიბირეს. მათ იმედი აქვთ, რომ ახალი ძალებით პრემიერლიგაში დარჩენას შეძლებენ.

"ბლექბერნმა" კი დრო არ დაკარგა და ნილის შემცვლელად ლიეერპულელი **სტივ უორნოკი** აიყვანა. 25 ნლის მცველს სამწლიანხანგრძლივი კონტრაქტი გაუფორმეს. "ვარდენის" მწვრთნელი **მარკ ჰიუზი** კმაყოფილია. უორნოკის მოსვლით ის მარცხენა მცველის პოზიციას აძლიერებს. შესაბამისად, სტივი **ზურაბ ხიზანიშვილის** კონკურენტი ვერ იქნება.

არმინია: ფონ ჰეეზენი ზაფხულში წავა

გადაწყვეტილება მიღებულია: ბილეფელდის „არმინიის" მთავარი მწვრთნელი **თომას ფონ ჰეეზენი** კონტრაქტის გაგრძელებაზე უარს ამბობს, რაც იმას ნიშნავს, რომ სეზონის დასრულების შემდეგ, ბილეფელდელებს ახალი სპეციალისტის ძებნა მოუწევთ. კლუბის ბოსებმა ახალი ხელშეკრულების გაფორმება მას კვირას შესთავაზეს (2009 ნლამდე) და „კიკერის" ინფორმაციით, ცივი უარი მიიღეს.

იუვენტუსი

500 მატჩით მესამე ადგილზე

ალექს დელ პიერომ იუგილე მორიგი გოლით აღნიშნა

შაბათს "იუვენტუსმა" "ბარის" უმასპინძლა და 4:2 მოუგო. მოგეხსენებათ, **ალექს დელ პიერომ** ტურინელთა მაისურა მე-500-დ მოირგო. "იუვეს" კაპიტანმა ერთი გოლიც გაიტანა და ტურინული აქტივი 204 ბურთამდე აიყვანა. დელ პიერო ტურინელთა ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია. ჩატარებული მატჩების მიხედვით კი, მხოლოდ მესამე ადგილი უკავია. პირველზე **გაეტანო შირეა** გახლავთ - 552 მატჩით, ხოლო მეორეზე ჯუზეპე ფულინა - 528 მატჩით. დელ პიერო 73-ე წუთზე შეცვალეს. "დელე ალპიზე" შეკრებილი პუბლიკა მას ფეხზე წამოუდგა და ოვაციებით გააცილა.

გუცეგი ლურსმანზე

ნოვოტნი წავიდა

მას შემდეგ, რაც **სებასტიან დაისლერმა** კარიერა დაასრულა, ზუსტად 1 კვირა გავიდა და აი, ფეხბურთიდან კიდევ ერთი გერმანელი მოთამაშე მიდის. საუბარია 33 ნლის **იენს ნოვოტნიზე**, რომელიც ბოლოს ხორვატიაში, კერძოდ კი ზაგრების „დინამოში" თამაშობდა. შეგახსენებთ, რომ ნოვოტნის ზაგრებში კონტრაქტი ტრავმის გამო გაუწყვიტეს. ვეტერანმა მცველმა კიდევ ერთხელ, უკვე მეოთხედ გაიწყვიტა მყესები და ათთვიანი იძულებითი პაუზა გამოიწერა. ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა მაშინვე იეჭვეს, რომ იენსი კარიერას დაასრულებდა.

„კარიერის დასრულება გადაწყვეტილი არ მქონდა. ეს გადაწყვეტილება ტრავმის გამო მივიღე. იმის წარმოდგენაც კი მიჭირს, რომ ახლა ათი თვე უნდა დავისვენო და მერე ისევ ის პროცედურები უნდა გავიარო, რასაც ჩვეულებრივ ტრავმის შემდეგ გადიან ხოლმე ფეხბურთელები. ამდენი აღარ შემიძლია." – აცხადებს ნოვოტნი. შეგახსენებთ, რომ 33 ნლის მცველს ბუნდესლიგაში 334 თამაში აქვს ჩატარებული, გერმანიის ნაკრებში კი 48. ბუნდესგუნდის მაისურა უკანასკნელად აგვისტოში, შვედეთთან ამხანაგურ მატჩში (3:0) მოირგო.

ინტერვიუ თომას შაააფთან

სულაც არ მაინტერესებს, რას იტყვიან მიუნხენში

მწვრთნელს სჯერა, რომ კლოზე ბრემენში დარჩება



თომას შააფი

გერმანიის ზამთრის ჩემპიონი, ანუ პირველი წრის გამარჯვებული „ვერდერი", სეზონის მეორე ნახევარს თავდაჯერებული, მონდომებული და მოტივირებული ხვდება. ერთადერთი რამ, რის გამოც ბრემენელები ნერვიულობენ, თავდასხმაში შექმნილი პრობლემებია. ზიდანის მაინცში გაშვების შემდეგ, „მუსიკოსებს" ოთხი ფორვარდი დარჩათ, რომელთაგანაც ჯანმრთელი მხოლოდ ორია: კლოზე და ალმეიდა. „ვერდერის" გენერალური მენეჯერი კლაუს ალოფსი თვის ბოლომდე კიდევ ერთხელ შეეცდება „ლიონის" ბოსების დათანხმებას. როგორც იცით, ბრემენელებს ჯონ კარუ სურთ. ვერდერის" მთავარმა მწვრთნელმა თომას შაააფმა ამ და სხვა არაერთ საინტერესო თემაზე ტელეკომპანია DSF-ის პირდაპირ ეთერში ისაუბრა.

- ჰერ შაააფ, სამ დღეში გერმანიის ჩემპიონატი განახლდება. რამდენად კმაყოფილი ხართ გუნდის მომზადებით, არის თუ არა „ვერდერი" მზად იმისთვის, რომ ტრიუმფალური სვლა ჩემპიონობისკენ მეორე წრეშიც გააგრძელოს?

- ყველაფერი კარგადაა. თამამად შემიძლია გითხრათ, რომ შეკრებით კმაყოფილი ვარ. მეორე წრისთვის კარგად მოვემზადეთ. ამ კვირაში კიდევ რამდენიმე ნაყოფიერ ვარჯიშს ჩავატარებთ და მჯერა, რომ კვირას, „ჰანოვერთან", ჩემპიონატის მეორე ნახევარს წარმატებით დავიწყებთ.

- „ბაიერნმა" ომი გამოგიცხადათ. როგორია თქვენი პასუხი?

- ხომ იცით, „ვერდერი" მხოლოდ თავის თავზე ფიქრობს. კონცენტრაციას არასდროს ვკარგავთ და სრულიად არ გვაინტერესებს, რას იტყვიან მიუნხენში. რამდენიმე წელია, ასე ვიქცევით და გამონაკლისი არც ეს სეზონი იქნება. ძალიან კარგად ვიცი, რომ „ბაიერნი" ყოველთვის წნეხის ქვეშაა მოქცეული და ეს გუნდი იძულებულია, ყოველთვის პირველობისთვის იბრძოლოს. მიუნხენელთა მიზანი ხომ ყოველთვის ჩემპიონობაა. მაგრამ ჩვენც დავამტკიცეთ, რომ პირველობისთვის ბრძოლა შეგვიძლია და რომ „ბაიერნისთვის" სერიოზული კონკურენტები ვართ. ყველა ხედავს, რომ დღეს „ვერდერი" უფრო ლამაზ ფეხბურთს თამაშობს და უფრო წარმატებულია, ვიდრე „ბაიერნი". შესაბამისად, მიუნხენიდან წამოსული უკმეხი განცხადებები ოდნავადაც არ გვაღელვებს.

- შეუძლებელია, მიროსლავ კლოზეზე არ გკითხოთ. რა ელის მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს?

- იმის ალბათობა, რომ სეზონის დასრულების შემდეგ მირო ბრემენიდან წავა, ძალიან მცირეა - გნებავთ დაიჯერეთ, გნებავთ ნუ დაიჯერებთ. ჩემი აზრით, კლოზე ჩვენთან თავს ძალიან კარგად გრძნობს და ხვდება, რომ ამ გუნდს შესანიშნავად ერგება. მირომ იცის, რომ „ვერდერში" პირველია. ის ჩვენთან უნდა დარჩეს და კარიერის ბოლომდე „ვერდერისთვის" უნდა იბრძოლოს. ვფიქრობ, თუ ეს ასე იქნება, მომდევნო სეზონში კიდევ ერთი საფეხურით ავმაღლდებით და მღალი მიზნებისთვის უფრო სერიოზულად ვიბრძოლებთ.

- დავუშვათ, რომ კლოზემ „ვერდერი" დატოვა. ვინ შეცვლის მას?

- ჩვენ მის შემცვლელს არ ვეძებთ. თუკი ჩვენ თავდამსხმელის ყიდვა გვინდა, მხოლოდ იმიტომ, რომ შემადგენლობა კიდევ უფრო გავაძლიეროთ, რადგან ეს ნამდვილად გვჭირდება. განსაკუთრებით მას მერე, რაც მოჰამედ ზიდანი „მაინცში" გადავიდა. ჩვენ გვყავს კარგი თავდამსხმელები და შესანიშნავი, განუმეორებელი მიროსლავ კლოზე, მაგრამ გვინდა, რომ კიდევ ერთი კარგი ფორვარდი დავიმატოთ. გვჭირდება და იმიტომ.

- სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე სულ უფრო და უფრო ცოტა დრო რჩება. რა ხდება ჯონ კარუს ტრანსფერის გარშემო?

- ეს ძალიან საინტერესო და ჩვენთვის უაღრესად სასურველი ფეხბურთელია, რომელსაც უკვე რამდენიმე წელია ვაკვირდებით. თავად განსაჯეთ, მე მას ჯერ კიდევ იმ დროიდან ვიცნობ, როცა კარუ ნორვეგიაში თამაშობდა და როცა მის შესახებ, ფაქტობრივად, არავინ არაფერი იცოდა. მას მერე კარუ გაიზარდა, გამოცდილება შეიძინა და უმაღლესი კლასის ფორვარდად ჩამოყალიბდა. მაგრამ ხომ იცით, მხოლოდ სურვილი საკმარისი არაა. ის „ლიონის" საკუთრებაა, ფრანგები კი ძალიან დიდ ფულს ითხოვენ ფეხბურთელში, რომელიც, ფაქტობრივად, აღარ სჭირდებათ. ვერ გეტყვით, რამდენად რეალურია კარუს ტრანსფერი, უკვე ეჭვი მეპარება, რომ ის „ვერდერის" მაისურას მოირგებს.

- იმასაც ამბობდნენ, ბრემენში კლაუდიო პისარო დაბრუნდებაო...

- კლაუდიო ძალიან კარგი ფეხბურთელია, რომელიც ჩვენთან ჩამოყალიბდა, მერე კი თავისი გზა მონახა. პისარო ნებისმიერ გუნდს გააძლიერებდა, მათ შორის, რა თქმა უნდა, „ვერდერსაც". ის ბევრისთვისაა საინტერესო, ცხადია, ჩვენთვისაც. სხვათა შორის, ჩვენს სატრანსფერო გეგმებზე უკვე ვესაუბრე კლაუს ალოფსს, მაგრამ არაფერი მითხრა.

- „ბაიერნმა" იან შლაუდრაფი ცხვირწინ აგაცალათ...

- იანთან მოლაპარაკებებს ჩვენც ვაწარმოებდით და ეს საიდუმლო უკვე აღარავისთვისაა. ჩვენ მას კარგი პირობები შევთავაზეთ, მაგრამ სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღო და „ვერდერს" „ბაიერნი" ამჯობინა. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ამის გამო ჩვენ თავბედს ვიწყევლით და აღარ ვიცით, როგორ მოვითქვათ სული, ძალიან ცდება. პრობლემა არ არის - „ბაიერნში" უნდოდა, „ბაიერნი" მიიღო. ჩვენ პატივს ვცემთ შლაუდრაფის გადაწყვეტილებას და მოუთმენლად ველით მომდევნო სეზონს, რადგან ძალიან გვაინტერესებს, ათამაშებენ თუ არა სასტარტო შემადგენლობაში. ფაქტია, თუ „ბაიერნი" მოისურვებს, სატრანსფერო ბაზარზე დაგვჩაგრავს, მაგრამ მხოლოდ სატრანსფერო ბაზარზე და ისიც ინერციით. ჩვენ კი სულ სხვა არგუმენტები გვაქვს და ბოლო წლებში დავამტკიცეთ, რომ მართლაც სწორ გზას ვადგავართ. ფეხბურთელები, რომელთა ყიდვაც მართლა გულით გვინდოდა, უპრობლემოდ მივიღეთ. სიმართლე გითხრათ, გაოგნებული დავრჩი იმით, რაც ული ჰაინესმა თქვა – შლაუდრაფი იმიტომ ვიყიდე, რომ „ვერდერი" გამებრაზებინაო. განა, ეს იმის მაუწყებელი არაა, რომ ული შლაუდრაფს მაინც და მაინც კარგ ფეხბურთელად არ მიიჩნევს? ასეთი განცხადებით ჰაინესი ფეხბურთელს აკნინებს. ეჰ, იანმა ჯერ კიდევ არ იცის, თუ როგორ შეცდა, როცა „ვერდერს" „ბაიერნი" ამჯობინა.

- დაბოლოს: ფინანსურად როგორ მდგომარეობაშია „ვერდერი" და შეუძლია თუ არა, ძვირადღირებული ფეხბურთელების შეძენა?

- მართებულმა სტრატეგიამ ის შედეგი მოიტანა, რომ დღეს ჩვენ უკვე შეგვიძლია ფეხბურთელების შენარჩუნება და სეზონის ბოლოს იძულებული აღარ ვხდებით, ესა თუ ის ფეხბურთელი ტრანსფერზე დავაყენოთ. ამას გარდა, „ვერდერს" უკვე შეუძლია, თავის ფეხბურთელებს ძალიან სარფიანი კონტრაქტები შესთავაზოს. მაგრამ ჯერ მაინც არ ვართ იმ საფეხურზე, ვთქვათ, რომ 10, 15 ან 20-მილიონიან ტრანსფერს გავჩარხავთ. თუმცა, მთავარი არც ფასია. ფეხბურთელი „ვერდერის" სტილს უნდა ერგებოდეს.

გოტფრიდ ლენცი



მოსწავლე და მასწავლებელი გამარჯვებას ზეიმობენ

სერ ალექს ფერგიუსონმა "არსენალთან" დრამატული წაგება ფილოსოფიურად ახსნა: *"რა თქმა უნდა იმედგაცრუებულნი ვართ, მაგრამ სტუმრად კიდევ შვიდი მატჩი გვაქვს გასამართი და ეს წაგება გაკვეთილად გამოგვადგება. შემიძლია, დაგარწმუნოთ: ამ სეზონში ასეთი რამ აღარ განმეორდება."*

უეინ რუნის გოლის შემდეგ (53-ე წუთზე) "იუნაიტედი" თითქმის მთლიანად აკონტროლებდა თამაშს, მაგრამ მატჩის მიწურულს შეტევის მარჯვენა ფლანგიდან გაკეთებულმა ორმა ჩაწოდებამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა: ჯერ **ვან პერსიმ** ისარგებლა **სესკ ფაბრეგასის** პასით, ხოლო შემდეგ **ტიერი ანრიმ ემანუელ ებუეს** გადაცემა უძლიერესი თავურით დააგვირგვინა. ფერგიმ ალბათ, უნდა გააანალიზოს, რა დაემართა "იუნაიტედის" დაცვის მარცენა ფლანგს, სადაც **პატრის ევრა** თამაშობდა და ვან პერსის გოლამდე (83-ე წუთზე) დავალებას საუცხოოდ ართმევდა თავს.

ფერგის შეგირდების თამაშით უკმაყოფილება არ გამოუთქვამს: *"ამ დონის შეხვედრები ყოველთვის რთულია. ვერ იტყვი, უპირატესობას ერთი წუთითაც არ დავთმობო. იყო მომენტები, როცა ბურთს "არსენალი" აკონტროლებდა, მაგრამ "იუნაიტედი" ფიზიკურად კარგადაა მომზადებული, ხოლო მაიკლ ქერიკი ორივე გუნდიდან საუკეთესო იყო. წაგებითაც შეიძლება სწავლა, თანაც ამ ტურის შემდეგ "ჩელსისთან" ბურთების ბალანსი ერთით უკეთესი გაგვიხდა."*

არსენ ვენგერი თვლის, რომ გამარჯვების შემთხვევაში, "მანჩესტერს" ჩემპიონობის განაღდება შეეძლო: "საფინალო სასტვენამდე ათი წუთით ადრე "იუნაიტედი", ფაქტობრივად, ჩემპიონი იყო, მაგრამ თამაშის შემდეგ მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა. მისმა წაგებამ "ჩელსის" შანსები შეუნარჩუნა და მართალია, მცირე, მაგრამ გარკვეული შანსი "ლივერპულსა" და "არსენალსაც" კი დარჩათ."

ინტერვიუ VS მანჩესტერი. გამოხმაურება

სერ ალექსი: წაგებაც გაკვეთილია

დამარცხების მიუხედავად, იუნაიტედმა ჩელსისთან გურთების ბალანსი გაიუმჯობესა...

პრემიერლიგის დასრულებამდე 14 ტურით ადრე სხვაობა "არსენალსა" და "იუნაიტედს" შორის 12 ქულაა. მიმმხილველები თვლიან, რომ "მეთოფეებს" ლიდერებზე იერიშის მიტანა ცოტა დაგვიანდათ. ვენგერი ჩემპიონობაზე თითქმის არ საუბრობს. ის უფრო იმითაა კმაყოფილი, რომ მისმა ფეხბურთელებმა ბოლომდე იბრძოლეს ჯერ ერთი ქულის გადასარჩენად, შემდეგ კი მოსაგებად. *"მანჩესტერელთა გოლი ჩვენი სიმტკიცის გამოცდა იყო. სიმტკიცე და ერთსულოვნება გუნდის განვითარების ორი მნიშვნელოვანი ფაქტორია. გამარჯვება რომ ძალიან გვინდოდა, ამიტომაც ვითამაშეთ ბოლო წუთამდე. ალბათ, დამეთანხმებით, ბოლო ოცმა წუთმა ჩვენი კარნახით ჩაიარა. ვგრძნობ, რომ გუნდი პროგრესირებს. "არსენალი" დამშეული ახალგაზრდა ლომების გუნდი ხდება, რომელსაც დიდებულად უძღვება ანრი. მას დღეს ცუდი ასისტენტობა გაუწიეს, , მაგრამ ტიერის ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია შრომა. ლიდერთან ასეთი თამაშის მოგება ძალას გვმატებს და იმედიანად განგვაწყობს."* "არსენალი" "ემირატს სთედიუმზე" მეხუთე თვეს ატარებს და ამ ხნის განმავლობაში ერთი კალენდარული მატჩიც არ წაუგია.

მარიო ბასლერის სვეტი

ბაიერნი მესამე იქნება

სუპერმარიოს აზრით, რეკორდმაისტერი მეტის ღირსი არაა...



როგორც იქნა, დაიწყო კვირა, რომელიც ბუნდესლიგას დაგვიბრუნებს. პარასკევს გერმანიის ჩემპიონატის მეორე წრე დორტმუნდის „ბორუსიისა“ და „ბაიერნის“ ჯახით განახლდება. დღეიდან ვიწყებ მნიშვნელოვან გუნდებში, ე.წ. გრანდებში შექმნილი ვითარების მიმოხილვას. ცხადია, გერმანიის ყველა დროის საუკეთესო გუნდით უნდა დავიწყო, გუნდით, რომელიც ჩემი აზრით, ამ სეზონში მხოლოდ მესამე ადგილს დასჯერდება. რა თქმა უნდა, „ბაიერნს“ ვგულისხმობ. დიახ, სწორედ ასე ვფიქრობ: მიუნხენელები ამ სეზონში მხოლოდ მესამე ადგილზე გავლენ, იმიტომ, რომ ამ გუნდში ბევრი რამ უკულმა ხდება.

ნომერი პირველი პრობლემა ნორმალური გამთამაშებლის არყოფნაა. არ ვგულისხმობ მაინცა და მაინც **კაკას** ტიპის ფლეიმეიქერს, არამედ ისეთ შემტევ ნახევარმცველებსაც, რომლებიც დაცვასაც მიხედავენ. მოკლედ, ბევრი რომ არ ვილაპარაკო: **ბასტიან შვაინშტაიგერი** თავდამსხმელებს ვერ ანაყრებს! დააკვირდით, "ვერდერი" და „შალკე“ უფრო ლამაზ და სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობენ. ბრემენულ გუნდს **დიეგო** ჰყავს, გელზენკირხენულს კი - **ლინკოლნი** და მაშინაც კი, როცა ლინკოლნი არ თამაშობს, „შალკეს“ ნახევარმცველები ყოველთვის ჩინებული პასებით ამარაგებენ ფორვარდებს.

გარდა ამისა: მსოფლიოს ჩემპიონატმა დიდი გავლენა იქონია. ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის, როგორებიც არიან **ლუკას პოდოლსკი, ფილიპ ლამი** ან შვაინი, მუნდიალის შემდეგ ძალების აღდგენა რთული რომ იქნებოდა, ეს წინდანინვე ვიცოდი. გამოცდილებს კი, მაგალითად **მიროსლავ კლოზეს** ან **ტორსტენ ფრინგსს**, ეს ძალიან კარგად გამოუვიდათ.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „ბაიერნში“ მხოლოდ 2 ფეხბურთელია ისეთი, ვისაც პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება შეუძლია, ვინც საჭიროების შემთხვევაში თანაგუნდელებს შემოუძახებს და რაც მთავარია, ვისაც დაუჯერებენ: **ოლივერ კანი** და **მარკ ვან ბომელი**. რეკორდმაისტერში მეტი ბოსი არ არის. ე.ი. გუნდში მხოლოდ ორი ნამდვილი „თავია“. შესაბამისად: არ არის „თავები“, არ არის წარმატებაც!

რას ამბობ, „ბაიერნი“ ხომ მაინც „ბაიერნია“, თანაც მწვრთნელად **ფელიქს მაგათი** ჰყავს, მიუნხენელების ჩამოწერა როგორ შეიძლებაო, მეტყვით თქვენ. სეზონის წინ რეკორდმაისტერი ბუნდესლიგის ფავორიტად მოვნათლე. სამწუხაროდ, მხოლოდ ამ ორი კრიტერიუმის გამო: იმიტომ, რომ „ბაიერნია“ და კიდევ იმიტომ, რომ მწვრთნელია მაგათი. მაგრამ ახლა ვხედები, რომ შევცდი. მგონია, რომ წელს ვერც ბუნდესლიგას მოიგებენ და ჩემპიონთა ლიგას ხომ, მით უმეტეს. თუნდაც „რეალი“ და მსუქანი **რონალდო** დაიფრინონ - უკვე წარმოუდგენელია, რომ რეკორდმაისტერმა ლიგის ფინალში ითამაშოს. სამაგიეროდ, ზაფხულში ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე იასპარეზებენ და სხვადასხვა საინტერესო ქალაქებს გაიცნობენ.

მაგრამ ჩემი ყოფილი გუნდიდან ყველაზე მეტად **კლაუდიო პისარო** მიშლის ნერვებს. ულაპარაკოდ კარგი ფეხბურთელია, მაგრამ ძალიან ამაყი, მედიდური და უაზრო. მაგალითად, შეექმნა კარგი მომენტი და ვერ გამოიყენა – ვთქვათ, ცარიელ კარს ააცილა. იმის ნაცვლად, რომ გაბრაზდეს და მინიმუმ ხმამაღლა შეიგინოს, თმების სწორებას იწყებს, კიკინას იმოწმებს და საკუთარი ნახევრისკენ ბრუნდება. მთლად პისაროსნაირად არა, მაგრამ ჩემს ნერვებზე ასევე თამაშობენ **მარტინ დემიკელისი** და **დანიელ ვან ბუიტენი** (კლაუდიოს კოლეგები გრძელი თმის ამბავში). მათ აბადოკებს რომ ვუყურებ, მგონია, რომ მსოფლიოს დასასრული ახლოვდება.

აღარაფერს ვამბობ **როკე სანტა კრუსზე**. როცა ვხედავ, თუ როგორ ვარჯიშობს ან რას აკეთებს ეს ყმაწვილი, ყოველთვის ერთი და იგივე კითხვა მიჩნდება: განა ამას ფეხბურთთან რაიმე საერთო აქვს? სად არის ბრძოლა? რატომაა, რომ სანტა კრუსის ფორმა 90 წუთის შემდეგაც კი სუფთაა? რატომ არ მოსდის ოფლი? განა ადამიანი არაა? არა, ჩემთვის ეს გუნდი მხოლოდ მოდაში თუ გახდება ჩემპიონი და ჩემი ნება რომ იყოს, „ბაიერნს“ FC Barbie Munchen-ს დავარქმევდი.

სხვათა შორის, ეს ყველაფერი მხოლოდ მე კი არ მიშლის ნერვებს, არამედ **ული ჰაინესსაც**. ძალიან კარგად ვიცნობ ულის და ვიცი, რომ ჯავრს სულ მალე, სატრანსფერო ბაზარზე ამოიყრის. სავარაუდოდ ზაფხულში. **არიენ რობენი, ფრანკ რიბერი, ლუკა ტონი** – არის რამდენიმე ნაღდი მეომარი, რომელიც „ბაიერნს“ ნამდვილად გააძლიერებს. ხომ იცით, „ბაიერნში“ როგორც ხდება: თუკი დიდი ხნის განმავლობაში ცუდად თამაშობ, მომდევნო სეზონის დასაწყისში გასახდელში 5-6 ახალი ყმაწვილი იქნება, რომელთაგანაც მინიმუმ ორი, მისალმების ნაცვლად ასეთ რამეს გეტყვის: გამარჯობა, მე შენი კონკურენტი ვარ!

ბაიერნის ოპტიმალური შემადგენლობა ბილდის მიმომხილველის აზრით

მხოლოდ **იან შლაუდრაფი** საკმარისი არაა. მეტიც, დარწმუნებული ვარ, რომ ეს უკანასკნელი „ბაიერნს“, ჯერ-ჯერობით, დიდად ვერ გამოადგება. აი, ნახავთ, ზაფხულში, როცა მიუნხენში გადავა, მაშინვე პოდოლსკის გვერდით აღმოჩნდება, სკამზე! იმიტომ, რომ შლაუდრაფისთვის „ბაიერნი“ ჯერ ადრე იყო. როცა **ვალერიან ისმაელი** გამოჯანმრთელდება, კიდევ ერთს, **ლუსიოს**, მოუწევს სკამზე გადანაცვლება. არის კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელიც ჩემს ნერვებზე თამაშობს. თავისი საჯარიმოდან 30-40-მეტრიან სოლორეიდს მოაწყობს ხოლმე, მერე ბურთს კარგავს და ამ დროს „ბაიერნს“ სამი მცველით უწევს თავის დაცვა. ხოლო თუ ისე დაემთხვა, რომ იმ მომენტში **სანიოლი** და **ლამიც** წინ იყვნენ წასულები, ვაი, ვან ბუიტენის ბრალი...

მე ვფიქრობ, რომ ჰაინესს შლაუდრაფთან მიმართებაში ძალიან საინტერესო და განსაკუთრებული გეგმა აქვს. საუკეთესო ვარიანტი კი ასეთი იქნებოდა: ჰაინესი შლაუდრაფს ტომარაში 20 მილიონ ევროსთან ერთად ჩასვამს და ბრემენისკენ მიმავალ მატარებელს გაატანს. თანაც დააბარებს: *„ყურადღებით მომისმინე, ბიჭუნი! მიხვალ კლაუს ალოფსთან და ამ ფულს გადასცემ. თან ეტყვი, რომ დიეგოს ბრემენი-მიუნხენის მატარებლის ბილეთი უყიდოს. აბა, შენ იცი! ჭკვიანად!“*

მარიო ბასლერი
ბილდი



მანუელ ნოიერი

ინტერვიუ მანუელ ნოიერთან

სამეულში აუცილებლად მოვხვდებით

კოზიაშვილის გუნდის 20 წლის მეკარე ჩემპიონობაზეც ფიქრობს...

მაშასე, ფრანკ როსტი „შალკედან“ წავიდა. ბურთი და მოედანი ახალგაზრდა მანუელ ნოიერს დარჩა. მეორე წრეში გელზენკირხენელთა ძირითადი გოლკიპერი სწორედ ის იქნება. 20 წლის ნოიერს დიდი პასუხისმგებლობა დაეკისრა. სანამ ქვემოთ "კიკერის" მიერ მომზადებულ ინტერვიუს შემოგთავაზებდეთ, ერთ ინფორმაციას გაეცანით. მას რუსული სააგენტოები ავრცელებენ და მაღაროელების სამეკარეო საკითხს ეხება.
ჩვენს მეზობლებს თუ დავუჯერებთ, „შალკეს“ცსკასა და რუსეთის ნაკრების კარის დარაჯის, იგორ აკინფეევის შეძენა უნდა. ახალგაზრდა აკინფეევს მოსკოველებთან კონტრაქტი 2008 წლამდე აკავშირებს და იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტი ნაადრევად შეწყდება, არმიელები კომპენსაციის სახით 12 მილიონ ევროს მოითხოვენ. როგორც ამბობენ, გელზენკირხენელებს ტრანსფერის განხორციელებაში ახალი სპონსორი, რუსული ენერგეტიკული გიგანტი „გაზპრომი“ დაეხმარება. გერმანულ პრესაში „შალკეს“ აკინფეევით დაინტერესებაზე არაფერია ნათქვამი. ახლა კი დაპირებული ინტერვიუ. "კიკერის" კორესპონდენტი მაღაროელების მეკარე მანუელ ნოიერს ესაუბრება.

- ჰერ ნოიერ, ჯერ მხოლოდ 20 წლის ხართ, მაგრამ უკვე „შალკეს“ პირველი მეკარე გქვიათ და თანაც, რაც არ უნდა გასაკვირი და მოულოდნელი იყოს, ამჟამად თქვენ გელზენკირხენული კლუბის ყველაზე ასაკოვანი გოლკიპერი ხართ. ამ სიტუაციას როგორ ეგუებით?

- ეს მხოლოდ მაშინ მახსენდება, როცა ვარჯიშზე გუნდი ორად იყოფა – მირკო სლომკა ახალგაზრდებს ასაკოვნების წინააღმდეგ ათამაშებს ხოლმე და ცოტა არ იყოს, სასაცილოა ის, რომ მე ასაკოვნების გუნდში ვთამაშობ. თანაგუნდელებიც დამცინიან ხოლმე. სხვა მხრივ კი, ეშვიათად მახსოვს ის, რომ გუნდში ერთ-ერთი ყველაზე პატარა ფეხბურთელი ვარ.

- დეკემბრის ბოლოს ალბათ უკვე თქვენც ხვდებოდით, რომ ფრანკ როსტი გუნდში აღარ გაჩერდებოდა, თქვენ კი სერიოზული კონკურენტი მოგეშვებოდათ.

- შესაძლოა, არ დამიჯეროთ, მაგრამ ამაზე არ ვფიქრობდი. საერთოდ, როსტზე ნაკლებად ვფიქრობდი და მხოლოდ საკუთარ თამაშზე ვიყავი კონცენტრირებული. სხვათა შორის, ფრანკთან ძალიან კარგი და მეგობრული ურთიერთობა მქონდა. თავიდან, როცა გუნდში მოვედი, ის კაპიტანი იყო და ხშირად მაძლევდა რჩევებს. ეს ძალიან მსიამოვნებდა. მერე კი, ჯერ კაპიტნობა დაკარგა, ბოლოს სკამზე გადანაიცვლა, რის გამოც ძალიან ვწუხვარ. ჩვენ ერთმანეთისთვის კონკურენტები არასდროს ვყოფილვართ. მით უმეტეს, ის არ იქნებოდა ჩემი კონკურენტი. სად მე და სად როსტი, რომელსაც ბუნდესლიგაში 300-ზე მეტი თამაში აქვს ჩატარებული.

- ბოლო დღეებში როსტს ესაუბრეთ?

- ბოლოს მაშინ ვნახე, როცა ყველას დაგვემშვიდობა. მას მერე მასთან აღარ მისაუბრია. როსტი ახლა „ჰამბურგშია“ და იქაც ბევრი საქმე აქვს. ჩვენ კი ჩვენს თავს უნდა მივხედოთ და მეორე წრეში ყველა თამაში უნდა მოვიგოთ.

- ერთობ ხმამაღალი განცხადებაა. ასეთ შემთხვევაში „შალკე“ ჩემპიონი გახდება. ხუმრობის გარეშე: ეს რეალურია?

- დარწმუნებული ვარ, რომ საუკეთესო სამეულში ამჯერად აუცილებლად მოვხვდებით. თუმცა პირადად მე მხოლოდ ჩემპიონობაზე ვფიქრობ და მჯერა, რომ ეს რეალურია.

- ცოტა ხნის წინათ „კიკერმა“ ბუნდესლიგის ფეხბურთელებს შორის გამოკითხვა ჩაატარა. და ძალიან ცოტას, მართლაც ძალიან ცოტას მიაჩნია, რომ „შალკეს“ ჩემპიონობის მოპოვება შეუძლია. რით ახსნით ასეთ სკეპტიკურ დამოკიდებულებას თქვენი გუნდის მიმართ?

- არ ვიცი. მართლა ვერ გეტყვით, რატომ ფიქრობს ხალხი ასე. „შალკე“ არავიზე ნაკლები არაა და ამას მალევე დავამტკიცებთ. არაფერი დაშავდება, თუკი „ბაიერნი“ და „ვერდერი“ რამდენიმე თამაშს წააგებენ.

- იქნებ იმიტომ, რომ „შალკეში“ არასდროსაა სიმშვიდე, ამ გუნდს ყოველთვის თან სდევს სკანდალები. თქვენ, როგორც ახალგაზრდა მოთამაშე, ამ ყველაფერს როგორ უყურებთ?

- უკვე საკმაოდ დიდი ხანია, რაც „შალკეში“ ვირიცხები და ყველაფერს შევეჩვიე. ვცდილობ, რომ მხოლოდ ჩემს თამაშზე ვიფიქრო და მეტზე არაფერზე. ამას ვახერხებ კიდეც.

- თქვენი თამაშის სტილს ძალიან ხშირად ადარებენ იენს ლემანისას, რომელიც თქვენი კერპია...

- ბავშვობაში „პარკშტადიონზე“ სპეციალურად იმიტომ დავდიოდი, რომ ლემანის ვარჯიშები მენახა. იენსი ჩემთვის ყოველთვის მისაბაძი მაგალითი იყო. არ მიკვირს, როცა ლემანს მამსგავსებენ, რადგან ყველაფერში მას ვბაძავ და მიმაჩნია, რომ იენსი თანამედროვე მეკარის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია. გოლკიპერი, რომელსაც ჩინებული ხედვა აქვს და რაც მთავარია, არა მხოლოდ საკუთარ საჯარიმოს, არამედ მთელ მოედანს ხედავს და უკნიდან თამაშს აკონტროლებს. ვცდილობ, რომ მეც ასე ვითამაშო.

- ხუთი წლის ასაკში უკვე „შალკეს“ კარს იცავდით. დღეს ძირითადი გუნდის პირველი გოლკიპერი ხართ, ბუნდესლიგაში თამაშობთ და გერმანიის ჩემპიონობისთვის იბრძვით...

- ჰო, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ზღაპრებში ხდება ხოლმე. როცა ბავშვთა გუნდში ვთამაშობდი, ბედნიერი ვიყავი იმით, რომ ძირითადი გუნდის ფეხბურთელებისთვის ბურთების მიწოდება დამავალეს. ახლა კი თვითონ ვარ სასტარტო შემადგენლობის წევრი.

გოტფრიდ ლენცი

ინტერვიუ ხოაკინ სანჩესთან

არავისთვის მითხოვია, 25 მილიონად მიყიდეთ-მეთქი

ანდალუსიელი კოლოსალური თანხის გადახდას საკუთარ დანაშაულად არ მიიჩნევს და აცხადებს, რომ დიდი ფული მძიმე ტვირთად არ ექცევა...

ხოაკინ სანჩესის (მარჯვნივ) ვალენსიური კარიერა ვერ აეწყო

ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და სახელგანთქმულ ესპანელ ფეხბურთელს, ხოაკინს რთული პერიოდი დაუდგა. "ბეტისიდან" "ვალენსიაში" დიდი იმედებით გადაბარგებულმა ნახევარმცველმა ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა. კიკე სანჩეს ფლორესი მას აღარ ენდობა. მიმომხილველების მტკიცებით, "ღამურების" დამრიგებელი შეგირდის მომზადების ხარისხით უკმაყოფილოა, თუმცა თავად ფეხბურთელი გვარწმუნებს, რომ თავს არ ზოგავს და მწვრთნელის ყველა მითითებას გულდასმით ასრულებს. ხოაკინი "სოსიედადთან" მატჩშიც შეცვლაზე შევიდა. მოედანზე მან მხოლოდ 10 წუთი დაჰყო და დროის ამ მცირე მონაკვეთში ღირებული, რა თქმა უნდა, ვერაფერი გააკეთა. დაგვეთანხმებით, თავმოყვარე და ჯანმრთელი ფეხბურთელისთვის ამაზე დიდი საშინელება არ შეიძლება, არსებობდეს. ანდალუსიელი მართლაც ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ როგორც თავად ამბობს, იმედს არც ერთ შემთხვევაში დაკარგავს. ის მზადაა, უფრო მეტი ივარჯიშოს და შანსს დაელოდოს. შანსს, რომელსაც სენიორ ფლორესი აუცილებლად მისცემს.

- თუ გაზეთებს კითხულობთ, დამეთანხმებით, რომ პრესა თქვენი და კიკე ფლორესის დაძაბულ ურთიერთობაზე საუბრობს. თითქოს, მთავარ მწვრთნელს შეგირდის მომზადების დონე არ აკმაყოფილებს და მას ძირითადში მხოლოდ ამ მიზეზის გამო არ აყენებს. გულწრფელად მითხარით, ვარჯიშებზე ბოლომდე იხარჯებით?

- "ვალენსია" პრიმერა დივიზიონის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია. პრიმერა დივიზიონს კი პლანეტის უპირველეს ლიგად აღიარებენ. როგორ გგონიათ, ამ დონის გუნდში ზარმაც და მუქთახორა ადამიანს დიდ ხანს გააჩერებენ? რომ არ ვვარჯიშობდე, კონტრაქტს გამიწყვეტდნენ. მერწმუნეთ, თავს არ ვზოგავ. უბრალოდ, არ შემიძლია, ვიზარმაცო და თავი დასაცინად გავიხადო. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ვასკვნი, რომ უფრო მეტის გაკეთებაა საჭირო. ამისთვისაც მზად ვარ. სენიორ ფლორესი რასაც მეტყვის, ყველაფერს შევასრულებ.

- იქნებ პოზიციების გასამყარებლად გოლი, ან სულაც რამდენიმე გოლი გჭირდებათ? მოწინააღმდეგის კარის დალაშქვრა რომ შეძლოთ, თამამად და ხმამაღლა იტყვით, შემომხედეთ, ხოაკინი აქ არის და ის ძირითად შემადგენლობაში თამაშს იმსახურებსო. დამეთანხმებით, ამ შემთხვევაში გაცილებით მეტი კოზირი თუ არგუმენტი გექნებათ...

- გეთანხმებით. როგორც მოგახსენეთ, ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ კარგ ფორმაში ვიყო და ჩემს გუნდს დავეხმარო. სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით, საქმე ისე ვერ აეწყო, როგორც მე მსურს. გამოგიტყდებით, ჩემს მდგომარეობაზე ხშირად ვფიქრობ. ერთ დასკვნამდე მივდივარ, თქვენი თქმის არ იყოს, პოზიციების გასამყარებლად მართლაც გოლები მჭირდება. მეორეს მხრივ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მე ბომბარდირი არასოდეს ვყოფილვარ. ერთია, როცა ცენტრ-ფორვარდის პოზიციაზე ასპარეზობ და მეორე, როცა განაპირა ნახევარმცველი ხარ.

- აბსოლუტურად მართალი ხართ. ამ თვალსაზრისით დავიდ ვილიასა და ფერნანდო მორიენტესს გაცილებით მეტი მოეთხოვებათ, მაგრამ პასუხისმგებლობას ვერც თქვენ გაექცევით. ბოლოს და ბოლოს, მცველი ხომ არ ხართ? კარიერის განმავლობაში მრავალი გოლი გაგიტანიათ...

- დიახ, ჩემს ანგარიშზე მრავალი ლამაზი გოლია. იმედია, მომავალშიც გამიმართლებს და, ბოლოს და ბოლოს, "ვალენსიის" მაისურით ეფექტურ ბურთს შევაგდებ.

- ხომ არ შიშობთ, რომ ამასობაში გულშემატკივრები ხოაკინისადმი რწმენას დაკარგავენ?

- ვფიქრობ, ახლო მომავალში საამისო საშიშროება არ მემუქრება. "ვალენსიის" გულშემატკივრები ჩემს მიმართ ყოველთვის პატივისცემით, მოთმინებითა და სიყვარულით იყვნენ განმსჭვალულები. მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. იმედია, საზოგადოება ხვდება, რომ კლუბისთვის მაქსიმუმის გაკეთება მსურს. სამწუხაროდ, სათადარიგოთა სკამიდან ვერაფერს შეძლებ. მჯერა, დროთა განმავლობაში სიტუაცია რადიკალურად შეიცვლება. სხვა გამოსავალს, უბრალოდ, ვერ ვხედავ. ცოტას კიდევ თუ მადროვებენ, აუცილებლად დავამტკიცებ, რომ ჩემს სანაცვლოდ "ბეტისის" საბანკო ანგარიშზე გადარიცხული თანხა დაკარგული არ არის. ქოგაგების თანადგომა მომავალშიც ჰაერივით დამჭირდება.

- ასეა თუ ისე, საქმე არ გამოგდით. საინტერესოა, ფსიქოლოგიურ წნეხში ხომ არ იმყოფებით?

- ფსიქოლოგიური წნეხი ჩემთვის უცხო ხილი სულაც არ არის. უკვე რვა წელია, რაც უმაღლეს დონეზე ვასპარეზობ. "ბეტისში" ათობით პრინციპული, დაძაბული შეხვედრა ჩამიტარებია. ურთულეს მდგომარეობაშიც აღმოვჩენილვარ, მაგრამ პანიკას არასოდეს დავუმარცხებივარ. გამოსავალს მუდამ მშვიდად ვეძებდი.

- ანუ, შეგიძლიათ განაცხადოთ, რომ ფსიქოლოგიურ წნეხში ჩავარდნილს, ემოციებისა და გონების მართვა შეგიძლიათ?

- დიახ, საამისო უნარი ბავშვობიდან მომდგამს. ახლა რთული დრო მიდგას. შესაძლოა, ჩემს ადგილზე რომელიმე სხვა ფეხბურთელი სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილიყო. მერწმუნეთ, მე საამისო საფრთხე არ მემუქრება. საკმარისად გონიერი და გაწონასწორებული ვარ იმისთვის, რომ დამატებითი პრობლემები არ შევიქმნა. მღელვარება ისევ მე მავნებს. ასე რომ, ცხოვრება მშვიდი, აუღელვებელი მუშაობით უნდა გავიუმჯობესო.

- თქვენს სანაცვლოდ "ბეტისს" 25 მილიონი ევრო გადაუხადეს. ეს თანხა მეტისმეტად მძიმე ტვირთად ხომ არ განევთ?

- სატრანსფერო თანხა ჩემს მიერ საზიდი ტვირთი სულაც არ არის. არავისთვის მითხოვია, 25 მილიონად მიყიდეთ-მეთქი. "ვალენსიის" ხელმძღვანელობას სევლიელ კოლეგებთან მოლაპარაკებები ჰქონდა. ისინი შეთანხმდნენ, ფული გადაიხადეს და ტრანსფერიც შედგა. ამით ყველაფერი დასრულდა, მე არაფერ შუაში ვარ. "მესტალიაზე" უფასოდ რომ გადმოვსულიყავი, პასუხიმგებლობა ოდნავადაც არ შემიმცირდებოდა. ასე რომ, არც 25 მილიონი ევრო შეიძლება ტვირთად მექცეს.

- მაგრამ თავადაც კარგად იცით, რომ ამხელა თანხას ნებისმიერი ფეხბურთელის სანაცვლოდ არ იხდიან. 25 მილიონი იმიტომ გადაირიცხა, რომ ხოაკინისგან ექვივალენტურ სამსახურს ითხოვდნენ...

- ვხვდები რასაც გულისხმობთ. "ვალენსიის" ხელმძღვანელობამ ამ კოლოსალური თანხის გადახდით უპირობო ნდობა გამომიცხადა. თანადგომას დღემდე ვგრძნობ. ამისთვის უზომოდ მადლიერი ვარ. სიმართლე გითხრათ, ფულზე, წნეხსა და ტვირთზე ფიქრი არ მსურს. ერთადერთი რამ მინდა, მთელი კონცენტრაცია ჩემი საქმისკენ მივმართო. მოკლედ, ფეხბურთი და არაფერი ფეხბურთის გარდა. ძალიან გთხოვთ, 25 მილიონი ევროს გადახდის ფაქტს ჩემს დანაშაულად ნუ შერაცხავთ. სამწუხაროდ, როცა საქმე არ გამოდის, პრესა ათასგვარ უსამართლო განცხადებას აკეთებს.

- კიკე ფლორესის ყველაზე დიდი კრიტიკა "ხეტაფესთან" მატჩის შემდეგ დაგატყდათ თავს. მწვრთნელმა უკმაყოფილება დაუფარავად გამოხატა, თუმცა მან ისიც აღნიშნა, ხოაკინს თანაგუნდელები არ ეხმარებოდნენო.

- ყველამ იცის, რომ ფეხბურთი გუნდური, მეგობრული თამაშია. შესაძლოა, ამა თუ იმ მატჩში, გუნდმა ვერ ივარგოს და წააგოს. ასეთ შემთხვევებში ზოგი განსაკუთრებით უფერულად გამოიყურება, თუმცა კიკემ სამართლიანად აღნიშნა, რომ ეს მაინცა და მაინც ერთი მოთამაშის დანაშაული არ არის.

- იქნებ, ისინი განზრახ არ გეხმარებიან?

- არა, ეს უდიდესი სისულელეა. "ვალენსია" ერთსულოვანი კლუბია. გამორიცხულია, ვინმემ პასი განზრახ დაგიგვიანოს და შენი დაკნინება სცადოს. ასეც რომ არ იყოს, საბოტაჟი მწვრთნელს თვალთახედვის არეალიდან არ გამოეპარება. მოვლენათა ამგვარი სცენარით განვითარების შემთხვევაში, მხოლოდ ის ფეხბურთელი დაისჯება, რომელიც გუნდს საბოტაჟს მოუწყობს. ჩვენ ინფანტილიზმი არ გვაწუხებს, რომ ასეთი სულმდაბალი ქმედებები ჩავიდინოთ (იცინის).

- "ვალენსიამ" ზედიზედ მეექვსე გამარჯვება იზეიმა. ჯერ კიდევ თვენახევრის წინათ ვერავინ იტყოდა, რომ ლიდერებთან მხოლოდ ორქულიანი ჩამორჩენა გექნებოდათ და ჩემპიონთა ლიგის ზონაში დამკვიდრდებოდით. ხომ არ გაგვიმხელთ, რა მიზნებს ისახავთ?

- ჩვენი მიზანი ესპანეთის ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაა. სხვათა შორის, ამის შესახებ კიკე ფლორესმა დღევანდელ პრესკონფერენციაზე ისაუბრა. მწვრთნელს გუნდში არსებულ მდგომარეობაზე, რა თქმა უნდა, ამომწურავი ინფორმაცია აქვს. მან ზედმიწევნით კარგად იცის, ვის რისი პოტენციალი გააჩნია. ვფიქრობ, "ვალენსია" პრიმერა დივიზიონში გამარჯვების ერთ-ერთი უპირველესი ფავორიტია.

- სამეფო თასს გამოეთიშეთ. თქვენთვის ეს მძიმე დარტყმა იყო?

- როცა მთელი ძალისხმევა პრიმერა დივიზიონში დაკარგული პოზიციების დაბრუნებისკენაა მიმართული, სამეფო თასიდან გამოვარდნა არ უნდა გაგვიკვირდეს. რა გაეწყობა, კარგი იქნებოდა, ბრძოლა ამ ფრონტზეც გაგვეგრძელებინა, მაგრამ თასის დაკარგვით, სეზონი არ ჩაგვიგდია. წინ დიდი გზა და ბრძოლები გველის.

- ალბათ, პრიმერა დივიზიონისა და ჩემპიონთა ლიგისთვის მეტი დრო დაგრჩებათ...

- არ მინდა ვინმემ იფიქროს, რომ სამეფო თასი რომელიმე სხვა ტურნირს შევწირეთ. არავითარ შემთხვევაში. სამეფო თასის გათამაშება ყოველთვის ლამაზ და მომხიბლავ ორთაბრძოლებთანაა დაკავშირებული.

- არასოდეს მჯერა მათი, ვინც მიმტკიცებს, რომ სამეფო თასსა და ჩემპიონთა ლიგას თანაბარი ღირებულება აქვს.

- არა ბატონო, ეს არ მითქვამს. ცხადია, რომ პრიმერა დივიზიონი და ჩემპიონთა ლიგა გაცილებით ძვირად ფასობს. უბრალოდ, სამეფო თასი სამსხვერპლოზე არ მიგვიტანია. წავაგეთ და მორჩა.

ილია ნიკოლაიშვილი



ხავიერ სავიოლა ბარსელონის ლიდერი გახდა

ბარსელონა

სავიოლამ პირობა პირნათლად შეასრულა

თუ საჭირო გახდება, რიიკაარდი არგენტინელს ბოდიშსაც მოუხდის

ფრანკ რიიკაარდი ხავიერ სავიოლას *პროგრესით გამოწვეულ კმაყოფილებას ვერ მალავს. მოგეხსენებათ, არგენტინელი ფორვარდის საკვირაო გოლმა "ხიმნასტიკის" განადგურებას დაუდო სათავე. ამით გახარებულმა ჰოლანდიელმა სპეციალისტმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და საზოგადოებას საინტერესო სიტყვით მიმართა: "დასამალი არ არის, რომ სავიოლას დატოვება არ გვსურდა. სეზონის დაწყების წინ ყველაფერს ვაკეთებდით იმისთვის, რომ ის სხვაგან გაგვეშვა. ამა თუ იმ მიზეზის გამო, ეს ვერ მოვახერხეთ. გულწრფელად გეტყვით, ახლა მიხარია, რომ ხავიერი "ბარსელონაშია". ბოლო დროს მან გასაოცარი პროგრესი განიცადა. ვამაყობ მისით. არგენტინელმა ხალხს სიტყვა მისცა, რიიკაარდს დავუმტკიცებ, რომ გუნდისთვის სარგებლის მოტანა შემიძლიაო. დღეს სრული პასუხისმგებლობით შემიძლია მოგახსენოთ, რომ სავიოლამ პირობა პირნათლად შეასრულა. ამ ბიჭის გოლებმა ესპანეთის სამეფო თასსა და პრიმერა დივიზიონში უდიდესი დახმარება გაგვიწია."*

ბუნებრივია, ჩვენმა კატალონიელმა კოლეგებმა ბატონ ფრანკს კონტრაქტის შესახებაც ჰკითხეს. რიიკაარდმა მედიელებს ასეთი რამ უთხრა: "არ ვხუმრობ, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ვაღიარებ, რომ ბაჭიას გარკვეულწილად უსამართლოდ მოვეპყარი და თუ საჭირო გახდება ბოდიშის მოხდასაც არ ვითაკილებ. სხვათა შორის, ჩიკი ბეგირისტაინს ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე ვესაუბრე. წინააღმდეგი არც ისაა, თუმცა მიაჩნია, რომ ამ საკითხზე რამდენიმე თვეში უნდა ვიმუშაოთ."

საოცნებოს ნაცვლად სენსაცია

პირველი გვერდიდან

96 კგ. 14 მონაწილე

1. გიორგი გოგშელიძე (გორი)
2. ლევან სეთურიძე (ყაზბეგი)
3. ლუკა კურტანიძე (აფხაზეთი)
3. გელდუხ გავაშელიშვილი (თბილისი)

60 კგ. 16 მონაწილე

1. გიორგი ბალიაშვილი (გორი)
2. მიხეილ ზარქუა (აფხაზეთი)
3. ლევან ჩაბრაძე (საჩხერე)
3. ზურაბ მახარაშვილი (თბილისი)

ამ წონაში სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში თავგამოჩენილი იმდენი ცნობილი ფალავანი მოგროვდა, წასაგებად ყველა დაგენანებოდათ. ფინალისკენ მიმავალი რთული გზა ორმა ახალგაზრდამ დაძლია – უმცროსებში ევროპისა და მსოფლიოს პრიზიორმა **მიხეილ ზარქუამ** და ბალავაძის ტურნირის ვიცე-ჩემპიონმა **გიორგი ბალიაშვილმა,** თუმცა მანადეც ისეთი ბრძოლები გაჩაღდა, თქვენი მონონებული.

ნუგზარ სხირელის აღზრდილ ბალიაშვილს კარგა ხანია, პერსპექტიულად მიიჩნევენ, მაგრამ ახალგაზრდა სპორტსმენი აქამდე დიდ წარმატებებს ვერ შეწვდა. იგი საკმაოდ რთულ ჯგუფში მოხვდა – პირველ წრეში მასპინძელი **ზვიად ოქრაძე** ელოდა, რომელიც ასევე სტაბილურად ხვდება უმცროსთა ნაკრებებში. მეორე წრეში ბალიაშვილის მეტოქე იყო ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიოს პრიზიორი, ბოლნისელი **მალხაზ ქურდიანი,** რომელმაც შარშან ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა – წარმატებით იჭიდავა არა მარტო თავისუფალში, ძიუდოშიც კი. საბოლოდ ნაკრებშიც მოხვდა და ევროპის პირველობაზეც იჭიდავა, მაგრამ ახლა ძალიან სუსტად იასპარეზა.

ქურდიანმა, პირველ წრეში, მხოლოდ დამატებით დროში დაამარცხა ქუთაისელი **გიორგი ცუცქირიძე** (ესეც კარგი მოჭიდავე ჩანს), უბრძოლველად არც ბალიაშვილთან დაუთმია, მაგრამ მაინც ვერაფერი დააკლო - გორელმა დამატებით დროში ქულებით იმარჯვა. ბალიაშვილმა ნახევარფინალში დაძაბულ ბრძოლაში თბილისელი **მალხაზ მახარაშვილი** დაამარცხა.

ზარქუამ ჯერ ქუთაისელ **გიორგი ზვიადაძეს** მოუგო, მერე კი გორელ **ვალერი დვალიშვილთან** უმძიმესი შეხვედრა ჩაატარა. ეს ორთაბრძოლა დამატებით დროში გაგრძელდა, თუმცა იგი უქულოდ დასრულდა და მსაჯებმა მონეტა ააგდეს. ფეხში შესვლის შანსი ზარქუას მიეცა, გამოიყენა კიდეც და ოქროს ქულით იმარჯვა.

არანაკლებ დრამატული გამოდგა ზარქუას ნახევარფინალი საჩხერელ **ლევან ჩაბრაძესთან**. ეს ბრძოლაც მესამე პერიოდში გაგრძელდა. თავიდან ზარქუა დაწინაურდა ორქულიანი გდებით, მაგრამ ცოტა ხნით. ჩაბრაძემ მეტოქე მალე ჩოქბჯენში გადაიყვანა, რასაც ორქულიანი ტრიალი მიაყოლა და წინ გავიდა - 3:2. მან იქვე კიდევ ერთი დატრიალება სცადა, მაგრამ უშედეგოდ, პერიოდის მიწურულს კი ზარქუამ ერთი ქულა მოიპოვა და ანგარიში 3:3 გახდა. რადგან ბოლო ქულა ზარქუამ მოიპოვა, ფინალშიც ის გავიდა.

ფინალური შერკინებაც სამპერიოდიანი იყო, რაც მის დაძაბულობაზე მეტყველებს. ამ შეხვედრის ბედი დიდხანს ქანაობდა თანასწორად, თუმცა ბოლო შტურმი ბალიაშვილმა მოიწყო და ოქროც ირგუნა. ამ წონაში ურიგოდ არც მესამე პრიზიორებს – მახარაშვილს და ჩაბრაძეს უჭიდავიათ. თუმცა ჩაბრაძისგან, რომელსაც უკვე მსოფლიო ჩემპიონატზეც უჭიდავია, იქნებ მეტსაც ველოდით.



74 კგ. ფინალი. გელა საღირაშვილმა (მარცხნივ) გიორგი მარსაგიშვილი დაამარცხა

74 კგ. 30 მონაწილე

1. გელა საღირაშვილი (თბილისი)
2. გიორგი მარსაგიშვილი (ყაზბეგი)
3. ნიკოლოზ ტლაშაძე (გორი)
3. ელგერტ გავაშელი (თბილისი)

მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა **ოთარ თუშიშვილმა** ამ წონაში იასპარეზა, მაგრამ გელა საღირაშვილს ლიდერობას ვერ შეეცილა. პრინციპში, არც აპირებდა ამას, რადგან ახლა წონა არ დაიკლო, თორემ აქ გადმონაცვლება არ უნდა. ორი მოგების შემდეგ იგი თანაქალაქელ **ნიკოლოზ ტლაშაძესთან** დამარცხდა და გავარდა. აღსანიშნავია, რომ ორივე ფალავანს ნუგზარ სხირელი ავარჯიშებს.

ახალი სახელი ამ წონაშიც გამოჩნდა – ყაზბეგელი **გიორგი მარსაგიშვილი,** ჭაბუკებში ევროპის პრიზიორი. მართალია, საღირაშვილს ვერაფერი დააკლო, მაგრამ 18 წლის ბიჭისგან ასეთი ჭიდაობაც მრავლისმეტყველია. მართალია, საღირაშვილმა ორივე პერიოდი ალაღად მოუგო, მაგრამ იოლადაც ვერ დაჯაბნა – ორ შემთხვევაში 1:0 იმარჯვა.

გელა საღირაშვილს ღირსეული კონკურენცია კვლავაც ვერავინ გაუწია. მან ყველა შეხვედრა დამაჯერებელი უპირატესობით მოიგო. გუშინაც აღვნიშნეთ, რომ საქართველოს ჩემპიონობა საევროპო ნაკრებში ადგილის დაბევებას არ ნიშნავს, მაგრამ რაც გუშინ ვნახეთ, გვეეჭვება, საღირაშვილს არათუ ევროპამდე, მსოფლიო ჩემპიონატამდე ვინმემ წაართვას ნაკრებში ადგილი. თუმცა გასათვალისწინებელია ბრინჯაოს მედალოსანთა ფაქტორიც – პერსპექტიულ ახალგაზრდებად მიჩნეული **გავაშელიც** და **ტლაშაძეც** ყოველწლიურად უმატებენ და სტაბილურ მოჭიდავეებად ყალიბდებიან.

დასასრულ, ტურნირის ორგანიზაციაც უნდა შევაქოთ. საქართველოს პირობებისთვის ჩემპიონატი მართლაც მშვენივრად გახლდათ ორგანიზებული. ასევე აღსანიშნავია საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის ინიციატივაც – სატურნირო დატვირთვა რეგიონებზე გადაიტანოს და ამით ადგილებზე ჭიდაობის პოპულარიზაციას შეეწიოს. ბათუმში ორივე სტილის ჭიდაობა მართლაც შთამბეჭდავი ნაბიჯებით რომ ვითარდება, ამას აქაურთა წარმატებებიც ადასტურებს. ტურნირისადმი მაყურებელთა ინტერესი მოსალოდნელიც იყო, მაგრამ საკუთარი თვალით ნანახი სხვაა. ოთხი დღის განმავლობაში შეხვედრები დილიდან საღამომდე სავსე ტრიბუნების თვალწინ ტარდებოდა.



ქვემძიმე წონის ფინალი: გაიმარჯვა გიორგი გოგშელიძემ

ზაზა თურმანიძე:

ევროპაზე გოგშელიძე იჭიდავებს!

კურტანიძე-გოგშელიძის არშემდგარი ფინალის შესახებ კომენტარი საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ ზაზა თურმანიძეს ვთხოვეთ. ინტერვიუ ფინალურ ორთაბრძოლამდეა ჩაწერილი.

- რა თქმა უნდა, ყველა ველოდით, რომ ფინალში გიორგი გოგშელიძე და ლუკა კურტანიძე იჭიდავებდნენ, მაგრამ როგორც მოგეხსენებათ, სპორტი სპორტია და ყველაფერი ხდება.

- თქვენ როგორ ფიქრობთ, ფინალში რომ შეხვედროდნენ ერთმანეთს, ვინ იმარჯვებდა?

- ძნელია თქმა. სამწუხაროა, რომ ამ ორთაბრძოლას ვერ ვიხილავთ. როგორც ხედავთ, ყველაფერი მონეტის აგდებამ გადაწყვიტა. ილეთის ჩატარების უფლება სეთურიძემ მოიპოვა და, ფაქტობრივად, კურტანიძე უშანსოდ დარჩა.

- და ტურნირს ერთადერთი ფავორიტი შერჩა...

- რატომ ერთადერთი?! სეთურიძე, რომელმაც კურტანიძე ჩემპიონატს გამოთიშა, არაა ხელწამოსაკრავი ფალავანი. თუ რამდენად ღირსეულ წინააღმდეგობას გაუწევს გოგშელიძეს, ამას მალე ვნახავთ.

- თუ ფინალი მოიგო, გოგშელიძე ევროპის ჩემპიონატზეც გაემგზავრება?

- დიახ!

- ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვების შემთხვევაში, გოგშელიძე ალბათ საბოლოოდ დაიმკვიდრებს ადგილს საქართველოს ნაკრებში...

- მუდმივი არაფერია. რა თქმა უნდა , თუ გიორგი ევროპას მოიგებს, 99 პროცენტით ნაკრების პირველი ფალავანი იქნება მსოფლიო ჩემპიონატზეც. ვნახოთ, იქამდე ჯერ დიდი დროა...

- ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ვახტანგ ბალავაძის სახელობის ტურნირია. იმ შემთხვევაში, თუკი ლუკა კურტანიძე ამ ტურნირს მოიგებს, თანაც გოგშელიძე ევროპაზე ვერ იყოჩაღებს, არის თუ არა შესაძლებელი, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე კურტანიძე გაემგზავროს?

- გამორიცხული არაფერია. ვნახოთ.

დაბოლოს, გიორგი გოგშელიძის კომენტარი უკვე ფინალის შემდეგ:

ГИОРГИ ГОГШЕЛИДЗЕ: - ამ ტურნირისთვის საგანგებოდ ვემზადებოდი. ვიცოდი, რომ რთული შეხვედრები მელოდა, მაგრამ ამას არ შევუშინებივარ. მართალია, კურტანიძეს ფინალში ვერ შევხვდი, მაგრამ ეს სპორტია და ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მთავარია, რომ ნაკრებში მოსახვედრად კონკურენცია დიდია, რაც ძალიან სასიხარულოა. პირადად მე მივესალმები ამას!

ირაკლი დარცმელიძე
ბათუმიდან

ჭიდაობა

პირველი ლიგა

სამნი სათავეში

სამი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ სამი მოჭადრაკე დარჩა - **სოფიკო ხუხაშვილი, ინგა ჭარხალაშვილი** და **ბელა ხოტენაშვილი.** დღეს ერთი "მაქსიმალისტი" მაინც მოაკლდება ტურს, რადგან ხუხაშვილი და ხოტენაშვილი ერთმანეთში თამაშობენ. ხუხაშვილმა გუშინ თეთრებით **ნინო ბაციაშვილს** მოუგო, ხოტენაშვილმა შავებით **სოფიკო ტერელაძე** დაამარცხა. ინგა ჭარხალაშვილმა **ნათია ჯანჯღავას** სძლია.

სტარტზე დაკარგულს ნელ-ნელა ინაზღაურებს **მაკა ფურცელაძე** - გუშინ თეთრებით **მერი არაბიძეს** მოუგო და 2 ქულა გაუხდა. გაიმარჯვა **ანა გავაშელმაც,** რომელიც, სხვათა შორის, რამდენიმე წელია, უმაღლესი ლიგის საგზურს სისტემატურად, თან სწორედ ამ ტურნირში იხვეჭს - ანას 2.5 ქულა აქვს.

კვლავ დამარცხდა, თანაც თეთრებით, **სოფიკო ნიკოლაძე**. ხუთი შვილის დედას, უამრავი საოჯახო საზრუნავის მიუხედავად, ბევრჯერ დაუმტკიცებია კლასი, მაგრამ წლევანდელ ტურნირზე თამაში არ მისდის და მეორედ წააგო. თუმცა წინ 6 ტურია და ჯერაც არაფერია გადაწყვეტილი.

უმცროსი თაობიდან ყოჩაღობენ **სალომე ხაჟომია, სოფიკო გურამიშვილი, ანა ბუცხრიკიძე** და **ელისაბედ ზარქუა** - ამათ 2-2 ქულა აქვთ.

მეოთხე ტურში პირველ დაფაზე ხოტენაშვილი ხუხაშვილს შეუტევს თეთრებით; მეორეზე კი სალომე ხაჟომია (2.5) ინგა ჭარხალაშვილის დამარცხებას ეცდება. საინტერესო ორთაბრძოლები გაიმართება დანარჩენ დაფებზეც: **ნინო ბაციაშვილი (2)-ანა გავაშელი (2.5); ლელა უგულავა (2)-მაკა ფურცელაძე (2); ნათია ჯანჯღავა (2)-ლილე ცალუღელაშვილი (2); ელისაბედ ზარქუა (2)-სოფიკო ტერელაძე (2); სოფიკო გურამიშვილი (2)-ანა ბუცხრიკიძე (2); მერი ჟორჟოლიანი (2)-ქეთი ნანალაშვილი (1.5); თამარ წერეთელი (1.5)-ალექსანდრა ვახანია (1.5).**

სულ უმაღლესი ლიგის 6 საგზური თამაშდება.

ზვიად შათირიშვილი

იური ჩიქოვანი 70

მწვრთნელის იუბილეზე

თბილისის ჭადრაკის ფედერაციის ინიციატივით, ჭადრაკის სასახლეში გუშინ საიუბილეო საღამო მოეწყო - დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, ოსტატ **იური ჩიქოვანს**.

ბატონი იური ქართული ჭადრაკისთვის უმნიშვნელოვანესი ფიგურაა - ახალგაზრდობაში ნიჭიერი მოჭადრაკე იყო, თუმცა უმეტესი წარმატებები როგორც მწვრთნელმა, ისე მოიპოვა: მისი აღზრდილია საუკეთესო ქართველი მოჭადრაკე **ზურაბ აზმაიფარაშვილი**, თბილისში გადმოსვლის შემდეგ **მაია ჩიბურდანიძეც** ჩიქოვანთან ხვეწდა ოსტატობას და მსოფლიო ჩემპიონობაც პირველად მის ხელში მოიპოვა. იური ჩიქოვანის მოსწავლე იყო **ნინო გურიელიც** და ბევრი სხვა ქართველი მოჭადრაკე.

იური ჩიქოვანი **ბობი ფიშერსაც** შეხვედრია - 1967 წელს ტუნისში საზონათაშორისო ტურნირი ტარდებოდა, ის კი მწვრთნელად ახლდა იმ დროის მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მოჭადრაკეს, რუს **ლეონიდ შტაინს**. ფიშერთან საჭადრაკო, წმინდა პროფესიული ურთიერთობები არ ჰქონია, მაგრამ მეგობრულად კი მოიკითხავდნენ ხოლმე ერთმანეთს...

გუშინდელი შეხვედრა საჭადრაკო კლუბ "იაში" შედგა. **ზურაბ აზმაიფარაშვილმა** დიდი სიყვარულით გაიხსენა თანამშრომლობის წლები და ხაზი მწვრთნელის პიროვნულ ღირსებებს გაუსვა. **ხვიჩა სუპატაშვილმა** მწვრთნელად გახდომაში იუბილარი "დაადანაშაულა" და მცირე "საყვედურიც" უთხრა: *"1993 წელს, საქართველოს ნაკრები ლიკანში იყო შეკრებაზე, მწვრთნელი კი ბატონი იური გახლდათ. სწორედ ამ შეკრების შემდეგ დავინტერესდი სამწვრთნელო საქმიანობით, არადა, რა ვიცოდი, რაოდენ მძიმე საქმეს ვეჭიდებოდი! სამწუხაროა, მაგრამ იური ჩიქოვანს შედარებით გვიან შევხვდი, თორემ შესაძლოა, ჭადრაკში ბევრად მეტისთვის მიმეღწია"...*

ზვიად შათირიშვილი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუბრები სპორტის ისტორიაზე

ქართული სპორტი 1971-1980 წლებში

გაგრძელება.
დასაწყისი იხ. ლელო №56-დან, 2006

1973 წლის შედეგების მიხედვით, საქართველოს სპორტულმა ჟურნალისტებმა, ტრადიციისამებრ, 10 საუკეთესო სპორტსმენი გამოავლინეს. კანდიდატთა სიაში მოხვდა 27 ათლეტი, რომლებმაც თავი გულშემატკივრებს განსაკუთრებით მაღალი მიღწევებით დაამახსოვრეს. საუკეთესოთაგან რჩეულთა გამოვლენა ადვილი არ იყო. თუმცა, №1 სპორტსმენის არჩევანში ყველა ჟურნალისტი ერთსულოვან პოზიციაზე იდგა. კონკურენტებთან შედარებით, უკვე ლეგენდადქცეულ ფალავანს **ლევან თედიაშვილს** აშკარად დიდი უპირატესობა ჰქონდა. მომდევნო ადგილები კი ასე განაწილდა: 2. **დიტო შანიძე** (ძალოსნობა), 3. **ალექსანდრე მეტრეველი** (ჩოგბურთი), 4. **ტარიელ ჟღენტი** (სასტენდო სროლა), 5. **ქეთევან ლოსაბერიძე** (მშვილდოსნობა), 6. **გენადი გიორგაძე** (სამბო), 7. **ანატოლი მოშიაშვილი** (მძლეოსნობა), 8. **პაატა შამუგია** (ტანვარჯიში), 9. **მანუჩარ მაჩაიძე** (ფეხბურთი), 10. **თეიმურაზ კაკულია** (ჩოგბურთი).

კითხვაზე, თუ რომელი დღე იყო მისთვის ყველაზე ღირსახსოვარი, ლევან თედიაშვილმა უპასუხა: *"შარშანდელი სპორტული სეზონი ჩემთვის ორმხრივ სასიხარულო იყო: მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი თავისუფალ ჭიდაობაში და პარალელურად - სამბოში. მე მუდამ თაყვანს ვცემდი ესტონელი მოჭიდავის ავგუსტინ ენგლასის უნივერსალურ ნიჭს, რომლის წყალობითაც მან უმაღლესი ტიტულები მოიპოვა კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში. ეს იყო ამ ოციოდე წლის წინათ. ბედნიერი ვარ, რომ ენგლასის რეკორდი გავიმეორე."*

1974 წლის სპორტულ სეზონში ქართულ სპორტს პირველი წარმატება მოუტანა **ნონა გაფრინდაშვილმა,** რომელმაც შთამბეჭდავად მოიგო თბილისში გამართული სსრ კავშირის პირველობა. საქართველოში იმ ხანებში ხშირად იგეგმებოდა, როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო შეჯიბრებები. ზამთრის III საკავშირო სპარტაკიადის ჩასატარებლად ბაკურიანის შერჩევა, მაშინ, როცა რუსეთსა და შუა აზიაში შესანიშნავი ბაზები ფუნქციონირებდა, ნამდვილად სიურპრიზი იყო. საქმე ისაა, რომ ბაკურიანის უნიკალურობას ყველა აღიარებდა, მაგრამ ბაზების, ინფრასტრუქტურის შექმნა ჭიანურდებოდა. ახლა ამის დრო დადგა და საამისოდ ზამთრის სპარტაკიადა იქცა სტიმულად. 1974 წლის თებერვლისთვის, ბაკურიანში სასპარტაკიადო ბაზები, ფაქტობრივად, უკვე მზად იყო. აპრობაცია ამ ბაზებმა საქართველოს ზამთრის სპარტაკიადის მასპინძლობით გაიარა.

საკავშირო სპარტაკიადისთვის მზადებას საქართველოს მთავრობასთან შექმნილი საორგანიზაციო კომიტეტი ხელმძღვანელობდა. სამინისტროებს ერთიან გეგმაში თავთავიანთი სავალდებულო პროგრამა ჰქონდათ შესასრულებელი. 1300-ზე მეტი სტუმრის მიღება-მასპინძლობა ადვილი საქმე არ იყო. ასპარეზობა 7 მარტს დაიწყო, მაგრამ საზეიმოდ გაიხსნა 9 მარტს - შაბათ დღეს. აქვე ვიტყვით, რომ ბაკურიანის ბაზებმა, სპარტაკიადის პროგრამით, სამთომოთხილამურეთა, მოციგავეთა და ტრამპლინიდან მხტომელთა შეჯიბრებებს, ხოლო დანარჩენს სვერდლოვსკმა უმასპინძლა. შეჯიბრებები პარალელურად ჩატარდა იუნიორებისთვის. საქართველოს სპორტსმენები გამორჩეული წარმატებით იმ პერიოდში ტრამპლინიდან ხტომაში ასპარეზობდნენ. ეს დადასტურდა ახლაც - სპარტაკიადის ოქროს მედალი მოიპოვა ბაკურიანელმა **მიხეილ გავამ.** სპორტის ამ სახეობის ისტორიაში ის გახდა მეორე სპორტსმენი **კობა წაქაძის** შემდეგ, რომელიც დაეუფლა როგორც სსრ კავშირის, ისე ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონის ტიტულს. კობა წაქაძისთვის კი ეს იყო ბოლო ასპარეზობა - 40 წლის მიღწეული ვეტერანი ბაკურიანში სპარტაკიადის დასრულების დღეს, 1974 წლის 16 მარტს გააციელეს დიდი სპორტიდან. მედალი შინაურ სარბიელზე კიდევ ერთმა ბაკურიანელმა მოიპოვა - **გიორგი ჯიჩოევი** მესამე იყო სპეციალურ სლალომში.

ბაკურიანში გამართულ ამ ასპარეზობაზე თხრობას სპარტაკიადის დამთავრების მეორე დღესვე, 17 მარტს გაზეთ "პრავდაში" გამოქვეყნებული შეფასებით დავასრულებთ: *"სტუმართმოყვარე საქართველო კარგად მოემზადა მონაწილეთა მისაღებად. მათ ერთი წუთითაც არ მოჰკლებიათ ყურადღება. სპორტსმენებთან ყოველ საღამოს ჩამოდიოდნენ სტუმრად საშეფო ბრიგადები თბილისიდან. სპარტაკიადის დროს მოეწყო სპორტული ფილმების რესპუბლიკური ფესტივალი. ასპარეზობის მონაწილეები ბაკურიანს ტოვებენ და დიდ მადლობას უძღვნიან სტუმართმოყვარე მასპინძლებს."*

1974 წელსაც ძიუდოისტთა არაერთი წარმატებით გამდიდრდა ქართული სპორტის მონაპოვარი. უფროსების მხარდამხარ ღირსეულად გამოდიან ტატამზე იუნიორები. მაგალითად, სსრ კავშირის პირად-გუნდურ პირველობაში, რომელიც ჩატარდა ჩელიაბინსკში, სენსაციაც კი მოხდა. ქართველებმა კვარცხლბეკი არავის დაუთმეს 80 კგ. წონით კატეგორიაში: **დ. ხაბულიანი** პირველი იყო, **ჯ. კბილაშვილი** მეორე და **გ. იობიძე** მესამე. საერთოდ კი, ამ ტურნირში, საქართველოს წარგზავნილებმა ოქროს - ერთი, ვერცხლის - ორი და ბრინჯაოს ოთხი მედალი დაიმსახურეს. უფროსებში საქართველოს ნაკრების 9 წევრმა, სსრ კავშირის ჩემპიონატში, 11 საპრიზო ადგილი მოიპოვა. გაზეთი "ლელო" ასე წერდა ამასთან დაკავშირებით: *"ყველაზე დიდ წარმატებას ჯიბილო ნიჟარაძემ მიაღწია. მან ოქროს მედალი მოიგო აბსოლუტურ კატეგორიაში და ბრინჯაოსი - მძიმე წონაში. ჩემპიონი გახდა რამაზ ხარშილაძეც, ხოლო ოლიმპიურმა ჩემპიონმა შოთა ჩოჩიშვილმა ვერცხლის მედალი მიიღო მძიმე წონაში და ბრინჯაოსი - აბსოლუტურ კატეგორიაში. ვერცხლის მედლები დაისაკუთრეს აგრეთვე გურამ გოგოლაურმა, შენგელი ფიცხელაურმა და თეიმურაზ ხუბულურმა. ამირან ობგაიძე, აბდულა ბარკალაევი და აბესალომ წიკლაური ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ."* საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდში ევროპის ჩემპიონის ტიტულს დაეუფლნენ **გურამ გოგოლაური, შენგელი ფიცხელაური** და **ამირან მუზაევი.** ბრწყინვალედ იასპარეზა მიუნხენის ოლიმპიადის მესამე პრიზიორმა **გივი ონაშვილმა,** რომელმაც კონტინენტის ჩემპიონობა აბსოლუტურ წონაში მოიპოვა, ბრინჯაოს მედალი შემატა თავის საერთო მონაგარს მიუნხენის თამაშების ჩემპიონმა **შოთა ჩოჩიშვილმა.**

იმ წელს სიხარული გულშემატკივრებს ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეებმაც მოუტანეს. იუნიორთა საკავშირო პირველობის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დადგნენ **რაიდი აბრამიშვილი** (57), **ედიშერ მაჩაიძე** (68), **თეიმურაზ აფხაზავა** და **აირაპეტ მინასიანი.** ამ ოთხეულმა იგივე წარმატება გაიმეორა ევროპის პირველობაზეც, სადაც მათ **მიხეილ სალაძე** დაემატა, აირაპეტ მინასიანი კი მოგვიანებით სოცქვეყნების "მეგობრობის თასსაც" დაეუფლა. რაც შეეხება დიდ სარბიელს, აქ ევროპის ჩემპიონი გახდა **შოთა მორჩილაძე,** მესამე იყო **იოსებ ბერიშვილი.**

თავისუფალ ჭიდაობაში 1974 წლის ყველა უმაღლესი რანგის ასპარეზობა - სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატები, ერთი მეორის მიყოლებით მოიგო ლევან თედიაშვილმა. მსოფლიო თასით დაბრუნდნენ სამშობლოში **ნოდარ მოდებაძე** და **გივი ყვარელაშვილი.**

სპორტის სხვა სახეობებში, საქართველოს სპორტსმენებს იმ წელს ასეთი წარმატებები ჰქონდათ: **რუსუდან სიხარულიძემ** (ტანვარჯიში) სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა თავისუფალ ვარჯიშში, ევროპის ჩემპიონატზე კი იმავე პროგრამაში მესამე იყო; **ვიქტორ სანეევმა** (მძლეოსნობა) სამხტომში მოიგო ჯერ სსრ კავშირის, შემდეგ ევროპის ჩემპიონატი; **იოსებ მაღალაშვილი** სსრ კავშირისა და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა სამბოში; **ტარიელ ჟღენტი** (სასტენდო სროლა) იმარჯვებს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში; **დიტო შანიძე** (მძლეოსნობა) სსრ კავშირის

ლევან თედიაშვილი

პირველობის ოქროს მედალს ეუფლება ატაცსა და ორჭიდში; **თეიმურაზ კაკულია** (ჩოგბურთი) იმარჯვებს ვაჟთა წყვილში საკავშირო ჩემპიონატში და მესამე პრიზიორი ხდება ერთეულთა თანრიგში ევროპის პირველობაზე; კაკულიას თანაგუნდელი **ალექსანდრე მეტრეველი** უძლიერესის სახელს იხვეჭს სსრ კავშირის პირველობაზე ერთეულთა თანრიგში და ვაჟთა წყვილში. **სარქის სარხოიანი** (მაგიდის ჩოგბურთი) საბჭოთა კავშირში ერთეულთა თანრიგში პირველობის მოპოვების შემდეგ ბრინჯაოს მედალს ეუფლება მსოფლიო პირველობაზე ვაჟთა წყვილში; **გივი ნიკურაძე** (აკადემიური ნიჭბოსნობა) სსრ კავშირის ჩემპიონატში რვაადგილიანში იმარჯვებს და პირველი, სპორტის ამ სახეობაში, ასრულებს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივს; **გურამ თავდიშვილი** და **მარლენ პაპავა** (ტყვიის სროლა) ევროპის პირველობიდან ოქროს მედლებით ბრუნდებიან სამშობლოში; **ჯუმბერ ფხაკაძე** ეროს ტყორცნაში მესამე შედეგით ასრულებს სსრ კავშირის ჩემპიონატს უხვმოსავლიანი გამოდგა ის წელიწადი ქართველი მოჭადრაკე ქალებისთვის - **ნონა გაფრინდაშვილმა** თბილისში გამართულ საკავშირო პირველობაში წარმატების შემდეგ **ნანა ალექსანდრიასთან** ერთად მსოფლიოს გუნდური პირველობა მოიგო; **მაია ჩიბურდანიძე** მაშინ 13 წლისა იყო და ამ ასაკში პირველს, მსოფლიო ჭადრაკის ისტორიაში, ფიდემ საერთაშორისო ოსტატის წოდება მიანიჭა.

საქართველოს წარგზავნილებმა წარმატებით იასპარეზეს ალმა-ათაში გამართულ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში. უშბის პირველი დალაშქვრის 40 წლისთავს მიეძღვნა ახალი ასვლა ამ მწვერვალზე. ვენაში გაიმართა საერთაშორისო ოლიპიური კომიტეტის 75-ე სესია, რომელმაც 1980 წლის ზაფხულის თამაშების მასპინძლად მოსკოვი გამოაცხადა, ამასთან, სხვა პრობლემურ საკითხებთან ერთად განიხილა ოლიმპიური პროგრამის ახალი სახეობებით შევსებისა და "მოყვარული სპორტსმენის" ცნების საკითხი.

თენგიზ გაჩეჩილაძე

ნონა გაფრინდაშვილი და მიხეილ ტალი



დიტო შანიძე

რუსუდან სიხარულიძე

წყალბინობა

ვეძებთ ფულიან კაცს!

როგორც უკვე გაცნობეთ, გია უდესიანის გადადგომის შემდეგ, საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ფედერაციისა პრეზიდენტის გარეშე დარჩა. სავარაუდო საპრეზიდენტო კანდიდატურასა და წლევანდელ გეგმებზე გვესაუბრება საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის გენერალური მდივანი ირაკლი ბართაია.

- გია უდესიანის წასვლის შემდეგ, პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს ვიცე-პრეზიდენტი დავით რურუა. ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებს კი მხოლოდ მას შემდეგ ჩავატარებთ, როცა ღირსეული კანდიდატურა გამოჩნდება.

- პრეზიდენტობის მსურველი არავინ გამოჩენილა?

- ჯერჯერობით, არა. გვინდა, საწყლოსნო სახეობათა ფედერაცია ფინანსურად შეძლებულ და გავლენიან ადამიანს ჩავაბაროთ. ასეთი კანდიდატურის მონახვა კი ადვილი არაა. თუმცა, ვმუშაობთ ამ საკითხზე და ვიმედოვნებ, უდესიანის ღირსეულ შემცვლელს მოვნახავთ.

ირაკლი ბართაია

- წლეულს პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიები თამაშდება. ვინ გეგულებათ პეკინში მოხვედრის კანდიდატებად?

- 14-31 მარტს, მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება ცურვასა და წყალში ხტომაში, სადაც პეკინის ოლიმპიადის საგზურები გათამდება. ცურვაში მიგვყავს ირაკლი რევიშვილი და ანა სალნიკოვა, რომლებმაც დეკემბერში საქართველოს თასზე გაიმარჯვეს, წყალში ხტომაში კი გამოვლენ ჭოლა ჭანტურია და გიორგი გეკორქიანი.

- რა სისტემით თამაშდება ოლიმპიური ლიცენზიები?

- წყალში ხტომაში მსოფლიო ჩემპიონატზე თორმეტეულში უნდა მოხვდე. რაც შეეხება ცურვას, აქ რევიშვილმა 400-მეტრიანი დისტანცია მინიმუმ, 3.58.01 წუთში უნდა დაფაროს. იგი მსოფლიო ჩემპიონატზე 800 მეტრსაც გაცურავს, მაგრამ იქ ლიცენზიები არ თამაშდება. ანა სალნიკოვას პეკინში მოსახვედრად სჭირდება 200-მეტრიანი დისტანციის 2.33 წუთში დაფარვა, ან 100 მეტრის 1.11 წუთში გაცურვა.

ოთხივე სპორტსმენი საკმაოდ ახალგაზრდა და გამოუცდელია. შესაბამისად, სიმართლე გითხრათ, მსოფლიო ჩემპიონატზე მეტად, ლიცენზიების მოპოვება შემდეგ გასამართ სალიცენზიო ტურნირებზე გვეიმედება. იქ ის სპორტსმენები აღარ გამოვლენ, რომლებსაც პეკინის საგზურები უკვე განაღდებული ექნებათ. მსოფლიო ჩემპიონატი უფრო იმისთვის გვინდა, რომ ჩვენმა ახალგაზრდებმა გამოცდილება მიიღონ. თანაც, ხარჯების 90 პროცენტს საწყლოსნო სახეობათა საერთაშორისო ფედერაცია გვიხდის და ესოდენ მინიმალური ხარჯების გამოც ამ შეჯიბრების გამოტოვება არაფრით შეიძლება.

კობა ხატისაშვილი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ჰელათბურთი

ნოდარ შენგელია

მარკოიშვილი ციბონას წინააღმდეგ

ლეგიონერები. მიმოხილვა

ოლიმპიადან გარბიან, მარკოიშვილი იგებს

კვირის მიმოხილვა სლოვენიური ამბებით დავიწყოთ. **მანუჩარ მარკოიშვილს** "ოლიმპიამ" "პარტიზანთან" სამარცხვინო წაგების (60:106) შემდეგ ქომაგების წინაშე რეაბილიტაცია მოახერხა და ადრიატიკის თასზე ხორვატიის "ციბონა" 91:69 დაამარცხა.

სლოვენიელებმა პირველივე წუთებიდან ხელთ იგდეს უპირატესობა და საფინალო სირენამ ისე ჩამოჰკრა, რომ ხორვატებისთვის გადასწრების უფლება არ მიუციათ.

"ოლიმპიაში" ითამაშა გამოჯანმრთელებულმა ფინელმა **ტეემუ რანიკომ**, რომელმაც 23 ქულით სნაიპერობა იკისრა. მარკოიშვილმა 10-ით ნაკლები, 13 ქულა ჩააგდო (7-დან 2 ორქულიანი, 4-დან 1 სამიანი) და თანაგუნდელთა გამარჯვებაში მოკრძალებული წვლილი შეიტანა. ამ მოგების მიუხედავად "ოლიმპია" ფინალური ოთხეულის ზონასთან მაინც შორსაა - 8 მოგებით მერვე პოზიციაზეა.

ვიდრე ადრიატიკის ლიგის სატურნირო ცხრილს შემოგთავაზებდეთ, ორ ცხელ ოლიმპიურ ამბავს გეტყვით: შაბათს თანამდებობა დატოვა კლუბის პრეზიდენტმა **დაგ კრალიმ,** რომელმაც უხელფასოდ დარჩენილ მოთამაშეთა ჩივილს ვერ გაუძლო. გენერალური ასამბლეა ახალ პრეზიდენტს 29 იანვარს აირჩევს.

კვირას "ოლიმპია" კიდევ ერთმა პიროვნებამ დატოვა - კონტრაქტი უპრობლემოდ გაწყვიტა და "ტაუ კერამიკასთან" ხელშეკრულება გააფორმა თურქმა კალათბურთელმა **ენდერ არსლანმა**. იმასაც შეგახსენებთ, რომ ერთი კვირის წინათ "ოლიმპიადან" "რეალს" მიაშურა კაპიტანმა **მარკო მილიჩმა**.

ადრიატიკის ლიგა, მე-18 ტური. 1. ციბონა (ხორვატია) - 14 მოგება, 2. ჰემოფარმი (სერბეთი) - 13, 3. პარტიზანი (სებრეთი) - 13, 4. ფ.მ.პ. (სერბეთი) - 13 / 5. ზადარი (ხორვატია) - 11, 6. ცრცვენა ზვეზდა (სერბეთი) - 10, 7. ბუდუჩნოსტი (ჩერნოგორია) - 11 (-1 ქულა), **8. ოლიმპია (სლოვენია)** - 8, 9. ჰელიოსი (სლოვენია) - 8, 10.ბოსნა (ბოსნია) - 7, 11. შიროკი (ბოსნია) - 7, 12. ზაგრები (ხორვატია) - 6 (-1-, 13. სპლიტი (ხორვატია) - 2, 14. სლოვანი (სლოვენია) - 2.

ბასული უქმეები წარმატებული გამოდგა იტალიის სერია A-ში მოასპარეზე ქართველთა გუნდებისთვის. **ვლადიმერ ბოისას** "მონტეპასკიმ" შინ "ლეჯეა" გაანადგურა - 78:50, ხოლო **ტაირონ ელისის** "ნაპოლიმ" შინ "ტიზეტანტას" სძლია (91:83).

ელისმა (რომელსაც იტალიაში ტაის ეძახიან) იოლად მოახერხა კლუბის ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება და "ნაპოლი" აშკარად გაძლიერა. ვლადიმერ ბოისა კი მწვრთნელმა ძირითადი ხეთეულიდან სათადარიგოთა სკამზე დასვა და იოლი შესაძლებელია, ბოლო სამი მატჩის ოქმში ერთმანეთში აგვერიოს - ვოვას ყველგან 15 წუთი დ 0 ქულა უწერია.

ულების თასის მერვედფინალში "მონტეპასკის" მეტოქედ ბერძნული პაოკი ერგო. გამარჯვებული მეოთხედფინალში რუსულ "უნიქსსა" და სერბულ "ჰემოფარმს" შორის საუკეთესოს შეხვდება. "მონტეპასკი" - პაოკის დაპირისპირებები 3 იანვარსა და 13 თებერვალს გაიმართება.

იტალიის ჩემპიონატი. მე-16 ტური. 1. **მონტეპასკი - 13 მოგება,** 2. ვიდივიჩი - 13, **3. ნაპოლი** - 10, 4. მილანი - 10, 5. ბენეტონი - 9, 6. პრემიატა - 9, 7. დორლანდო - 9, 8. ვარეზე - 9, 9. რომა - 9, 10. ბოლონია - 8, 11. ლეჯეა - 7, 12. ბიელა - 7, 13. სნაიდერო - 7, 14. სივილია - 6, 15. ტიზეტანტა- 6, 16. აველინო - 4, 17. რეჯო ემილია - 4, 18. ლივორნო - 4.

გუშინ დასრულდა ბალტიის თასის ვარსკვლავთა მატჩის მონაწილეთა გამოკითხვა. გიორგი ცინცაძემ 12 191 ხმა მიიღო და ლეგიონერთა ნაკრების უკანახაზელთა შორის მესამე იყო. იგი **მარკო პოპოვიჩსა** და **კურტის მილაგეს** ჩამორჩა. "ლელოსთვის" მიცემულ ინტერვიუში გიორგიმ განაცხადა, რომ ჟალგირისელი მარკო პოპოვიჩი ტრავმირებულია და თუ 3 თებერვლამდე ვერ გამოჯანმრთელდა, სასტარტო ხუთეულში ქართველი ითამაშებს. ვარსკვლავთა მატჩი ლიტვის ქალაქ კაუნასში 3 თებერვალს გაიმართება.

ხუთეულები

გალტიელთა ნაკრები. ცენტრი: რაიტის გრაფსი (რიგა) - 11 996 ხმა; **ფორვარდები:** მარტინ მიურსეპი (როკი) - 12 104, იონას მაციულისი (ჟალგირისი) - 11 702; **უკანახაზელები:** მანტას კაინტისი (ჟალგირისი) - 11 824, სანდის ვალტერსი (რიგა) - 11 466.

ლეგიონერთა ნაკრები. ცენტრი: ტონკა ბერდი (ჟალგირისი) - 12 430; **ფორვარდები:** ჟოაო ბატისტა (რიტასი) - 17 344, მეტიუ ნილსენი (რიტასი) - 16 273; **უკანახაზელები:** მარკო პოპოვიჩი (ჟალგირისი) - 15 670), კურტის მილაგე (რიგა) - 15 027, გიორგი ცინცაძე (როკი) - 12 191, კერიმ რაში (რიტასი) - 9 608, მარსელო მაჩადო (ჟალგირისი) - 9531.

გიორგის "ტარტუ როკმა" შაბათს ბალტიის ლიგის მე-2 ჯგუფური ეტაპის მეოთხე მატჩიც მოიგო. ამჯერად როკერებმა ლიტვის "საკალაი" დაამარცხეს - 95:81. ცინცაძემ მატჩი სასტარტო შემადგენლობაში დაიწყო, თუმცა მხოლოდ 19 წუთი ითამაშა და 2 ქულას დასჯერდა. 2 დაფარებაც მოწმობს, რომ ბუმ "სკალაისთან" დაცვას უფრო მეტი ყურადღება დაუთმო, ვიდრე შეტევას.

შეგახსენებთ, რომ მე-2 ჯგუფიდან ფინალურ ოთხეულში მოხვედრის შანსი პირველ და და მეორეადგილოსნებს ეძლევათ.

ბალტიის თასი. მე-4 ტური. 1. როკი (ესტონეთი) - 4 მოგება, 2. კალევი (ესტონეთი) - 3 / 3. ნევეჟისი (ლიტვა) - 3, 4. ნეპტუნი (ლიტვა) - 2, 5. საკალაი (ლიტვა) - 1, 6. ლიეპაია (ლატვია) - 1, 7. ვანევეჟისი (ლიტვა) - 1, 8. ატლეტასი (ლიტვა) - 0.

ლიტვის მეორე ლიგაში წარმატებით ასპარეზობს **ნოდარ შენგელია,** რომლის "აკადემია" მე-2 ჯგუფში მეორე პოზიციაზეა (ერთი მოგებით "ალიტუსს" ჩამორჩება). ბოლო ტურში "აკადემიკოსებმა" ტატო ვაშაკიძის ყოფილ კლუბ "პასვალიოსთან" დათმეს. მატჩში საუკეთესო შენგელია იყო, რომელმაც 16 წუთში 15 ქულა (5-დან 5 ორქულიანი, 6-დან 5 საჯარიმო) ჩააგდო და 5 მოხსნა მიამატა. მისმა მარგი ქმედების კოეფიციენტმა 20-მდე მიაღწია.

16 წუთი **ვატო ნაცვლიშვილმაც** ნაყოფიერად გამოიყენა - 4-4 ორქულიანიდან და საჯარიმოდან 3-3 გამოიყენა, 9 ქულა მოუგროვდა. თუმცა "დიჟონს" ვერაფერი უშველა - "შოლემ" დიჟონელები 64:53 დაამარცხა.

საფრანგეთის ჩემპიონატი. მე-18 ტური. 1. ნანსი - 13 მოგება, 2. როანი - 13, 3. შალონი - 13, 4. ლემანი - 11, 5. სტრასბური - 11, 6. ლიონი - 10, 7. ლე ავრი - 10, 8. ორლეანი - 10, 9. შოლე - 9, **10. დიჟონი - 9,** 11. პარიზი - 9, 12. გრავლენი - 9, 13. პო ორტეზი - 9, 14. კლერმონი - 7, 15. ტულონი - 6, 16. ბურჟი - 6, 17. ბეზანსონი - 5, 18. რეიმსი - 2.

ვაჟა სიმონიშვილი

მუთამაშე	ტურნირი	თარ.	მატჩი	წ.	მ	პ	ჩ	ძ
ზაზა ფაჩულია	NBA	15.01	ატლანტა-ბოსტონი 100:96	18	3	2	1	12
		17.01	მინესოტა-ატლანტა 88:105	19	2	4	0	12
		5.01	ატლანტა-შარლოტი 75:96	17	3	1	1	6
		6.01	შარლოტი-ატლანტა 104:85	22	3	3	0	2
ვიქტორ სანიკიძე	ევროთახი	16.01	შალიაი-მსტუდიანტესი 72:81	7	1	1	0	0
	ესპანეთი (ჩ.)	21.01	ბარსელონა-ესტუდიანტესი 80:73	არ უთამაშია				
ნიკა ცქიტიშვილი	ესპანეთი (ჩ.)	21.01	რეალი-კახა 82:71	16	3	0	0	10
ვატო ნაცვლიშვილი	სუპერთახი	16.01	დიჟონი-ხორონა 89:90	32	9	0	3	17
	საფრანგეთი (ჩ.)	21.01	შოლე-დიჟონი 64:53	16	3	0	0	9
ვლადიმერ ბოისა	ულების თასი	16.01	მონტეპასკი-ოოსტენდე 73:62	15	1	1	0	0
	იტალია (ჩ.)	21.01	მონტეპასკი-ლეგია 78:50	15	2	2	0	0
ტაირონ ელისი	ევროლიგა	17.01	პო ორტეზი-ნაპოლი 68:72	24	3	2	2	4
	იტალია (ჩ.)	21.01	ნაპოლი-ტიზეტანტა 91:83	30	1	8	0	14
მანუ მარკოიშვილი	ევროლიგა	17.01	პარტიზანი-ოლიმპია 106:60	39	4	4	4	19
	ადრიატიკა	21.01	ოლიმპია-ციბონა 91:69	31	5	3	1	13
ბიორგი ცინცაძე	ბალტიის თახი	16.01	ატლეტახი-როკი 91:94	27	6	6	1	10
		20.01	როკი-საკალაი 95:81	19	2	4	0	2
ნოდარ შენგელია	ლიტვა (ლიგა)	20.01	პასვალო-აკადემია 92:83	16	5	0	0	15
ტატო ვაშაკიძე	ბალტიის თახი	20.01	ნევეჟისი-ბანევეჟეთი 80:76	3	0	1	0	3



სტუ უმნვრთნელოდ დარჩა

გუშინ გაიმართა კალათბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომიტეტის სხდომა, რომელზეც გადაწყდა, რომ სტუ-ს თავკაცი ნიკო ჩერქეზიშვილი უახლოეს სამ მატჩს გამოტოვებს. მისი დასჯის მიზეზი ქოქქია-საკანდელიძის მემორიალზე სტუ-"დინამოს" მატჩისას არასპორტული ქცევა იყო.

ნიკო ჩერქეზიშვილი გუნდში უასისტენტოდ მუშაობდა და ჯერჯერობით, უცნობია, მომდევნო შეხვედრებში ვინ დაიკავებს მის ადგილს სათადარიგოთა სკამზე.

ჩოგბურთი

მაკა იტალიაში გადავიდა

წლის წარუმატებელი სტარტის შემდეგ ავსტრალიიდან ევროპას დაუბრუნდა საქართველოს პირველი ჩოგანი ქალი **მაკა ჩახნაშვილი**. მაკამ ავსტრალიის ღია პირველობის პირველივე საკვალიფიკაციო წრეში რუს ამომავალ ვარსკვლავ **ანასტასია პავლიუჩენკოვასთან** წააგო და მას მერე აღარ გამოჩენილა. მცირე შესვენების შემდეგ ტურნირებს ჩვენი თანამემამულე იტალიის ქალაქ კაპრიოლოში უბრუნდება. ხალიჩაზე 25-ათასიანი ტურნირის ძირითადი ბადე იწყება. 24 წლის მაკა ჩახნაშვილი ტურნირზე მესამე ნომრად არის განთესილი. პირველ წრეში ჩახნაშვილის მეტოქეა გერმანელი **ანგელიკა რიოში**. 29 წლის გერმანელი ჩოგბურთელი ამჟამად მსოფლიოს 380-ე ჩოგანია, ის ძირითად ბადეში საკვალიფიკაციო ბრძოლების შემდეგ მოხვდა. სამი წლის წინათ რიოში მსოფლიოს 69-ე ჩოგნობამდეც აღზევებულა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

სუმო

კოკაინ ბოლო დღეს როჰო წააქცია

ნახევარი საფეხურით დაქვეითდება

იანვრის ბაშო ქართველმა სუმოისტმა **ლევან ცაგურიამ** (კოკაი) უარყოფითი ბალანსით დაასრულა, მან 15-დან შვიდი ბრძოლა მოიგო, მაგრამ რვაში დამარცხდა. ცხადია, კოკაი რანგში დაქვეითდება, თუმცა, სავარაუდოდ, არცთუ შესამჩნევად. ახალი რეიტინგლისტი (ბანძუკე) 26 თებერვალს გამოქვეყნდება, მარტის ბაშო კი 11-25 მარტს გაიმართება.

კოკაი ახლა დასავლეთის მეხუთე მაგაგაშირაა, სავარაუდოდ, ქართველი რიკიში მხოლოდ ნახევარი საფეხურით ჩაინაცვლებს და აღმოსავლეთის მეექვსე მაგაგაშირა გახდება (აღმოსავლეთი ნახევარი საფეხურით სჯობს დასავლეთს). იოკოძუნა კვლავ ერთი იქნება, არ შეიცვლება ოძეკების რიცხვი და ვინაობა, სეკივაკეს ტიტულს ინარჩუნებს **კოტომიცუკი**, მეორე სეკივაკე კი ამჟამად მე-2 მაგაგაშირა **კოტოშოგიკუ** გახდება. კომუსუბის ტიტულს შეინარჩუნებს **კისენოსატო**, მიუხედავად წარუმატებელი ტურნირისა, ოს **როჰოს** კი მონღოლი **ამა** ჩაანაცვლებს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

თეჩიდი

23.01.1962 - დაიბადა გურამ გედეხაური. სართიჭალა, გარდაბანი. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (100 კგ). მსოფლიოს ჩემპიონი (1987), მსოფლიოს თასის მფლობელი (1987), სსრკ ჩემპიონი (1989) და სამგზის მეორე პრიზიორი (1987, 88, 90), იუან პოდდუბნის სახელობის საერთაშორისო ტურნირში ორგზის გამარჯვებული (1986, 88), 1988 წლის სეულის ოლიმპიური თამაშების მონაწილე (VII ადგილი). საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი (1993-94). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ავსტრალიის ღია პირველობა

ნადალი გზას ბრძოლით იკაფავს

ავსტრალიის ღია პირველობამ იმ ეტაპს მიაღწია, როცა ტურნირზე სუსტები აღარ რჩებიან. ყოველი შეხვედრა დიდ ინტერესს იწვევს. ამ ეტაპზე, ყველაზე ხშირად ერთმანეთს განთესილები ხვდებიან და თუ თავიდან განთესილის გავარდნა მოვლენა იყო, ამჯერად ეს აღარავის უკვირს. და მაინც, ზოგიერთი მატჩი მაინც ყველასგან გამოირჩევა.

ესპანელი **რაფაელ ნადალისა** და ბრიტანელი **ენდი მარის** შეხვედრა უფრო ორი რამის გამო იწვევდა ინტერესს. ჯერ ერთი, ეს ორი ჩოგბურთელი, რომელთაგან ნადალი უკვე ჩამოყალიბებული ვარსკვლავია, მარი კი მალე იტყვის თავის სიტყვას, პირველად დაუპირისპირდა ერთმანეთს. მეორეც, ამ პირველი დაპირისპირებით საფუძველი ჩაეყარა ჩოგბურთის მომავალი გრანდების დიდ დუელს, რომელიც მთელი მათი კარიერის განმავლობაში გაგრძელდება და არაერთ მსგავს საინტერესო შეხვედრას ჰპირდება ჩოგბურთის მოყვარულს.

ცნობისთვის, ამ ორი ჩოგბურთელის ასაკებს შორის სხვაობა მხოლოდ ერთი წელია, მაგრამ თუ 19 წლის მარი ახლა იმკვიდრებს ადგილს საჩოგბურთო ელიტაში, ნადალი იქ უკვე შინაური კაცია და დიდი სლემის ტურნირის მოგებაც აქვს მოსწრებული.

შეხვედრა ერთგვარი დაზვერვით დაიწყო. პირველ სეტში ვერცერომმა ჩოგბურთელმა ვერ შეძლო ბრეიკის ღება. უფრო მეტიც, ბრეიკის ერთადერთი შანსი ნადალს ჰქონდა, რომელიც მან ვერ გამოიყენა. ბუნებრივია, სეტი ტაიბრეიკზე გადავიდა, სადაც ესპანელს ზედიზედ დაშვებული ორი შეცდომა სეტის წაგებად დაუჯდა.

მარიმ მეორე სეტის დასაწყისშივე შეძლო მეტოქის მონოდების აღება, მაგრამ ნადალმა ჩამორჩენა უმალ გაქვითა და აქეთ დაწინაურდა კიდეც. ეს უპირატესობა მან სეტის ბოლომდე შეინარჩუნა და ანგარიშიც გათანაბრდა.

მესამე სეტის დასაწყისში მარის თამაში აერია. მან შეცდომებს უხშირა და შედეგად, ნადალს დაწინაურების საშუალება მისცა. მაგრამ შემდეგ მარიმ თამაში დაალაგა, ზედიზედ ორი ბრეიკი მოიპოვა და სეტიც მოიგო. უფრო მეტიც, მას მომდევნო სეტის დასაწყისშიც შეეძლო დაწინაურება, მაგრამ რამდენიმე კარგი შანსი ვერ გამოიყენა. სამაგიეროდ, როცა ნადალმა თამაშის შემობრუნება შეძლო და ბრეიკის შანსები მიიღო, მათი ქულად ქცევა არ გასჭირვებია და სეტიც მის სასარგებლოდ დასრულდა.



ნადალი გამარჯვებას ზეიმობს

ესპანელმა გადამწყვეტი სეტის დასაწყისშიც შეინარჩუნა ეს უპირატესობა, ზედიზედ ოთხი გეიმი მოიგო და ამის შემდეგ, აღარც გასჭირვებია შეხვედრის გამარჯვებამდე მიყვანა. ნადალს თამაშის მოსაგებად თითქმის ოთხი საათი დასჭირდა. მომდევნო წრეში კი მისი მეტოქე იქნება ჩილელი **ფერნანდო გონსალესი**, რომელმაც ტურნირი ამერიკელ **ჯეიმს ბლეიკს** დაატოვებინა.

გუშინდელი დღე იმითაც იყო საინტერესო, რომ მომდევნო ეტაპზე გავიდა რუსეთის სახელით მოასპარეზე **ანა ჩაკვეტაძე**, რომელმაც იოლად მოუგო შვეიცარიელ **პატი შნიდერს**. ჩაკვეტაძე პირველად ითამაშებს დიდი სლემის ტურნირის მეოთხედფინალში, სადაც მისი მეტოქე იქნება რუსი **მარია შარაპოვა**. ამან თანამემამულე **ვერა ზვონარევა** ორ სეტში დაამარცხა, რითაც, პრაქტიკულად, გაინაღდა მსოფლიოს პირველი ჩოგნის სტატუსი.

ქალები. IV წრე

რაფაელ ნადალი (2) - ენდრიუ მარი (15) 6:7(3), 6:4, 4:6, 6:3, 6:1; **ნიკოლაი დავიდენკო (3)** - ტომაშ ბერდიჩი (13) 5:7, 6:4, 6:1, 7:6(5); **ფერნანდო გონსალესი (10)** - ჯეიმს ბლეიკი (5) 7:5, 6:4, 7:6(4); **ტომი ჰაასი (12)** - დავიდ ნალბანდიანი (9) 4:6, 6:3, 6:2, 6:3

ქალები. IV წრე

მარია შარაპოვა (1) - ვერა ზვონარევა (22) 7:5, 6:4; **კიმ კლაისტერსი (4)** - დანიელა ჰანტუხოვა (15) 6:1, 7:5; **ანა ჩაკვეტაძე (12)** - პატი შნიდერი (8) 6:4, 6:1; **მარტინა პინგისი (6)** - ნა ლი (19) 4:6, 6:3, 6:0

სატიტულო ბრძოლები

ჰატონმა ტიტული დაიბრუნა

ჰატონი ურანგოს უტევს

გასულ უქმეებზე, რუსი **ნიკოლაი ვალუევის** გარდა, კიდევ ორმა ჩემპიონმა დაიცვა ტიტულები. უფრო სწორად, ერთმა დაიცვა და ერთმაც დაიბრუნა. ორივე ბრძოლა ქვე-როჭოს (ზემსუბუქ) წონაში შედგა.

ერთში ბრიტანელმა **რიკი ჰატონმა** (42-0), ვისაც პროფესიულ რინგზე წაგება არ აქვს, აშკარა უპირატესობით, თუმცაღა ქულებით აჯობა მანამდე წაუგებელ კოლუმბიელ **ხუან ურანგოს** (17-1-1) და IBF-ის ტიტული დაიბრუნა. ლონდონში კი WBC-ს ქვე-როჭოს სარტყელის მფლობელმა **ჯუნიორ უიტერმა** ნოკაუტით მოუგო ტიტულის მექსიკელ მოცილე **არტურო მორუას**.

ლას ვეგასშივე კიდევ ერთი საინტერესო ბრძოლა შედგა, რომელშიც მექსიკელმა **ხოსე ლუის კასტილიომ** (55-7-1) მცირე უპირატესობით მოუგო წარმოშობით კამერუნელს (სიდნეის ოლიმპიადაზე სწორედ კამერუნის სახელით იასპარეზა), ამჟამად კი კანადაში მცხოვრებ **ჰერმან ნგოუდიოს** (15-1), ვისაც მანამდე პროფესიულ რინგზე წაგება არ ჰქონდა. ამ მოგებით, კასტილიომ ტიტულისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვა და ალბათ მალე ჰატონს დაუპირისპირდება. სხვათა შორის, ბრძოლას ტრიბუნიდან უყურა უძლეველმა **ფლოიდ მეიველერ უმცროსმა**, ვისაც მაისში დიდი ბრძოლა აქვს **ოსკარ დე ლა ჰოიასთან**.

ჰატონმა დიდი უპირატესობით კი მოიგო, მაგრამ ბრძოლის დროს მუშა მარჯვენა ხელი დაუზიანდა, რის გამოც მეტწილად ცაციათი იბრძოლა. თუმცა, ამით ურანგოს შვება არ უგრძვნია. როგორც წესი, "მანჩესტერელ დამრტყმელს" სხარტი მოძრაობა და კომბინაციების მრავალფეროვნება გამოარჩევდა, როცა მისი მეტოქე სწორხაზოვნად მოქმედებდა. თუმცა, ალბიონელს რამდენჯერმე მაინც ძლიერად დასცხო.

ერთხელ ეს მეხუთე რაუნდში მოხდა, როცა კოლუმბიელის მარჯვენამ გვარიანად შეარყია ჰატონი. მერე კი ურანგომ მეცხრეში ცაციათი დაბომბა მეტოქე. ბოლოსწინა რაუნდში კი, როცა იცოდა, რომ ქულებით აშკარად უკან იყო, ურანგომ გადამწყვეტი იერიში ნამოიწყო. მეტოქეს ჯერ ცაცია ტანში უთავაზა, შემდეგ კი მარჯვენათი რიკის თავსაც მისწვდა. თუმცა, ბრიტანელი კაცურად დაუხვდა და ტკივილებიც აიტანა.

შეგახსენებთ, რომ ამავე ტიტულს ჰატონი პირველად 2005 წელს დაეუფლა მას შემდეგ, რაც ტექნიკური ნოკაუტით მოუგო ავსტრალიელ **კოსტია ცზიუს**. იმავე სეზონის მიწურულს, მან კოლუმბიელ **კარლოს მაუსას** ნოკაუტით მოუგო და WBA-ის ტიტულსაც დაეუფლა. მაგრამ შემდეგ ბრიტანელი როჭოს წონაში გადავიდა, რითაც თავისი ტიტულები ვაკანტურად დატოვა, თავად კი ამერიკელ **ლუის კოლაცოს** მოუგო და WBA-ის როჭოს წონის ჩემპიონი გახდა.

რაც შეეხება კასტილიოს, მას უძნელესი ბრძოლა გადახდა და რომ არა რეფერი **რობერტ ბერდის** მიკერძოებული განსჯა, აუცილებლად დაკარგავდა ქულას წელს ქვემოთ დარტყმისთვის. და ეს მექსიკელს, ვინც მსუბუქი წონიდან იმის გამო გადმოვიდა, რომ ვერ ახერხებდა წონითი ლიმიტის დაცვას, წაგების ფასად დაუჯდებოდა. მოკლედ, ერთმა მსაჯმა ფრე (114-114) დააფიქსირა, ორმა კი მცირე უპირატესობა (115-113) კასტილიოს მიანიჭა.

რაც შეეხება უიტერს (35-1-2), მან ცხრავე რაუნდი შეტევაში გაატარა. მეოთხე რაუნდში მორუა ძლივს გადაურჩა დაცემას. მეექვსეში პრეტენდენტს კარგი შეტევა გამოუვიდა, თუმცა უიტერის წაქცევა მაინც ვერ შეძლო. სამაგიეროდ, მისგან მომდევნო რაუნდში ისეთი ძლიერი დარტყმები მიიღო, დაეცა კიდეც, თუმცა მსაჯმა ნოკდაუნი არ დააფიქსირა.

მეცხრე რაუნდში კი პრეტენდენტი მაინც ვერ გადაურჩა ჩემპიონის ძლიერ დარტყმებს. მსაჯმა ანგარიში გახსნა და მერვე თვლაზე, მას შემდეგ, რაც მორუა (24-8-1) ბაგირებს მიეყრდნო, ბრძოლა შეწყვიტა.

მერაბ ლორთქიფანიძე

რალი

მსოფლიო ჩემპიონატი

მონტე კარლოს რალი (საფრანგეთი)

1. **ლოები** ("სიტროენი", საფრანგეთი) - 3:10.27,4; 2. **სორდო** ("სიტროენი", ესპანეთი) - 3:11.05,6; 3. **გრონპოლმი** ("ფორდი", ფინეთი) - 3:11.50,2; 4. **ატკინსონი** ("სუბარუ", დიდ ბრიტანეთი) - 3:12.[illegible]; 5. **პირეონენი** ("ფორდი", ფინეთი) - 3:12.55,7; 6. **ჰ.სოლბერგი** ("სუბარუ", ნორვეგია) - 3:13.39,4; 7. **გარდემეისტერი** ("მიცუბიში", ფინეთი) - 3:14.05,5; 8. **კოპეჩკი** ("შკოდა", ჩეხეთი) - 3:15.06,8.

საერთო ჩათვლა: 1. **ლოები** - 10 ქულა; 2. **სორდო** - 8; 3. **გრონპოლმი** - 6; 4. **ატკინსონი** - 5; 5. **პირეონენი** - 4; 6. **ჰ.სოლბერგი** - 3; 7. **გარდემეისტერი** - 2; 8. **კოპეჩკი** - 1.

კონსტრუქტორთა თასი: 1. **სიტროენი** - 18 ქულა; 2. **ფორდი** - 10; 3. **სუბარუ** - 8; 4. **მიცუბიში** - 2; 5. **შკოდა** - 1.

ჭადრაკი

ვეიკ-ენ-ზეე (პოლანდია)

VII ტური

ვან ველი (პოლანდია)- **პონომარიოვი** (უკრაინა) 0.5:0.5; **შიროვი** (ესპანეთი)-**ტივიაკოვი** (ჰოლანდია) 0.5:0.5; **რაჯაბოვი** (აზერბაიჯანი)-**არონიანი** (სომხეთი) 0:1; **ტოპალოვი** (ბულგარეთი)-**ანანდი** (ინდოეთი) 1:0; **კრამნიკი** (რუსეთი)-**კარლსენი** (ნორვეგია) 0.5:0.5; **სვიდლერი** (რუსეთი)-**მოტილიოვი** (რუსეთი)- 1:0; **კარიაკინი** (უკრაინა)-**ნავარა** (ჩეხეთი) 1:0.

მდგომარეობა რვა ტურის შემდეგ: 1. **ტოპალოვი** - 6; 2. **რაჯაბოვი** - 5.5 ქულა; 3-6. **კრამნიკი, სვიდლერი, არონიანი, კარიაკინი** - 5; 7-8. **ანანდი, ნავარა** - 4; 9. **პონომარიოვი** - 3.5; 10-12. **მოტილიოვი, ვან ველი, ტივიაკოვი** - 3; 13. **კარლსენი** - 2.5; 14. **შიროვი** - 1.5.

ველოსპორტი

კოფიდისის ექიმი ციხეში ჩაჯდება

რეგბორგ სააგენტო "როიტერი" იტყობინება, საფრანგეთის სასამართლომ ერთწლიანი პატიმრობა მიუსაჯა პროფესიულ ველოჯგუფ "კოფიდისის" ფიზიოთერაპევტ **ბოგუსლავ მადეიაკს**. თუმცა, პოლონელი სპეციალისტი ციხეში მხოლოდ სამი თვე იჯდება, რადგან პატიმრობის დანარჩენი ვადა მან პირობითად მიიღო.

ველოსაჯინიბოს დანარჩენი მოქმედი თუ ყოფილი წევრები და ველომრბოლები, სამიდან ექვს თვემდე ვადით, ასევე პირობითად იქნენ დასჯილნი , ხოლო ბრიტანელ **დევიდ მილარსა** და იტალიელ **მასიმილიანო ლელის** სასჯელი საერთოდ არ შეეხოთ, რადგან ისინი საფრანგეთის მოქალაქეები არ არიან.

ფორმულა 1

მონტოიამ ტორო როსოს ინტერესი დაადასტურა

კოლუმბიელმა ავტომრბოლმა **ხუან პაბლო მონტოიამ** ფორმულა 1-ის ერთ-ერთი გუნდის მხრიდან, მისი პერსონისადმი ინტერესი დაადასტურა. როგორც ირკვევა, კოლუმბიელი პილოტის თავის რიგებში ხილვა "ტორო როსოს" სურს. თუმცა, "მაკლარენის" ყოფილმა წევრმა და ამჟამად ნასკარის სერიის პილოტმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ არ სურს ფორმულა 1-ში დაბრუნება.

"ჩემს მობილურ ტელეფონზე ევროპიდან შეტყობინება მოვიდა. მასში ეწერა, რომ თურმე ნასკარი ძალიან მოსაწყენ საქმედ მეჩვენება და ფორმულაში დაბრუნება მინდა. ძალიან ბევრი ვიცინე", - განაცხადა მონტოიამ.

მაკლარენში სმა აიკრძალა

"მაკლარენის" შეფმა **რონ დენისმა** თავისი გუნდის ახალ პილოტებს - ესპანელ **ფერნანდო ალონსოსა** და ბრიტანელ **ლუის ჰემილტონს** შეახსენა, რომ ალკოჰოლი და მანქანის საჭე შეუსაბამო ცნებებია.

დენისმა ავტომრბოლებს 2007 წლის სეზონის ბოლომდე აუკრძალა სმა. გამონაკლისი მხოლოდ შამპანური იქნება, რომლითაც პილოტები ყოველი გრან-პრის შემდეგ ერთმანეთს ნუნავენ ხოლმე.

"კატეგორიული წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ სეზონის მსვლელობისას პილოტი ალკოჰოლს ეტანებოდეს", - განაცხადა რონ დენისმა.

როგორც ჩანს, "მაკლარენის" შეფმა აქედანვე გადაწყვიტა თავი აარიდოს იმ პრობლემებს, რომელიც მას ბოლო წლებში ფინელმა **კიმი რაიკონენმა** შეუქმნა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ "ფერარიში" გადასული კიმი სასმელის დიდი მოყვარული გახლავთ.

ჩოგბურთი

ავსტრალიამ სამწვრთნელო შტაბი გააძლიერა

ანდრე აგასისა და **ლეიტონ ჰიუიტის** ყოფილი მწვრთნელი, **დარენ კეპილი** ავსტრალიის ნაკრების მწვრთნელი გახდა. მისი მოვალეობა იქნება, ამ ქვეყნის პირველი გუნდის კაპიტან **ჯონ ფიტცჯერალდისთვის** დახმარების განევა.

9-11 თებერვალს, ავსტრალიელებს დევისის თასის მერვედფინალში ბელგიის ნაკრების წინააღმდეგ უწევთ თამაში.

დავიდენკო ჩილესთან არ ითამაშებს

დევისის თასის ამავე ეტაპზე, მოქმედი ჩემპიონი, რუსეთის ნაკრები სტუმრად ჩილეს ხვდება. ავსტრალიის ღია პირველობის მსვლელობისას, რუსების გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა **ნიკოლაი დავიდენკომ** განაცხადა, რომ დევისის თასის წლევანდელი გათამაშების პირველ წრეში ის ნაკრებს ვერ დაეხმარება. მან მიზეზად ტრავმა დაასახელა.

"ჩილეს წინააღმდეგ ვერ ვითამაშებ. ვფიქრობ, ეს დიდი დანაკლისი არ იქნება ნაკრებისთვის, რადგან მარატ საფინი ჩემს გარეშეც გაართმევს თავს ამოცანას და ჩვენი გუნდი შემდეგ ეტაპზე გავა", - თქვა რუსმა ჩოგბურთელმა.

ბოქსი

პატრიკ რუა სკანდალში გაეხვა

ლეგენდარული კანადელი მეკარე **პატრიკ რუა**, რომელიც ამჟამად "კვებეკ რემპარტსის" (კვებეკის პროვინციის იუნიორთა ლიგა) მთავარი მწვრთნელი გახლავთ, მეტოქე გუნდის მფლობელის წინააღმდეგ თავდასხმაშია დადანაშაულებული.

პოლიციის ცნობით, კლუბ "ჩიკუტიმის" 50-მდე ფანი, "კვებეკის" ჰოკეისტებს ჩაუსაფრდა და მათ ავტობუსში ასვლის საშუალება არ მისცა. რუამ გადწყვიტა, რომ ეს აქცია წინასწარ იყო დაგეგმილი, ემოციები ვერ შეიკავა და მუშტი დაარტყა "ჩიკუტიმის" მეპატრონეს. ახლა, ამ საქმესთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს.

რეინჯერსი ფორსბერგს უმიზნებს

"ნიუ იორკ რეინჯერსის" ბანაკიდან გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ ეს კლუბი "ფილადელფიიდან" ცნობილი შვედი ჰოკეისტის - **პეტერ ფორსბერგის** შეძენითაა დაინტერესებული.

ფორსბერგის მოქმედ კონტრაქტში არის პუნქტი, რომლის მიხედვითაც, მას შეუძლია მოითხოვოს გაცვლა, რათა სხვა გუნდის შემადგენლობაში ფლეი ოფში ითამაშოს. "ფილადელფია" წლევანდელი რეგულარულის უიმედო აუტსაიდერია და სტენლის თასზე მოხვედრის თეორიული შანსი აქვს დარჩენილი.

მსოფლიო თასი

პუტცერმა გამარჯვების გემო გაიხსენა

კარენ პუტცერი

სამთო მოთხილამურეობა სეზონის მთავარი თემა კვლავ უამინდობაა. ოღონდ, თუ აქამდე პრობლემას უთოვლობა, ან წვიმები ქმნიდა, ამჯერად ესტაფეტა ნისლს გადაეცა, რის გამოც საფრანგეთის ვალ დ'იზერში ჩასატარებელი კაცთა სუპერკომბინაცია არ გაიმართა.

რბოლის ორგანიზატორებმა ჯერ დაშვების ცდის დაწყება გადადეს, შემდეგ მისი სასტარტო ქოხი დაბლა ჩამოიტანეს, მაგრამ საქმეს ამით არ ეშველა. ფერდობის ზედა ნაწილში ნისლი იმდენად სქელი იყო, რომ მხედველობა თითქმის ნულს უდრიდა. რა თქმა უნდა, ასეთ სიტუაციაში რბოლის ჩატარება დიდ რისკთან იყო დაკავშირებული და რბოლის ორგანიზატორებმაც რბოლა გაუქმებულად გამოაცხადეს.

იტალიის კორტინა დ'ამპეცოში კი ამინდს ამჯერად აღარ უჭირვეულია (შეგახსენებთ, რომ წვიმის გამო, იქ ქალთა სუპერგიგანტი დამოკლებულ ტრასაზე ჩატარდა). იქ ქალი მოთხილამურეები ერთმანეთს გიგანტურ სლალომში შეეჯიბრნენ.

რბოლა იტალიელი **კარენ პუტცერის** გამარჯვებით დასრულდა, ვისთვისაც ეს ბოლო ოთხ სეზონში, მსოფლიოს თასზე მოგებული პირველი რბოლაა. კვლავ შესანიშნავად იასპარეზა ამერიკელმა **ჯულია მანკუზომ**, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა და ბოლო ექვს რბოლაში ამდენჯერვე კვარცხლბეკზე ასვლა შეძლო. მესამე ადგილზეც იტალიელი (მანკუზო წარმოშობით იტალიელია) **დენიზე კარბონი** გავიდა. იტალიელებისგან განსხვავებით, ხელი მოეცარათ ავსტრიელებს - მოწინავე ათეულში მათი გუნდის ვერცერთმა წევრმა ვერ შეაღწია.

28 წლის პუტცერმა, ვინც იუნიორებში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონია, პირველივე ცდაზე საუკეთესო შედეგი აჩვენა. მეორეზე კი ზედმეტ რისკს მოერიდა, თუმცა მაინც ყველაზე სწრაფი იყო. საბოლოოდ, მან კარიერაში მსოფლიოს თასის მერვე რბოლა მოიგო. არადა, ამ სეზონში ეს მისთვის მხოლოდ მეოთხე რბოლა იყო. მან გასული სეზონის შემდეგ მარჯვენა ფეხზე ოპერაცია გაიკეთა, რის გამოც, ეს სეზონი გვიან დაიწყო.

რბოლა ვერ დაასრულეს ბროლის დიდი გლობუსის შარშანდელმა მფლობელმა, შვედმა **ანია პერსონმა,** მიმდინარე სეზონში გიგანტური სლალომის კლასიფიკაციის ავსტრიელმა ლიდერმა **ნიკოლ ჰოსპმ** და აბსოლუტური კლასიფიკაციის ლიდერმა, ასევე ავსტრიელმა **მარლის შილდმა.** პირველ ორს შეცდომა პირველივე ცდაზე მოუვიდა, შილდი კი მეორეზე შეცდა.

მერაბ ლორთქიფანიძე

კორტინა დ'ამპეცო (იტალია)
ქალები. გიგანტური სლალომი

1. კარენ პუტცერი (იტალია) 2:46.93 (1:22.45, 1:24.48); 2. ჯულია მანკუზო (აშშ) 2:47.34 (1:22.82, 1:24.52); 3. დენიზე კარბონი (იტალია) 2:47.61 (1:22.85, 1:24.76); 4. ჟენევიევ სიმარი (კანადა) 2:48.13 (1:23.26, 1:24.87); 5. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) 2:48.30 (1:22.84, 1:25.46); 6. ანა ოტოსონი (შვედეთი) 2:48.42 (1:22.82, 1:25.60); 7. ტინა მაზე (სლოვენია) 2:48.86 (1:23.68, 1:25.18); 8. კატრინ ჰიოლცლი (გერმანია) 2:49.02 (1:24.14, 1:24.88); 9. ნიკოლ ჯუსი (იტალია) 2:49.42 (1:23.01, 1:26.41); 10. მანუელა მიოლეგი (იტალია) 2:49.44 (1:23.86, 1:25.58)...

აბსოლუტური კლასიფიკაცია

1. მარლის შილდი (ავსტრია) 881; 2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 828; 3. ჯულია მანკუზო (აშშ) 794; 4. რენატე გიოჩლი (ავსტრია) 721; 5. ლინდსი კილდოუ (აშშ) 578; 6. კატერინ ცეტელი (ავსტრია) 568; 7. ანია პერსონი (შვედეთი) 529; 8. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) 403; 9. სარკა ზაპრობსკა (ჩეხეთი) 399; 10. ინგრიდ ჟაკემო (საფრანგეთი) 387...

ციგურებით სრბილი

მსოფლიო ჩემპიონატი (სპრინტი)

ჰამარი (ნორვეგია) ქალაქი
მგმაკაცები

500 მ. 1. კოსკელა (ფინ) - 34.80; 2. ნაგაშიმა (იაპ) - 34.97; 3. ლობკოვი (რუს) - 35.02; 4. კიოუ-პიუკ ლი (კორ) - 35.11; 5. ივენ ვეტენი (ნორ) - 35.18; 6. ვენემარსი (კან) - 35.20.

500 მ. 1. კოსკელა - 34.94; 2. ლობკოვი - 34.95; 3. კიოუ-პიუკ ლი - 35.04; 4. ფრუდრიქსონ (შშმ) - 35.22; 5. ნაგაშიმა - 35.35; 6. ნიენჰუისი (ჰოლ) - 35.36.

1000 მ. 1. დევისი (აშშ) - 1:08.41; 2. კიოუ-პიუკ ლი - 1:08.56; 3. ვენემარსი - 1:08.67; 4. მორისონი (კან) - 1:08.68; 5. ნიენჰუისი - 1:08.96; 6. ლალენკოვი (რუს) - 1:09.00.

1000 მ. 1. დევისი - 1:08.38; 2. კიოუ-პიუკ ლი - 1:08.69; 3. მორისონი - 1:08.78; 4. ვენემარსი - 1:08.79; 5. ნიენჰუისი - 1:08.83; 6. ლალენკოვი - 1:09.16.

საერთო ჩათვლა: 1. კიოუ-პიუკ ლი (მსოფლიო ჩემპიონი) - 138.775; 2. კოსკელა - 138.840; 3. დევისი - 139.435; 4. ლობკოვი - 139.495; 5. ნიენჰუისი - 139.565; 6. ვენემარსი - 139.620.

ქალები

500 მ. 1. ვოლფი (გერ) - 37.88; 2. შინია (იაპ) - . ვოლფი (გერ) - 38.29; 3. კაიკანი (რუს) - 38.32; 4. ოსუგა (იაპ) - 38.35; 5. ფრიზინგერი (გერ) - 38.42; 6. სიმიონატო (იტა) - 38.50.

500 მ. 1. ვოლფი - 38.07; 2. შინია - 38.14; 3. ოსუგა - 38.26; 4. კაიკანი - 38.29; 5. ფრიზინგერი - 38.39; 6. გერიტსენი (ნორ) - 38.61.

1000 მ. 1. ფრიზინგერი - 1:15.12; 2. ვიუსტი (ჰოლ) - 1:15.29; 3. კლასენი (კან) - 1:15.57; 4. გროვსი (კან) - 1:16.13; 5. რემპელი (კან) - 1:16.40; 6. სიმიონატო - 1:16.59.

1000 მ. 1. ფრიზინგერი - 1:15.13; 2. ვიუსტი - 1:15.20; 3. კლასენი - 1:15.49; 4. გერიტსენი - 1:16.36; 5. სიმიონატო - 1:16.48; 6. ბოერი (ჰოლ) - 1:16.55.

საერთო ჩათვლა (1000): 1. ფრიზინგერი (მსოფლიო ჩემპიონი) - 151.935; 2. ვიუსტი - 152.995; 3. კლასენი - 153.370; 4. შინია - 153.680; 5. სიმიონატო - 153.765; 6. ბოერი - 154.150.

ბიათლონი

მსოფლიო თასი. VI ეტაპი

ჰოკლიუკა. სლოვენია

მგმაკაცები

10 კმ. სპრინტი. 1. ოლფი (გერ) - 22:41.4 (0+0); 2. ფერი (შვედ) - +6.6 (0+0); 3. სვენდსენი (ნორ) - +8.7 (1+0); 4. კრუგლოვი (რუს) - +12.5 (1+0); 5. ვიტეკი (ჩეხ) - +33.1 (0+0); 6. ფიშერი (გერ) - +38.4 (1+0).

12.5 კმ. მგამოდევნებით. 1. შუმანი (ავსტრია) - 34:25.98 (1+0+0+0); 2. ვოლფი - +15.7 (1+0+0+1); 3. დეფრასნი (საფ) - +27.6 (0+1+0+1); 4. მეზოტიტში (ავსტრია) - +37.4 (0+0+0+0); 5. როგკოვი (რუს) - +38.3 (0+0+0+0); 6. იაროშჩენკო (რუს) - +46.4 (0+0+0+1).

15 კმ. მას.სტარტი. 1. შუმანი - 38:24.18 (0+0+0+0); 2. დეფრასნი - +28.1 (0+0+0+0); 3. ბირნბახერი (გერ) - +49.3 (0+0+1+0); 4. რიორი (გერ) - +54.7 (0+0+0+0); 5. ანდერსენი (ნორ) - +58.0 (0+0+1+1); 6. ბურკი (აშშ) - +1:29.4 (0+0+1+1).

საერთო ჩათვლა: 1. გრაისი (გერ) - 398; 2. ბიორნდალენი (ნორ) - 388; 3. ფერი - 372; 4. იაროშჩენკი (რუს) - 365; 5. ჩერეზოვი (რუს) - 362; 6. ბირნბახერი - 356.

ქალები

7.5 კმ. სპრინტი. 1. ოლოფსონი (შვედ) - 21:45.2 (0+1); 2. მოისეევა (რუს) - +6.8 (0+0); 3. ვილპელმი (გერ) - +17.4 (0+1); 4. ბაევერელ-რობერი (საფ) - +26.5 (0+0); 5. სოკოლოვა (ბლრ) - +26.9 (0+0); 6. გრუბენი (ნორ) - +31.8 (0+1).

10 კმ. მგამოდევნებით. 1. ვილპელმი - 35:05.73 (1+0+0+0); 2. მოისეევა - +51.5 (0+1+0+1); 3. სოკოლოვა - +58.2 (0+1+1+0); 4. გრუბენი (ნორ) - +1:31.7 (0+0+2+1); 5. ოლოფსონი - +1:36.7 (2+0+1+2); 6. გრეგორინი (სლოვენ) - +1:41.1 (0+0+2+1).

12.5 კმ. მას.სტარტი. 1. ხეოსტენკო (უკრ) - 41:55.96 (0+0+0+0); 2. ვილპელმი - +13.4 (2+0+1+0); 3. ბრანკოვიჩი (სლოვენ) - +23.5 (0+0+2+0); 4. სოკოლოვა - +39.2 (1+1+1+1); 5. მოისეევა - +47.7 (0+0+1+0); 6. ოლოფსონი - +55.5 (0+0+2+1).

საერთო ჩათვლა: 1. ვილპელმი - 506; 2. ოლოფსონი - 503; 3. გრუბენი - 419; 4. ჰენკელი (გერ) - 395; 5. ბეი (საფ) - 321; 6. ნოინერი (გერ) - 288.

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

ფილადელ.-სან ანტონიო 85:99
15:30, 26:31, 24:17, 20:21

ფილადელფია: იგუოდალა (20 ქ. 6 მ. 4 პ. 3 ჩ), კორვერი (13 ქ), დალემბერი (12 ქ. 12 მ. 3 დ), უ. გრინი (10 ქ), ჯ. სმიტი (10 ქ. 7 მ), ს. ჰანტერი (10 ქ. 15 მ. 3 დ).

სან ანტონიო: ბ. ბერი (23 ქ), დანკანი (17 ქ. 15 მ. 5 პ. 4 დ), ჯინობილი (12 ქ), ორი (12 ქ. 3 პ).

ფინიქსი-მინესოტა 131:102
35:28, 23:23, 46:20, 27:31

ფინიქსი: ა. სტაუდმაიერი (25 ქ. 8 მ), ბარბოსა (20 ქ), მერიონი (17 ქ. 20 მ. 3 დ), ნეში (16 ქ. 11 პ), რ. ბელი (12 ქ), დიაო (10 ქ. 7 მ).

მინესოტა: ფოიე (25 ქ. 6 მ), ჰადსონი (22 ქ. 4 მ. 4 პ).

პორტლენდი-მილუოკი 99:95
30:20, 28:25, 17:18, 24:32

პორტლენდი: როი (28 ქ. 9 მ. 2 ჩ), ზ. რენდოლფი (19 ქ. 12 მ), უებსტერი (15 ქ), ჯეკი (14 ქ. 2 ჩ).

მილუოკი: ბოიკინსი (28 ქ. 6 პ. 5 მ), ჩ. ბელი (23 ქ. 3 ჩ), ბოგუტი (ბოგუტი (16 ქ. 7 მ), პატერსონი (15 ქ), ილიასოვა (8 ქ. 9 მ).

მაიამი-დალასი 93:99
23:31, 17:20, 27:23, 26:25

მაიამი: უეიდი (31 ქ. 6 მ. 6 პ. 2 ჩ), ჯეისონ უილიამსი (17 ქ), ჰასლემი (15 ქ. 8 მ. 3 ჩ), ა. უოკერი (11 ქ. 5 მ).

დალასი: ჯოშ ჰოვარდი (25 ქ. 9 მ. 2 ჩ), სტეიჰაუზი (23 ქ), ნოვიცკი (22 ქ. 11 მ), ტერი (11 ქ. 11 პ).

ლეგენდები

რობიტაილი დაასფასეს, ჯერი მესიეზეა

"ედმონტონ ოილერზის" ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ 27 იანვარს, "ფინიქს კოიოტზის" წინააღმდეგ მატჩში, "მენავთობიების" არენის - "რექსოლ პლეისის" თაღზე დაიკიდება მაისურა მე-11 ნომრით, რომლითაც წლების განმავლობაში "ედმონტონის" ღირსებას ლეგენდარული **მარკ მესიე** იცავდა.

ქალაქის მთავრობამ "ოილერზის" ხელმძღვანელობასთან ერთად, ამ მოვლენისადმი მიძღვნილი ორდღიანი საზეიმო ცერემონიალი დაგეგმა. მათი ჩანაფიქრის მიხედვით, გულშემატკივარს მესიესთან გასაუბრების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს. ამიტომაც, "ფინიქსთან" მატჩამდე ერთი დღით ადრე, ედმონტონის ცენტრალურ მოედანზე ჰოკეისტისა და მისი ფანების შეხვედრა გაიმართება.

მესიეს მაისურა "ოილერზის" სხვა ლეგენდარული ჰოკეისტების მაისურების გვერდით დაიკიდება. ესენი არიან - **უეინ გრეტცკი, პოლ კოფი, გრანტ ფიური** და **იარი კური**. როგორც საგენტო "როიტერი" იტყობინება, "ფინიქსთან" მატჩში "ედმონტონის" ჰოკეისტები იმ ფორმით გავლენ ყინულზე, რომლითაც გუნდი გასული საუკუნის 80-იანი წლების შუაში თამაშობდა. შეგახსენებთ, რომ მარკ მესიე "ედმონტონში" 1979 წელს ჩაირიცხა და ამ გუნდთან ერთად ხუთჯერ მოიგო სტენლის თასი. 1991 წელს, მარკი "ნიუ იორკ რეინჯერსში" გადავიდა, რომელსაც 1994 წელს სტენლის თასი ააღებინა.

მარკ მესიე უეინ გრეტცკის შემდეგ, NHL-ის ისტორიაში მეორე ბომბარდირია. მან კარიერა 2005 წელს დაასრულა და მეოთხედი საუკუნის განმავლობაში, მეტოქეთა კარში 694 შაიბა გაიტანა და 1193 შედეგიანი პასი შეასრულა, რამაც ჯამში 1887 ქულა შეადგინა.

თუ მესიეს ბენეფისი ერთი თვის შემდეგ არის დანიშნული, "ლოს ანჯელეს კინგზმა" უკვე დააფასა თავისი ყოფილი ვარსკვლავი - **ლუკ რობიტაილი**. გასულ უიქ ენდზე, ამ ფორვარდის 20-ნომრიანი მაისურა "სტეპლს ცენტრის" არენის თაღზე დაკიდეს.

როგორც ჰოკეისტმა "ლოს ანჯელეს თაიმსისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, მას კარგად ახსოვს ყველა ის 14 სეზონი, რომელიც "კინგზის" შემადგენლობაში გაატარა. *"ყოველთვის ვუცქერ რუქას და ვხედავ, თუ რა შორს არის ჩემი მშობლიური მონრეალი ლოს ანჯელესისგან, მაგრამ ცხოვრებაში ერთხელაც არ მინანია, რომ იმ კლუბში დავიწყე კარიერა, რომელმაც მე დრაფტზე ამირჩია"*, - ამბობს 40 წლის რობიტაილი.

ამ ფორვარდმა ლიგაში 1431 მატჩი ჩაატარა და 1394 ქულა (668 გოლი+726 პასი) დააგროვა. შეგახსენებთ, რომ "ლოს ანჯელესის" გარდა, რობიტაილი "დეტროიტის", "პიტსბურგისა" და "ნიუ იორკ რეინჯერსის" ღირსებას იცავდა. 2002 წელს, "დეტროიტის" შემადგენლობაში მან სტენლის თასი მოიპოვა.

23 იანვარი. სამშაბათი

SPORT 1 (უკრაინა)

08:05 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ფიორენტინა.
09:50 სპორტ-კლუბი.
10:50 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მალიორკა-რეალი.
12:35 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
13:25 სპორტ-დოსიე.
13:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-მილანი.
15:40 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
16:05 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-მინესოტა.
17:50 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:20 ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. სანტოსი-სან კაეტანო.
20:05 ფიტნეს-პლანი.
20:30 სპორტინფორმი.
20:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა 2004-05. მილანი-ეინდჰოვენი.
22:40 სპორტინფორმი.
22:50 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. ახალი ზელანდია.
01:25 სპორტინფორმი.
01:40 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-სევილია.
03:30 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
04:00 ჰოკეი. ALL STAR-ის უიქ ენდი. ახალგაზრდა ვარსკვლავთა მატჩი (LIVE).
06:30 ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. სანტოსი-სან კაეტანო.

EUROSPORT

09:15 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. IX დღე.
11:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. IX დღე (LIVE).
16:00 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. აუცილებელი ცეკვა. ვარშავა. პოლონეთი (LIVE).
19:15 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. IX დღე.
21:15 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. სპორტული წყვილები. მოკლე პროგრამა. ვარშავა. პოლონეთი (LIVE).
00:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. IX დღე.
01:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მონაკო.
02:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. IX დღე.
03:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. X დღე (LIVE).

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ზამთრის უნივერსიადა. სნოუბორდი. ტურინი. იტალია (LIVE).
13:00 ზამთრის უნივერსიადა. შორტ ტრეკი. ტურინი. იტალია (LIVE).
14:30 ზამთრის უნივერსიადა. სნოუბორდი. ტურინი. იტალია (LIVE).
15:30 ახალი ამბები.
16:00 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ესტუდიანტესი.
17:00 ზამთრის უნივერსიადა. ტრამპლინიდან ხტომა. K125. ტურინი. იტალია.
18:00 ლაკროსი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
21:00 კალათბურთი. ევროლიგა.
21:30 ახალი ამბები.
22:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. ჯგუფური ტურნირი. ჰაპოელი (ისრაელი)-ალბა (გერმანია).
23:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. ჯგუფური ტურნირი. ლუტუვოს რიტასი (ლიტვა)-აეკ (საბერძნეთი).
00:00 ზამთრის უნივერსიადა. სნოუბორდი. ტურინი. იტალია.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ზამთრის უნივერსიადა. ტრამპლინიდან ხტომა. K125. ტურინი. იტალია.
02:15 ახალი ამბები.

ფეხბურთი

ინგლისი

ჩემპიონატი

პლიმუთი-პორტსმუთი	3:2

იტალია

სერია B

ბოლონა-პარმა	1:1

სერია C1/B

ბარანგო-სამბენედეტეზე	4:2

გერმანია

II ბუნდესლიგა

პანზა-ფრაიბურგი	0:1

პოლონეთი

ფეხბურთი

ანა-ბალმიო	4:2
ჯვ71-ზიმრა	5:0
ეიგბორდენი-ბრინასი	3:3

ხელბურთი

მსოფლიო ჩემპიონატი

მგმაკაცები

გერმანია-პოლონეთი	25:27
ეგვიპტე-ალბანეთი	35:24
ბრაზილია-ეგვიპტე	27:39
უკრაინა-ავსტრალია	37:18
ბარბადოსი-ბრაზილია	32:19
უნგრეთი-ანგოლა	34:31
ბრაზილია-არგენტინა	20:22
ესპანეთი-ჩეხეთი	35:29
ტუნისი-სლოვენია	27:34
საფრანგეთი-ისლანდია	24:32
ხორვატია-რუსეთი	32:27
დანია-ნორვეგია	27:25

პური ალარა ვჭამოთ, მამაძალლი?!

ნუგზარ შატაიძე

ნინ მივიწვევთ. პირველ კვირაში გვქონდა ერთი გვერდი, მეორე-მესამეში - ორორი. ამ კვირაში სამს ვაპირებთ და ვეცდებით, ამაზე დაბლა არ ჩამოვიდეთ. ისე კი, როგორც თავიდან გითხარით, ასეთი გვერდი გვინდა კვირაში ხუთი - ორშაბათის გარდა. ორშაბათს ძალიან ბევრი ინფორმაცია გროვდება და ადგილი არ რჩება ხოლმე.

დღეს გვყავს უკვე მე... მეშვიდე ავტორი. არა, მის წარდგენას ახლა არ ვაპირებ. არ სჭირდება - წარსულში ლელოელია და ახლა ცნობილი მწერალი. მსახიობობის გამოცდილებაც აქვს. შეგიძლიათ, სახე აღიდგინოთ კიდეც და მერე ფოტოსაც დავურთავთ ხოლმე - ხარებას ძმა. ჰმ, მთელი რედაქცია ვიხსენებდით და ვერ გავიხსენეთ, რა ერქვა ფილმში მის გმირს. ილოო და მერე არა, ილო მეორეს, მედუქნეს, მიშა სალაძეს ერქვაო. მეკითხა მაინც - დილას შევხვდი, ნაწერი რომ გადმოეცა. აი ასე, ფილმი ლამის ფოლკლორად იქცა და სახელი ვერ გავიხსენეთ. კლავენ... თუმცა, ბოლოს ყველას კლავენ იქ...

მურტალი ფილმია, მე რომ მკითხო. "მემარცხენე იდეოლოგიით" გადაღებული. მემარცხენეობა ჩვენში სალანძღავ სიტყვად კი იქცა რატომღაც. გასაგებია რატომაც, მაგრამ ესენი ნამეტანი "ულტრები" არიან.

ხარება რისთვის გავარდა ყაჩაღად? მოურავად იდგა, გლეხს ბატონის ვალი აპატია და მერე ბატონისგან შეურაცხყოფა ვერ აიტანა. მაშ რაღას დგებოდი მოურავად, შე კაცო? იმ მეორეს მემგონი მიზეზი არც ჰქონია, უბრალოდ, შეუამხანაგდა. ცოტა თავქარიანი კაცი იყო. უტრუხუნეს, მეეტლეს, შანტაჟი მოუწყვეს, ფაქტობრივად - მთელმა ქვეყანამ იცის, ჩვენ რომ მოგვემსახურე ძარცვისას და ახლა გინდა თუ არა, აქ უნდა დარჩეო. ამას კიდევ ოთხი შვილი ჰყოლია. ხარებას ძმა, ჩვენი დღევანდელი ავტორის გმირი? ეგეც ხომ შეიწირეს. "ნათელი იდეა" მსხვერპლს მოითხოვს, მაგრამ რიღასთვის იბრძვიან ესენი? კაცმა არ იცის - შეუამხანაგდებიან ვიღაც ანარქისტებს, სინდიკალისტებს თუ ფედერალისტებს. მდიდარს ართმევენ და ღარიბს ეხმარებიან. სომეხი, რა თქმა უნდა, ვაჭარია, მიკირტუმა, მშრომელი ხალხის სისხლისმწოველი, წურბელა. ყველა გაჭირვებული და ღატაკი, რა თქმა უნდა, ქართველია...

ჰო, ერთი აუცილებელი პირობა - რუსი პოლიციელი კაი ტიპია (ამისი გვარიც არ მახსოვს, მახსოვს მხოლოდ მსახიობი - ალექსანდრ კაიდანოვსკი), და მისი შემცვლელი ქართველი, რა თქმა უნდა, ახვარი, ახვლედიანი. ესეც ცნობილი სქემაა. რუსი კეთილშობილია, ქართველი კი ქართველის ხელით უნდა მოკვდეს! ეხუმრებით თქვენ 80-იან წლებში ფილმის გადაღებას? ათასი რამე უნდა გაითვალისწინო, მაქსიმალურად გააბუნდოვნო - ვინ ვის ებრძვის, რატომ, რისთვის, რა მიზეზით, რა მიზნისთვის? უბრალოდ, ისვრიან, გაქცევაა, დევნაა, ტრილერი, ერთი სიტყვით - კერძო პირი იბრძვის "სახელმწიფო ორგანოს" შეცდომის გამოსასწორებლად, ამ შემთხვევაში, უსამართლობის წინააღმდეგ.

ეხლა გავუტიე და ვის სჭირდება ჩემი კინოკრიტიკოსობაა? თან ხომ მაინც ვუყურებ, ყოველ ჩვენებაზე? მემგონი, თავიდან ბოლომდე ერთხელაც არ მინახავს, მაგრამ რომ შემხვდება რომელიმე არხზე, კი შევყვები ხოლმე ბოლომდე.

საკმარისია! კინოკრიტიკოსს დავაწერინებ მომდევნო წერილს. უფრო სწორედ, არტ-კრიტიკოსს, როგორც თავის თავს უძახის და ვალაპარაკებ სპორტზე - კერძოდ კი ფიგურულ ციგურობაზე. დამპირდა, რომ დაგიწერო, პარასკევს კი ელენე სრიალებს ევროპის ჩემპიონატზე. ეს იქნება.... მერვე ავტორი. ახლა მეშვიდეზე ვლაპარაკობთ.

რა თქმა უნდა, ეს ბოლო გვერდი რომ დავგეგმეთ, ერთ-ერთ ყველაზე სასურველ ავტორად ნუგზარ შატაიძეც ვიგულისხმეთ. მაგრამ, ისე მოხდა, რომ რაღაც მიზეზთა გამო დაკავშირება დაგვიგვიანდა. და რომ დავაპირეთ, აღმოჩნდა, რომ ირაკლი ბერიაშვილს დაუსწრია თქმა და აქეთ შემოგვეხმიანა.

ვის ვიშოვიდით მასზე კარგ დამწერად? ჯერ მარტო ეს ფილმი ხომ მთელი საბადოა, ათასი სხვა ამბავი ექნება მოსაყოლი - თვითონ რაც უნახავს და სხვისგან რაც გაუგია. სპორტული ამბავი, რა თქმა უნდა - რომელიც ნამდვილად მოხდა, მაგრამ რაღაცით არაჩვეულებრივია, შესაძლოა, დაუჯერებელიც - "სპორტული ნოველა", პირობითად რომ დავარქვათ. შესაძლოა, ნამდვილი ნოველაც დაგვიწეროს, თავისი მოგონილი. სპორტულ თემაზე. ესენი ჯერ არც მითქვამს და მგონი, არ მიწყენს, გაზეთიდან რომ გაიგებს. თუ დრო ექნა, რასაკვირველია...

კიდევ მინდოდა რაღაცეების თქმა, უშუალოდ სპორტზე, მაგრამ სხვა დროს იყოს.

მამუკა ჩიხლაძე
მოდერატორი

ნუგზარ შატაიძე

...ბიორგი შენგელაია ფილმს იღებს, მთავარ როლებზე ლევან თედიაშვილი და ომარ ფხაკაძე ჰყავს მინვეული. მათ შორის მეც - ხარებას ძმას ვთამაშობ. არც მე ვარ მსახიობი, არც - ესენი, მაგრამ ვცდილობთ და გიორგის დახმარებით რაღაცნაირად თავს ვართმევთ. მე და ომარს უფრო გვიჭირს, უჭირს მიშა სალაძესაც, ავთო მაისურაძესაც, მარტო ლევანი გრძნობს თავს ისე, როგორც თევზი წყალში. ის რომ არ იყოს, ნაღდად უფრო მეტად გაგვიჭირდებოდა, მაგრამ მისი ხუმრობა და სიცილი ძალას გვმატებს. რომ არ იცნობდე ნამდვილი არტისტი გეგონება, ისე იქცევა, თითქოს ჭიპი ჰქონდეს ამ საქმეში მოჭრილი. ახლაც ჩამესმის მისი ლაზათიანი შეძახილი: "პური არა ვჭამოთ, მამაძაღლი?!"

ერთხელ, გურჯაანის რაიონის რომელიღაც სოფლის სკოლაში, შეხვედრა მოგვიწყეს, შეხვედრის მერე კი სკოლის ეზოში მწვადები ააშიხინეს და სუფრასთან მიგვიწვიეს. გადაღებიდან ვართ მისულები, დაგრიმულები, კინოსტუდიის ტანისამოსიანები, თან ჩვენი ფაეტონიც გვახლავს. კარგად რომ შევზარხოშდით, ლევანმა ჩამჩურჩულა - მოდი, რა, ვაუკაცურად, გურჯაანში ფაეტონით წავიდეთო. წავიდეთ-მეთქი! არადა, ოქტომბრის ბოლოა, მზე რომ ღრუბლებს მიეფარება, ისე ცივა, კბილს კბილზე ვაცემინებ. ლევანს რა უჭირს, კარგი შალის ჩოხა აცვია, მე კი თეთრი პერანგი და თხელი ფრენჩი. ავედით ფაეტონზე, მოვატანინეთ სალვინით ღვინო, დედას პურები, შამფურით მწვადი და დავიძარით. მოვდივართ და თან გზადაგზა ჯამს ჯამზე ვცლით. ტრასაზე მანქანები გვისიგნალებენ, ზოგი ჩერდება კიდეც, იქიდან თავგადმოყოფილი კახელები იცინიან, ხელის აწევით გვესალმებიან, რაღაცას მოგვძახიან. ზოგ ნაცნობს ლევანი ღვინით უმასპინძლდება. ერთი სიტყვით ეგრე ჩავედით გურჯაანამდე.

გურჯაანის სასტუმროში ლევანი და მე ერთ ნომერში ვცხოვრობდით. საღამოობით ხან ვინ შემოგვაკითხავდა და ხანაც - ვინ, გვიანობამდე ვერ ვიძინებდით, ლევანი თავის თავგადასავლებს გვიყვებოდა და სიცილით გვხოცავდა.

ერთხელ ვეკითხები, მაინც რა იყო, რატომ გახდი მოჭიდავე-მეთქი.

იმიტო, რო ქათმის ხორცი მიყვარდაო...

გამიკვირდა - ქათმის ხორცი რა შუაშია-მეთქი?!

ეხლავე გაიგებო. დედაჩემი ქათამს მარტო მაშინ დაკლავდა, სტუმარი რო მოგვივიდოდა, მაგრამ იმ ქათმისა მე ერთი ბარკალი მხვდებოდა, ჰა, ჰა, ერთი ბარკალი და ერთიც ფრთისძირი, არადა ძალიან მიყვარდა. ერთხელ, რაიონის მოზარდ მოჭიდავეთა ნაკრებში ამიყვანეს. შეკრებაზე ვართ. სადილის დრო რო მოვიდა, შეგვიყვანეს სასადილოში და წინ ნახევარი შემწვარი ქათამი დამიდეს. მორიდებით ვიკითხე - ესა სუ ჩემიამეთქი? შენია, მა ვისიაო! აი, სწორედ მაშინა ვთქვი გუნებაში: მორჩა, თქვენ მე აქედან ვეღარ გამაგდებთ-მეთქი...

მისი ჭიდაობა პირველად, თუ არ ვცდები, 1977 წელს ვნახე, მაშინ, როცა ლევან თედიაშვილი უკვე მსოფლიოში სახელგანთქმული ფალავანი იყო. თბილისის საერთაშორისო ტურნირი ტარდებოდა, გაზეთ "ლელოში" ახალი მისული ვიყავი და მევალებოდა კიდეც სპორტის სასახლეში მიმდინარე შეჯიბრებაზე დასწრება. ცხადია, თბილისელ მაყურებელს ყველაზე მეტად ლევანის ნახვა უნდოდა, ყველა მის გამოსვლას ელოდებოდა. აი, გამოვიდა კიდეც, დარბაზი გაისუსა, ლევანმა მეტოქეს ხელი ჩამოართვა, მერე, უეცრად, ფეხებში შეუვარდა, ასწია და ბეჭებზე დადო! ატყდა ერთი ამბავი, აღტაცების ღრიანცელისა და ტაშისცემისგან კინაღამ სპორტის სასახლის სახურავი ჩამოიქცა. იგივე მოხდა მეორე და მესამე წრეშიც - ლევანი ათ-თორმეტ წამში ამთავრებს შეხვედრებს, არადა მაყურებელს მისი ჭიდაობის ნახვა უნდა, ატყდა ყვირილი: არ წააქციო, კაცო, იჭიდავეო!

საერთაშორისო შეჯიბრებებში ლევან თედიაშვილს სულ ჩატარებული აქვს 640 ორთაბრძოლა, აქედან ნახევარზე მეტი წმინდად მოიგო და მხოლოდ ორჯერ დატოვა სარბიელი დამარცხებულმა. ახლა წარმოიდგინეთ, ასეთი შედეგი რომელიმე პროფესიონალ მოკრივეს რომ ჰქონოდა, რა ამბავი ატყდებოდა!

1977 წელს, თეირანში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი შახ არიამერის სახელობის თასზე. თეირანის ახლადაშენებული სპორტის სასახლის ტრიბუნებზე ნემსი არ ჩავარდებოდა. ფინალურ შეხვედრებს ირანის შაჰიც დაესწრო. ლევანმა ირანელი ჯაფარი 20 წამში წააქცია, ეგვიპტელი ხოდაბალა - 25 წამში, ბულგარელი ჩერნაგოვი - 2 წუთში, პოლონელი ტომასი - 10 წამში და ფინალში ირანელ სულეიმანს უნდა შეხვედროდა. ლევანმა ეს ამბავიც გურჯაანის სასტუმროში მიამბო:

"ფინალურ შეხვედრამდე ერთი საათია დარჩენილი, მაგრამ უკვე სპორტის სასახლეში ვარ, ჩვენს მოჭიდავეებს "ვბალელშჩიკობ". ჩვენი მთავარი მწვრთნელი იურა შახმურადოვი მოშორებით ზის, რაღაც არ მომწონს - შემომხედავს, გაიღიმებს, კიდე შემომხედავს, კიდე გაიღიმებს. გვერდით მივუჯექი: რა არი-მეთქი. არაფერიო. მა რა გაცინებს, შე ჩემის ვერანო-მეთქი! ისევ იღიმება, მიყურებს, გითხრაო? მითხარი-მეთქი. წელან აქ ერთ ირანელ კაცთან შემახვედრეს, ეგ შენი სულეიმანი, მგონი, შაჰის ნათესავი ყოფილა, ძალიან უნდათ, რო გაიმარჯვოსო, ოღონდაც ლევანა დაწვესო და დიდძალ ფულს იძლევიანო... მაინც, რამდენსა-მეთქი? 50 000 დოლარსაო!

ავუტყდი - მოდი, რა, იმ კაცს მე შემახვედრე-მეთქი!

წადი, დაიკარგეო, რაღაცა უნდა იციგნო და გახდეს შარიო... ერთი სიტყვით, უარი მტკიცა, მაგრამ გავიხედოთ და ის კაცი თვითონ არ მომადგა?! - შავწვერა, "დიპლომატიანი" ირანელია, თან ვიღაც მეორე ახლავს, როგორც აღმოჩნდა, თარჯიმანი. გამიყვანეს განზე და მეტუტუნებიან: რა გინდა, ლევან, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ხარ, ხუთგზის მსოფლიოსი, ეს ოხერი ტურნირი რა გაგიხდა, აიღე ფული (დიპლომატს მაჩეჩებენ) და დაწექიო.

შევიკარი შუბლი: რამდენია-მეთქი?

ორმოცდაათიათასი ამერიკული დოლარიაო.

ცოტაა-მეთქი.

მა რამდენი გინდაო?

ოთხმოციათასს კაპიკი არ მოაკლდება-მეთქი.

ეხლავეო და გაცვივდნენ.

რა ვქნა, გამიხდა მართლა შარი-ხათაბალა, იმათ რომ ის ფული მოიტანონ, უარი როგორღა ვუთხრა? წავედი და დავიმალე გასახდელში, ცხვირი აღარ გამომიყვია გარეთ, რადიოთი რო გამომიძახეს, მაშინღა გამოვვარდი და სირბილით მივაშურე ლეიბს. მომდევს ის საწყალი ირანელი უკან, მაწვდის "დიპლომატს", რაღაცას მეხვეწება, მაგრამ, აბა, გვიანია უკვე...

დავიწყეთ ჭიდაობა, ეს სულეიმანი დიდი ვერაფერი შვილი გამოდგა. დავუწყე ღლაბუცი, ისე ვეთამაშები, როგორც კატა თაგვს. ერთთავად ხალიჩის გარეთ მიიწევს, მაგრამ მე არ ვუშვებ. ერთი სიტყვით, სულ თავ-ბედს ვაწყევლინებ. ბოლოს, ავიყვანე და დავაწყვიტე ლეიბზე - ისეთი "ვაყა" დავაძახებინე, კედლებმა ზანზარი დაიწყეს. ჩამოვარდა იმხელა დარბაზში სამარისებური სიჩუმე.

გავიხედე შახის ლოჟისკენ, გამტკნარებული ზის. ავდექი და, ფეხბურთელი რო გოლს გაიტანს და უხამს ჟესტს გააკეთებს, ამ შახს ეგრე არ გავუკეთე! გაგიჟდა ხალხი, აიშალა მაყურებელი და ქვემოთ წამოვიდა, პოლიცია ვეღარაფერს აწყობს, გავეშებულ ხალხს ვეღარ აკავებს. კიდევ კარგი გამოცვივდნენ ეს ჩვენი რუსები შახმურადოვის თამადობით, ალყაში მომაქციეს და ეგრე გამიყვანეს სამშვიდობოს, თორემ ცოცხლად შემჭამდნენ...

რა თქმა უნდა, ბევრი საყვედური მივიღე, მაგრამ მე მაინც ძალიან კმაყოფილი ვიყავი - რაც მაგ შახებს საქართველოსთვის საქმე უქნიათ, ხო ერთბაშად ამოვიყარე ყველას ჯავრი-მეთქი!

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
ოლეგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაგაიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოგა ხატისაშვილი
გესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაგ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კოგა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე
(დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდგერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიმკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაძარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა
2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1984-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10',
0159 თბილისი
(ფილიალი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოვლის ყოველდღე, გარდა კვირისა